# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 20 მაისი 2000 №94 (1116) | ფასი 50 თეთრი


# ვინ თქვა, არსენა მოკვდაო?!

## საქართველოს ნაკრები ფავორიტებს ართმევს, აუტსაიდერებს ურიგებს

**საქართველო 67**
**დანია 62**

საქართველო: ფაჩულია (21), ბოისა, კილაძე, ხოშტარია (2), ბეჟანიშვილი (1), აბრამიძე (6), გოგობერიშვილი (23), ქარაბაკი (7), ცქიტიშვილი (7)
დანია: ჰაუგე (2), სიორენსენი (3), კრონე (5), აჰმადი (6), იენსენი (9), იერიხოვი (17), ლარსენი (13), ბუური (4), დეიბიერგი (3)

„გუნდი შეთამაშდა და მოვიგეთ. დანიაში გამომგზავრებამდე ორი-სამი სერიოზული საკონტროლო მატჩი რომ გვეთამაშა, ან საკვალიფიკაციო ტურნირი ახლა რომ იწყებოდეს, პრობლემები არ გვექნებოდა“ — ეს გვითხრა საქართველოს ნაკრების მეორე მწვრთნელმა ბუზარ კანდელაკმა გუშინ.

გუშინ კი, ლუქსემბურგთან უიმედოდ და რუმინეთთან ბოლო წამებზე წაგებული შეხვედრის შემდეგ, საქართველოს კალათბურთელთა ნაკრებმა ევრობასკეტ-2003-ის საკვალიფიკაციო ტურნირის ფავორიტი და მასპინძელი დანია დაამარცხა.

ქართველები თავიდანვე დაწინაურდნენ. დანიელებმა ზონური დაცვა აირჩიეს, მაგრამ რამაზ გოგობერიშვილმა სამქულიანები ზუსტად ისროლა და მეტოქე აიძულა, პერსონალური დაცვისთვის მიემართა. შემდეგ უკვე საქართველოს ნაკრების ყმაწვილკაცებმა ზაზა ფაჩულიამ და ნიკა ცქიტიშვილმა ივარგეს, რომლებიც ერთი ერთზე თამაშისას მეურვეებს ჩაგრავდნენ და ასე იხვეჭდნენ ქულებს. პირველი ტაიმი ჩვენებმა ორი ქულით მოიგეს.

საქართველოს ნაკრებს არც მეორე ტაიმში დაუთმია უპირატესობა. გოგობერიშვილს კარგად მისდიოდა შორი სროლები (ათიდან ხუთი სამქულიანი ჩააგდო). ჩვენებურებმა ფარზეც აჯობეს მეტოქეს (მოხსნებში 24:20 მოიგეს), რაც, უპირველესად, ფაჩულიას დამსახურება იყო, რომელმაც რვა მოხსნა მიითვალა. შეტევაში სრული დატვირთვით ვერ ითამაშა ფეხმტკივანმა ვლადიმერ ბოისამ, სამაგიეროდ, მწვრთნელებმა მას დაცვაში თამაში უქეს.

დამთავრებამდე ორი წუთით ადრე საქართველო ხუთი ქულით იგებდა (ისევე, როგორც რუმინეთთან). დანიელებმა სამ ქულამდე შეამცირეს სხვაობა, მერე კი შეგნებულად იწყეს ჯარიმება. ქართველი კალათბურთელები გადამწყვეტ მომენტში არ დაიბნენ და გოგობერიშვილმა და მამუკა აბრამიძემ ორ-ორი საჯარიმო ჩააგდეს.

დანიის დამარცხებით საქართველოს ნაკრებმა შეინარჩუნა საკვალიფიკაციო ჯგუფიდან გასვლის შანსი. ოღონდ, ამჯერად, მოვლენების განვითარება მხოლოდ ჩვენებურთა მომდევნო მატჩებზე არაა დამოკიდებული. გუშინ კი კვიპროსმა 65:51 მოუგო რუმინეთს, ხოლო ირლანდიამ 76:68 დაამარცხა ლუქსემბურგი.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| კვიპროსი | 3 | 2 | 1 | 190:174 | 5 |
| დანია | 3 | 2 | 1 | 194:184 | 5 |
| ირლანდია | 3 | 2 | 1 | 198:187 | 5 |
| ლუქსემბურგი | 3 | 1 | 2 | 220:221 | 4 |
| რუმინეთი | 3 | 1 | 2 | 173:191 | 4 |
| საქართველო | 3 | 1 | 2 | 207:225 | 4 |




REUTERS და კორუნიანები

ლაკორუნიელმა ქომაგებმა პირველად გაიხარეს ესპანეთის ჩემპიონობით, ხავიერ ირურეტა კი ათეულ წელზე მეტი ხნის მანძილზე პირველი არაუცხოელია, ვისი თავკაცობითაც გუნდი გაჩემპიონდა

# ლა კორუნია ბედნიერი ქალაქია

ვინ გახდება ჩემპიონი? ვინ ითამაშებს მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში? ამ კითხვებზე პასუხი ესპანეთში ჩემპიონატის ბოლო ტურმა გასცა. იქაური დროით 9 საათზე ესპანეთის ქალაქებში გადამწყვეტი თამაშები დაიწყო... ჩემპიონის ვინაობა პირველივე ტაიმში გაირკვა. 35-ე წუთისთვის ლა კორუნიაში „დეპორტივო“ „ესპანიოლს“ 2:0-ს უგებდა. გალისიელებს ჩემპიონობას სასწაული თუ დააკარგვინებდა, სასწაული კი არ მოხდა. თავის 94-წლიან ისტორიაში „დეპორტივომ“ პირველად ილირსა ესპანური ტიტული. სანახევროდ გაეცა პასუხი მეორე კითხვასაც. „დეპორტივოსთან“ ერთად ჩემპიონთა ლიგაში „ბარსელონა“ და „ვალენსია“ ითამაშებენ. მეოთხე გუნდის ვინაობა კი 24 მაისს პარიზში გაირკვევა. თუ ჩემპიონთა თასი „ვალენსიამ“ მოიგო, მაშინ „სარაგოსა“ იხეირებს, „რეალის“ გამარჯვება კი მეოთხე ადგილზე გასულ სარაგოსელებს მხოლოდ უეფას თასზე ათამაშებს. ამავე ტურნირში ითამაშებს ბილბაოელ ბასკთაგან ძლეული ბასკებისავე „ალავესიც“.

ესპანეთის ჩემპიონატის ბოლო ტურის მატჩების ანგარიშები იხილეთ მეთექვსმეტე გვერდზე.

# სტანდარდული მდგომარეობა დინამოსთვის?

— „სტანდარდი“! ნამდვილად ეს კლუბი ითამაშებს ინტერტოტოს თასზე ქართული გუნდის წინააღმდეგ — მოკლედ მოგვიჭრეს გუშინ ბელგიიდან, იქაურ საფეხბურთო ლიგას ტელეფონით რომ დავუკავშირდით.

მანამდე კი ბელგიის ფეხბურთის ფედერაციის პრეს-ატაშემ, ვინსენ ფურნიემ უფრო ვრცლად გვიპასუხა: რამდენადაც ვიცი, ინტერტოტოზე თამაშის სურვილი არცერთ ბელგიურ გუნდს არ აქვს. წესით, „სტანდარდს“ და „ვესტერლოს“ უნდა ეთამაშათ, მაგრამ არ ისურვეს და მერე ვერც სხვა გუნდები დაიყოლია „ჯუპილერლიგამ“. ისე, სჯობს, სწორედ ლიგას მიმართოთ, უფრო ზუსტ პასუხს იქ გაგცემენ.

ლიგაში კი, რაც გვიპასუხეს, უკვე მოგახსენეთ — საქმე ისევ „სტანდარდზე“ მიდგა.

ეს რომ შევიტყვეთ, ლიეჟის „სტანდარდის“ და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების თავდამსხმელს, ლაშა ჯაკობიასაც დავუკავშირდით:

— მე მგონი, ჯერ გადაწყვეტილი არაფერია. ის კი ნაღდია, რომ არც გუნდის ხელმძღვანელობას და არც ფეხბურთელებს ინტერტოტოზე თამაში არ სურთ. მომავალ კვირაში ყველაფერი გაირკვევა. თუ ფედერაციაც, ლიგაც და უეფაც თავისაზე დადგნენ, თანაც არცერთმა სხვა გუნდმა ისურვა ჩვენი შეცვლა, რა გაეწყობა.

საქართველოს „სტანდარდი“ უჯაკობიოდაც ეცნობა — 1982 წელს თასების თასის ნახევარფინალში თასის მფლობელმა თბილისის „დინამომ“ ვერაფერი მოუხერხა ბელგიურ კლუბს და მის ხელოვნურ თამაშგარეებს.

თუ ბელგიის საფეხბურთო ლიგას ვერწმუნებით, მათ უკვე გაარკვიეს, ვინ იქნება 17 ივნისს ქართული გუნდის მეტოქე. აი, ჩვენ, ქართველებს კი ჯერაც დაუდგენელი გვაქვს, ვინ ეწვევა ბელგიას.

ეროვნული ჩემპიონატში მესამეობის ყველაზე კარგი შანსი თბილისის „დინამოს“ აქვს. თუ „დინამომ“ ჩემპიონატის ფინიშამდე ერთი საფეხურით ანაცვლება მოახერხა, გამორიცხული არაა, 18 წლის შემდეგ ისევ ვიხილოთ „დინამო“ — სტანდარდი“.

ისიც სავსებით შესაძლოა, „სტანდარდის“ რიგებში ქართველმა ჯაკობიამ ითამაშოს. თუმცა ამის თაობაზე უფრო დაწვრილებით იხილეთ მეორე გვერდზე.



სარჩიელის არქივიდან

1982 წელი. „სტანდარდის“ და „დინამოს“ კაპიტნები: ერიკ გერეტსი და ალექსანდრე ჩივაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცქიტიშვილი ბრუნდება

## წლეულს პირველად — დღეს ფრაიბურგში სამი ქართველი ითამაშებს


ლევან ცქიტიშვილი

ამქვეყნად ყველაფერს აქვს დასასრული. ლევან ცქიტიშვილის ტრავმასაც. რვათვიანი შესვენების შემდეგ გერმანული „ფრაიბურგის“ ქართველი ფეხბურთელი შავ-წითელ ფორმას ალბათ კვლავ მოირგებს.

დღეს პირველ ბუნდესლიგაში ბოლო ტურია. „ფრაიბურგი“ ვოლფსბურგში გაისეირნებს. ალექსანდრე იაშვილის, ლევან კობიაშვილისა და ლევან ცქიტიშვილის გუნდმა წლეულს თავისი ამოცანა წარმატებით გადაჭრა. გასულ შაბათს „ფრაიბურგმა“ საკუთარ მინდორზე კობიაშვილის გოლით „კაიზერსლაუტერნს“ 2:1 მოუგო და პირველ ბუნდესლიგაშიც დარჩა. დღევანდელი მატჩი „ფრაიბურგისთვის“ ალარაფერს წყვეტს, ამიტომაც კლუბის მთავარმა მწვრთნელმა ფოლკერ ფინკემ გერმანულ მასმედიას თავისი გადაწყვეტილების შესახებ ამცნო. ფინკეს თქმით, გუნდი ვოლფსბურგს ძირითადი შემადგენლობის ექვსი მოთამაშის გარეშე ესტუმრება. რიხარდ გოლცი, რალფ კოლი, ბიორნ დრეერი, ლარს ჰერმელი და ადელ სელიმი დღეს ვერ ითამაშებენ. არ იქნება აგრეთვე გუნდის მესამე თავდამსხმელი (იაშვილისა და სელიმის შემდეგ), ტუნისელი მეჰდი ბენ სლიმანი.

ყველა მათგანს ტრამვა აწუხებს. ალსანიშნავია გოლცის დაშავება. ამ მიზეზით გუნდის ძირითად მეკარეს მატჩი რამდენიმე წელია არ გამოუტოვებია.

სამაგიეროდ, გასული წლის 11 სექტემბრის შემდეგ მინდორს დაუბრუნდება ლევან ცქიტიშვილი და წლევანდელ ჩემპიონატში პირველად და უკანასკნელადაც სამივე ქართველი ერთდროულად იქნება მოედანზე.

„ალი გიუნეშს, ლევან ცქიტიშვილსა და შტეფან კორელს ბოლო დროს მძიმე ტრავმები აწუხებდათ, თუმცა უკვე გამოჯანმრთელდნენ, გუნდთან ერთადაც ვარჯიშობენ და შაბათს „ვოლფსბურგთან“, ალბათ, ვათამაშებ კიდეც“ — განაცხადა, ფინკემ გუშინწინ. იმედია, მწვრთნელი თავის ნათქვამს აასრულებს.

შეგახსენებთ, წლევანდელ ჩემპიონატში, ცქიტიშვილმა სულ სამი მატჩის ჩატარება მოასწრო. მეორე ტურში „აინტრახტთან“ საშინაო შეხვედრაში ლევანმა 90 წუთი ითამაშა (2:3), ისევე როგორც „მიუნხენ 1860“-თან შინ 3:0 მოგებულ მატჩში. აი, „დორტმუნდთან“ სტუმრად კი ჩვენებური შეცვლაზე შევიდა და მხოლოდ ბოლო ცამეტი წუთი დაჰყო მინდორზე (1:1). მას შემდეგ ცქიტიშვილი ალარ გამოჩენილა. იგი ფეხმა შეაწუხა, ოპერაციაც გაიკეთა, თითქოს მალე უნდა მომჯობინებულიყო, მაგრამ ტრავმა გაუმიზეზდა და მოედანზე მისი დაბრუნებაც გადაიდო.

ბოლო ერთ თვეს ცქიტიშვილი თავს შედარებით უკეთ გრძნობდა და გუნდთან ერთადაც ემზადებოდა. ახლა კი, როგორც ჩანს, საბოლოოდ მოშუშდა.

ვანო ოქროპირიძე


ლაშა ჯაკობია (№10) ვითარების გარკვევას ელის

# ჯაკობია ბოსკამპმა დაამუხრუჭა

ჩემი მომავალი კლუბის ვინაობა 18 მაისისთვის გაირკვევა, ამ სიტყვებით დაგვემშვიდობა ბოლოს ლაშა ჯაკობია და იქვე დააყოლა, ალბათ ისევ „სტანდარდში“ ვითამაშებო. დღეისათვის ქართველ თავდამსხმელთან დაკავშირებით ბევრიც არაფერი გარკვეულა. ლაშას გუშინ ბელგიაში შევეხმიანეთ. მან გვითხრა: „ფაქტობრივად გადაწყვეტილი იყო ჩემი „სტანდარდში“ დაბრუნება. კლუბის მიერ შემოთავაზებულ პირობებს უყოყმანოდ დავთანხმდი, ჩემი პირობა კი ასეთი იყო — „სტანდარდში“ იმ შემთხვევაში ვითამაშებდი, თუ ეს კლუბი ბელგიის თასის ფინალში „გენკის“ ძლევით უეფას თასის საგზურს მოიპოვებდა. საამმატჩოდ ლიეჟელებს ყველა ფავორიტად თვლიდა, მაგრამ პირიქით კი მოხდა, იოჰან ბოსკამპის „გენკმა“ იმარჯვა და „სტანდარდი“ უმოტივაციოდ დარჩა. მე კი ისეთ კლუბში მსურს თამაში, რომელიც ევროპულ სარბიელზე იბრძოლებს. იდეალურ ვარიანტად ისლა რჩება, რომ „სტანდარდმა“ ერთ-ერთ ასეთ კლუბში გამანათხოვროს. ამით მეც კმაყოფილი დავრჩები და ლიეჟელებიც, რადგან საჭიროების შემთხვევაში კვლავაც მათ განკარგულებაში ვიქნები.“

ჯაკობიას პოზიცია გასაგებია. ქართველს გულს ის უმაგრებს, რომ მისი ნათხოვრობის (შეძენისაც) მსურველი ბევრი კლუბია, როგორც ბენილუქსში, ასევე მის ფარგლებს გარეთაც. სად ითამაშებს ლაშა, ჯერჯერობით ეს მისთვისაც გაურკვეველია: „კონკრეტულად ვერაფერს გეტყვით, მეც და ჩემი მენეჯერიც ვცდილობთ, გადაწყვეტილების მიღებისას შეცდომა არ დავუშვათ. დავფიქრდები, რომელი ვარიანტი სჯობს და გადაჭრით პასუხსაც ერთ-ორ კვირაში გეტყვით.“

ბაატა ქვანტალიანი

# ჯამარაული გრესის სიხარული


გოჩა ჯამარაული

ამ ზამთარს შვეიცარიის საფეხბურთო კავშირმა გოჩა ჯამარაულისა და მიხეილ ყაველაშვილის „ციურიხი“ „ქსამაქსთან“ მატჩში ოქმის არასწორად შევსებაში ამხილა, დაშვებულზე მეტი უცხოელი გყავთ განაცხადში შეყვანილიო. განაჩენიც გამოუტანა — შეხვედრის შედეგი გააუქმა, „ციურიხს“ 0:3 წაგება ჩაუთვალა და...

ციურიხელები, უეფას თასის საგზურის მოსაპოვებლად რომ ემზადებოდნენ, უეცრად მეცხრე-მეთექვსმეტე ადგილებისთვის მებრძოლთა შორის მოხვდნენ. აქ კი ყველაფერი ისეა, როგორც ჩვენი ჩემპიონატის „ბ“ ზონაში. პირველი ოთხეული უძლიერესთა შორის ადგილს შეინარჩუნებს, დანარჩენი ოთხი კი გაისად ქვედა ლიგაში ითამაშებს.

ხუთშაბათამდე „ციურიხი“ თავის ზონაში მეექვსე იყო და გავარდნის საფრთხეც რეალურად ემუქრებოდა. გუშინწინ, 18 მაისს, მეთერთმეტე ტურის მატჩში ციურიხელები „დელემონს“ ეწვივნენ.

ჯამარაულიც და ყაველაშვილიც გუნდის ახალმა მთავარმა მწვრთნელმა ჟილბერტ გრესმა, რომელმაც ამ თანამდებობაზე რაიმონდო პონტე შეცვალა, ძირითად შემადგენლობაში განამწესა და არც შემცდარა. უკვე მე-5 წუთზე ჯამარაულმა კარგად ითამაშა და ზუსტი დარტყმით თავისიანები დააწინაურა. გოჩას გოლს მატჩის მიწურულს სამხრეთაფრიკელმა შონ ბარტლეტმა მეორეც დაუმატა და „ციურიხმაც“ 2:0 მოიგო. ჯამარაულმა მთელი შეხვედრა შეუცვლელად ჩაატარა, ყაველაშვილი გრესმა 68-ე წუთზე შასოთი შეცვალა.

ჯამარაულზე ცალკეა სათქმელი, გოჩა ბოლო დროს კარგად ათამაშდა და გუნდის ლიდერადაც იქცა. წინა ტურშიც მისი გოლით გადაურჩა „ციურიხი“ მარცხს. არ არის გამორიცხული საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი კობიაშვილის მსგავსად, „ციურიხის“ გადამრჩენელიც გახდეს.

„მიხარია, რომ გუნდი ძველ სახეს იბრუნებს, ჩვენს თამაშში პროგრესი აშკარაა. ვეცდებით, მომავალ მატჩებში კიდევ უფრო უკეთ ვითამაშოთ“ — კმაყოფილია ბოლო დროს „ციურიხის“ თავკაცი ჟილბერტ გრესი.

ამ გამარჯვების შემდეგ ციურიხელებმა „ტუნს“, „ბელინცონასა“ და „არაუს“ გადაასწრეს და მესამე საფეხურზე დამკვიდრდნენ, თუმც მეტოქეებზე ერთი მატჩით მეტი აქვთ გამართული. ალსანიშნავია, რომ ეს ზედიზედ მეხუთე წაუგებელი შეხვედრა გახლდათ „ციურიხისთვის“. ახალი მწვრთნელის ხელმძღვანელობით ჩვენებურთა გუნდი სულ ერთხელ დამარცხდა. გრესს დებიუტი ჩაუმწარდა — პირველივე მატჩში „ლუგანოსთან“ სტუმრად 1:2 წააგო.

ისე, „ციურიხს“ უეფას თასზე თამაშის შანსი არ დაუკარგავს. გუნდი შვეიცარიის თასის ფინალში გავიდა. გადამწყვეტი მატჩი 28 მაისს ბერნში შედგება. ციურიხელთა მეტოქე „ლოზანა“ იქნება.

ვანო ოქროპირიძე

# 4 ივნისს ბაქოში: ქართველი ქართველების წინააღმდეგ


ბადრი კვარაცხელია

კიდევ ერთმა ქართველმა ფეხბურთელმა მიიღო უცხო ქვეყნის მოქალაქეობა — წალენჯიხის „სქურში“, თბილისის „დინამოში“, „კახეთში“, რუსთავის „მეტალურგში“, შსსის აკადემიაში და თბილისის „მერანში“ ნათამაშევი ბადრი კვარაცხელია აწ უკვე აზერბაიჯანის მოქალაქეა და იქაურთა ნაკრებში თამაშის უფლებაც აქვს.

აზერბაიჯანელებმა ჩვენებურს ორი წლის წინაც სთხოვეს, ჩვენი მოქალაქე გახდიო, მაგრამ მაშინ ბადრიმ ისინი უარით გაისტუმრა. ახლა კი ხელმეორე შეთავაზებას 35 წლის ქართველი, რომელსაც აქამდე საქართველოს არც ერთ ნაკრებში არ უთამაშია, დათანხმდა, 4 ივნისს აზერბაიჯანის ნაკრების მაისურას მოირგებს და ალბათ თვისტომებსაც დაუპირისპირდება.

ბადრი კვარაცხელია, შეგახსენებთ, განჯის „ქიაფაზში“ თამაშობს და აზერბაიჯანის საუკეთესო მეგოლეც ორჯერ იყო.

ქართველი ფეხბურთელის „გაუცხოელება“ ჩვენი ფეხბურთის ისტორიაში მესამედ მოხდა: ადრე აშხაბადის „კოპენდაღის“ თავდამსხმელები კახა გოგოლაძე და ბუბა ტყავაძე გახდნენ თურქმენეთის მოქალაქეები.

კობა ინასარიძე

# 54-ე საბურთალოა

რამდენიმე დღის წინ დასრულებულ ქალაქის 54-ე სპარტაკიადას ახალი გამარჯვებული ჰყავს — საბურთალოს ნაკრები. ისტორიული, ნახევარსაუკუნეზე მეტი ხნის ტურნირი დიდი პოპულარობით სარგებლობდა თბილისში და სხვადასხვა დროს მასში ბევრ სახელოვან ფეხბურთელსაც მიუღია მონაწილეობა. წლევანდელ გათამაშებაში ქალაქის ათივე რაიონის გუნდმა მიიღო მონაწილეობა. სპარტაკიადაზე 1985 წელს დაბადებული ფეხბურთელები თამაშობდნენ. მატჩები 35-ე საფეხბურთო სკოლის მოედნებზე მიმდინარეობდა. ფინალიც ძველებური (ხშირ შემთხვევაში ასე ხდებოდა) გამოვიდა — ვაკე-საბურთალო. დაძაბულ ბრძოლაში საბურთალოელებმა იმარჯვეს და ტრადიციული მეტოქე 1:0 დაამარცხეს. გამარჯვებული გარდამავალი თასითა და სიგელებით დაჯილდოვდა.

საბურთალოს გუნდს გურამ პავლიაშვილი (მთავარი მწვრთნელი) და შალვა ბერიძე (რაიონის სპორტკომიტეტის დირექტორი) თავკაცობდნენ.

ლუკა თალაქვაძე

საქართველოს ჩემპიონატი. მეორე ეტაპი. 13 ტური

# ვეტერინარული ინიექცია თუ აჭარული განდაგანა

წესისა და რიგის მიხედვით, მეთერთმეტე ეროვნულის ბოლოსწინა ტური 23 მაისს უნდა გამართულიყო, მაგრამ საქმეში ქუთაისის „ტორპედოსა“ და თბილისის „ლოკომოტივის“ თავკაცები ჩაერივნენ და მეცამეტე ტურის ორმა მატჩმაც ორშაბათისკენ გადმოინაცვლა.

მოდი და გაამტყუნე დავით ყიფიანი და რევაზ ძოძუაშვილი. ეროვნული ნაკრების მწვრთნელები, ამავდროულად „ტორპედოსა“ და „ლოკომოტივს“ რომ უდგანან სათავეში, 26 მაისს „სამკვდრო-სასიცოცხლოდ“ დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. თასის ფინალში ხომ ეს ორი გუნდი გავიდა.

გუშინ ფეხბურთის ფედერაციაში „ტორპედოც“ და „ლოკომოტივიც“ ერთი თხოვნით მივიდა. ფინალისთვის რომ უკეთ მოვემზადოთ, მეცამეტე ტურის მატჩები ერთი დღით ადრე გვათამაშეთო. წინააღმდეგი არც ქუთაისელთა მასპინძელი გორის „დილა“ წასულა და არც რკინიგზელთა მეტოქე ავჭალელებს გაუგიჟებიათ თავი. ფედერაციამაც ფინალისტების თხოვნა დააკმაყოფილა.

მაშ ასე, საქართველოს ახალი ჩემპიონი, არ არის გამორიცხული, 22 მაისმა შვას. დავით ყიფიანს მხოლოდ ერთადერთი საფიქრალი დარჩენია — „ტორპედომ“ გორში საწადელის ყოველგვარი ტრავმებისა და გაფრთხილებების გარეშე უნდა მიაღწიოს. მაინცდამაინც ძნელად გადასაწყვეტი ამოცანა არ გახლავთ. ალბათ, იმ მატჩს „ტორპედო“ სათავისოდ ჩაამთავრებს, ჩემპიონის გვირგვინსაც დაიდგამს და 26 მაისსაც მშვიდად, საქმიან ვითარებაში დაელოდება.

აბა, „მერანს“ და „ლოკომოტივს“ რაღა აქვთ გასაყოფი, ფაქტობრივად — არაფერი. მშვიდად გააგორებენ ბურთს და გასაკვირიც არ იქნება, თუ მატჩი ფრედ დამთავრდება. ყოველ შემთხვევაში, „ლოკომოტივი“ თამაშის გამწვავებელი არაა. სიმწვავეს რაც მოაქვს, ყველას კარგად მოგვეხსენება და რკინიგზელებს ამისი დრო ნამდვილად არა აქვთ. წინ 26 მაისია.

რაღა დროს გორი და ავჭალაა. სამშაბათს მცხეთაში ამბავი (თამაში) იქნება, დედა შვილს არ აიყვანს ხელში. სწორედ 23 მაისს, „არმაზზე“ გაირკვევა ვერცხლისა და ბრინჯაოს ბედი.

მოიგებს „ვიტ ჯორჯია“ და ვერცხლის დასაკუთრებამდე მხოლოდ ნაბიჯიღა რჩება. გაიმარჯვებს „ბათუმი“ და მეორეობას, დარწმუნებული ვარ, ვერავინ შეეცილება.

რა მოხდება, მატჩი რომ ფრედ დამთავრდეს? რა თქმა უნდა, ბოლო ტურისთვის შანსს მაინც ორივე შეინარჩუნებს, მაგრამ სწორედ ამ ფრეს ელოდებიან მეორე აღდგომასავით აწ უკვე ყოფილი ჩემპიონი თბილისის „დინამო“ და ფოთის „კოლხეთი“. მერე მათ უჩნდებათ მეორეობის შანსი.

„ვიტ ჯორჯია“ რატომღაც ფორმიდან ამოვარდნილი ჩანს. ალბათ, გავლენა იქონია მეცხრე-მეათე-მეთერთმეტე ტურებში ადვილად მიღწეულმა გამარჯვებებმა. ამის გამოძახილი იყო ფოთში, „კოლხეთთან“ სუსტად ჩატარებული მატჩიც, მაგრამ 23 მაისის შეხვედრა მათთვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა და ამ დროს ვეტერინარები მუდამ მოწოდების სიმაღლეზე დგანან. ყოველ შემთხვევაში, აქამდე ასე იყო.

მიყოლებით სამი ტურია, „ბათუმმა“ თამაში გამოასწორა. „ტორპედოსთან“ განადგურებული „დინამოს“ შინ დაუზავდა, მერე კი ბოლნისშიც იოლად მოიგო და შინაც „დილას“ გაუტანა ოთხი უპასუხო გოლი. არა, აშკარად გამოცოცხლება შეინიშნება კარნევალის ბანაკში. იტალიელს საფიქრალი მაინც არ აკლია. მეტოქე ჰყავს მეტად უხერხული. „ვიტ ჯორჯია“ „ბათუმთან“ სულ აღმაფრენით თამაშობს.

მოკლედ, ქართული ფეხბურთის ქომაგებს სამშაბათს მცხეთაში გამგზავრებას გირჩევთ. სწორედ იქ დაინახავთ, შეძლებს თუ არა „ვიტ ჯორჯია“ ბათუმელთა ინიექციას, თუ „ბათუმი“ მოახერხებს ვეტერინარები აჭარულად ააცეკვოს.

ფოთის „კოლხეთი“ სამტრედიულ „იბერიას“ მასპინძლობს და ისეა მეტოქეზე გამწარებული, ალბათ, გამარჯობის თქმასაც არ დააცლის, ისე ებდღვნება სამტრედიელთა კარს. კი მაგრამ, რამ გაამწარა ასე ფოთელები? ზღვისპირელებს სამტრედიული მარცხი ჯერაც ვერ მოუნელებიათ. ხშირად იგონებენ დანანებით, ის სამი ქულა რომ მოგვცაო... თამაშს რომ „კოლხეთი“ მოიგებს, ალბათ, საკამათო არც არის, მაგრამ ფეხბურთში ყველაფერი ხდება და ეს „იბერიაც“ საკმაოდ კერკეტი გუნდია. მაშინ ვერ გეტყვით, არ ვიცი, რა მოხდება „ფაზისზე“.

სამშაბათს „დინამოს“ ბოლო შანსია. ან მოიგებს ბოლნისში და პრიზიორობასაც გამოჰკრავს ხელს, არადა სულ ცარიელ-ტარიელი დარჩება.

„სიონი“ კი თბილისელებს მოელის და ბრძოლასაც ბოლომდე აპირებს. „თემურ სტეფანიაზე“ „სიონი“ ბევრისშემძლეა. მართალია, „დინამო“ აშკარად ვერ გახლავთ ხასიათზე, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ სულ არაფერს პრიზიორობა და ევროსარბიელი სჯობს.

„ბ“ ზონაში ერთადერთი მატჩია ისეთი, რომელზეც დასწრება ღირს. საინტერესო, დაძაბულ ორთაბრძოლას რუსთავში იხილავთ. „გორდასა“ და თსუ-ს შორის გამარჯვებული ულაპარაკოდ რჩება უძლიერესთა ლიგაში, დამარცხებულის იმედი კი ბოლო ტურიღა იქნება.

ვთქვათ, მატჩი ფრედ დასრულდა. მაშინ „გორდა“ უფრო უარეს დღეში ჩავარდება, ვიდრე თსუ. ასეთ დროს სტუდენტები მესამე საფეხურზე დარჩებიან და ბოლო მეტოქეს, ხობის „კოლხეთს“ მშვიდად დაელოდებიან.

„გორდას“ „სამგურალთან“ ორქულიანი უპირატესობა კი შერჩება, მაგრამ იმაზეც ბევრი ფიქრი მოუწევს, თუ როგორ ხასიათზე დაუხვდება თბილისური „ლოკომოტივი“. თუ რკინიგზელებმა თასი დაისაკუთრეს, რა უჭირთ რუსთაველებს, არადა...

სენაკში „სამგურალი“ „ხობს“ აუცილებლად მოუგებს და პირველ ჯგუფში დარჩენის იმედსაც სულ ცოტა, 1 ივნისამდე გაიხანგრძლივებს, ხოლო ავლაბარში ისეთი თამაშია, „თბილისი“-„არსენალი“, რომ შედეგს არანაირი მნიშვნელობა არა აქვს.

რაღა დარჩა ჩემპიონატის დასრულებამდე? არაფერი. თერთმეტიოდე დღეში მეთერთმეტე ეროვნულიც ისტორიის კუთვნილებად იქცევა.

**მამუკა კვანტალიანი**



პირველი წრის „ბათუმი“ — „ვიტ ჯორჯია“ დაძაბულობითაც გამოირჩა და ხმაურიანი სკანდალითაც

| «ა» ზონა | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ტორპედო | 12 | 7 | 3 | 2 | 33:11 | 22 | 42 | 6 | 5 | 1 | 0 | 22:3 | 19 | 16 | 6 | 2 | 2 | 2 | 11:8 | 3 | 8 |
| 2 | ვიტ ჯორჯია | 12 | 7 | 4 | 1 | 13:7 | 6 | 37 | 6 | 3 | 3 | 0 | 7:4 | 3 | 12 | 6 | 4 | 1 | 1 | 6:3 | 3 | 13 |
| 3 | ბათუმი | 12 | 7 | 2 | 3 | 20:8 | 12 | 36 | 6 | 4 | 1 | 1 | 15:2 | 13 | 13 | 6 | 3 | 1 | 2 | 5:6 | -1 | 10 |
| 4 | დინამო | 12 | 3 | 9 | 0 | 11:3 | 8 | 35 | 6 | 2 | 4 | 0 | 7:2 | 5 | 10 | 6 | 1 | 5 | 0 | 4:1 | 3 | 8 |
| 5 | კოლხეთი | 12 | 6 | 3 | 3 | 17:8 | 9 | 34 | 6 | 5 | 1 | 0 | 13:2 | 11 | 16 | 6 | 1 | 2 | 3 | 4:6 | -2 | 5 |
| 6 | სიონი | 12 | 2 | 1 | 9 | 12:30 | -18 | 18 | 6 | 2 | 1 | 3 | 11:11 | 0 | 7 | 6 | 0 | 0 | 6 | 1:19 | -18 | 0 |
| 7 | იბერია | 12 | 2 | 2 | 8 | 6:27 | -21 | 17 | 6 | 2 | 1 | 3 | 3:7 | -4 | 7 | 6 | 0 | 1 | 5 | 3:20 | -17 | 1 |
| 8 | დილა | 12 | 2 | 0 | 10 | 9:27 | -18 | 16 | 6 | 2 | 0 | 4 | 4:8 | -4 | 6 | 6 | 0 | 0 | 6 | 5:19 | -14 | 0 |

| «ბ» ზონა | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 9 | ლოკომოტივი | 12 | 7 | 3 | 2 | 19:4 | 15 | 33 | 6 | 3 | 3 | 0 | 9:2 | 7 | 12 | 6 | 4 | 0 | 2 | 10:2 | 8 | 12 |
| 10 | მერანი | 12 | 7 | 4 | 1 | 13:4 | 9 | 33 | 6 | 4 | 2 | 0 | 7:0 | 7 | 14 | 6 | 3 | 2 | 1 | 6:4 | 2 | 11 |
| 11 | თსუ | 12 | 8 | 0 | 4 | 19:11 | 8 | 32 | 6 | 5 | 0 | 1 | 8:2 | 6 | 15 | 6 | 3 | 0 | 3 | 11:9 | 2 | 9 |
| 12 | გორდა | 12 | 7 | 2 | 3 | 22:8 | 14 | 31 | 6 | 4 | 1 | 1 | 10:3 | 7 | 13 | 6 | 3 | 1 | 2 | 12:5 | 7 | 10 |
| 13 | სამგურალი | 12 | 6 | 3 | 3 | 13:7 | 6 | 27 | 6 | 5 | 0 | 1 | 10:3 | 7 | 15 | 6 | 1 | 3 | 2 | 3:4 | -1 | 6 |
| 14 | თბილისი | 12 | 2 | 2 | 8 | 9:24 | -15 | 15 | 6 | 1 | 1 | 4 | 4:10 | -6 | 4 | 6 | 1 | 1 | 4 | 5:14 | -9 | 4 |
| 15 | არსენალი | 12 | 3 | 0 | 9 | 11:23 | -13 | 14 | 6 | 3 | 0 | 3 | 10:12 | -2 | 9 | 6 | 0 | 0 | 6 | 1:11 | -10 | 0 |
| 16 | ხობი | 12 | 1 | 0 | 11 | 11:36 | -25 | 8 | 6 | 1 | 0 | 5 | 7:20 | -10 | 3 | 6 | 0 | 0 | 6 | 4:16 | -12 | 0 |

## «ა» ზონა

გორი. „ცენტრალური“. 22 მაისი. 18 საათი

### დილა — ტორპედო

მსაჯები: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი); ზ. დოლიძე, ი. შალამბერიძე; ა. შილაკაძე (ყველა თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: მ. ლაცაბიძე

მცხეთა. „არმაზი“. 23 მაისი. 18 საათი

### ვიტ ჯორჯია — ბათუმი

მსაჯები: თ. ლაცაბიძე (სურამი); ვ. ჩოჩიშვილი, ზ. ჯვარიძე; ს. კახიანი (ყველა თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: გ. ფირცხალავა

ფოთი. „ფაზისი“. 23 მაისი. 18 საათი

### კოლხეთი — იბერია

მსაჯები: მ. მალაღურაძე; მ. ელიკაშვილი, ლ. სილაგავა (ყველა თბილისი); კ. მესხი (ზუგდიდი); სფფ-ის ინსპექტორი: ნ. ამირეჯიბი

ბოლნისი. „თემურ სტეფანია“. 23 მაისი. 18 საათი

### სიონი — დინამო

მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); მ. მაისურაძე (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: მ. მიმინოშვილი

## «ბ» ზონა

თბილისი. „სინათლე“. 22 მაისი. 18 საათი

### მერანი — ლოკომოტივი

მსაჯები: ა. მეშკოვი (თბილისი); ზ. ხუციშვილი (დმანისი), ზ. მენთეშაშვილი (თბილისი); ა. ორდინიძე (ონი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო

რუსთავი. „ფოლადი“. 23 მაისი. 18 საათი

### გორდა — თსუ

მსაჯები: ა. შალამბერიძე; გ. კიკაჩეიშვილი, ნ. რუსიშვილი; პ. დოგრაშვილი (ყველა ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. დურსუნიში

სენაკი. „ეგრისი“. 23 მაისი. 18 საათი

### ხობი — სამგურალი

მსაჯები: გ. ასკაროღლი; გ. მარღიშვილი (ორივე ქარელი), ლ. რაზმაძე; ზ. ანიაშვილი (ორივე გორი); სფფ-ის ინსპექტორი: ნ. კაკულია

თბილისი. „ისანი“. 23 მაისი. 18 საათი

### თბილისი — არსენალი

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი (თბილისი); გ. ჩიგოგიძე (სამტრედია), ბ. ბრეგვაძე; ჯ. ბუიშვილი (ორივე ჭიათურა); სფფ-ის ინსპექტორი: ი. მჭედლიშვილი



# შოთა-ასი შოუ
## ჯერ არშემდგარი იუბილეს ქრონიკა

*ეს ისტორია პატარა პოლონურ ქალაქ ბიდგოშჩიში იწყება. 1991 წლის 22 მაისს იქაური „ზავიშა“ პოლონეთის ჩემპიონატის ერთ-ერთ რიგით მატჩში კატოვიცეს გკს-ს მასპინძლობდა. თამაში სტუმრებმა მოიგეს. ერთადერთი გოლი კატოვიცელთა ქართველმა თავდამსხმელმა გია გურულმა გაიტანა...*


სარბიელის არქივიდან

შოთა არველაძე თითქმის ყოველ გოლს მალაყით აღნიშნავს

მას შემდეგ ზუსტად 9 წელი გავიდა. გურული პოლონეთიდან საფრანგეთში გადაბარგდა და, მართალია, მალე ფეხბურთსაც შეეშვა, დღემდე იქ ცხოვრობს. როგორც ამბობენ, მის ამჟამინდელ საქმიანობას ბურთთან კავშირი საერთოდ არა აქვს, თუმცა ყველას თავის პატიოსან საქმეში გაუმარჯოს. მით უმეტეს გია გურულს, პირველ ქართველ ფეხბურთელს, უცხო ქვეყნის უმაღლეს ლიგაში გოლი რომ გაიტანა.

შემდეგი იყო თემურ ქეცბაია, ვინც იმავე წლის შემოდგომიდან კვიპროსული „ანორთოსისის“ გულშემატკივრების გახარება დაიწყო. მესამე ქართველი ფეხბურთელი, ვისაც უცხოეთის გუნდისთვის გოლი გაუტანია, დათო მახარაძე იყო — ისიც კვიპროსზე, „ალკიში“ თამაშობდა ცოტა ხანს. მოკლედ, ქართველ ლეგიონერთა ოდენობა ნელ-ნელა მატულობდა.

1993 წლის ევროთასებზე თბილისის „დინამოს“ რაც გადახდა, ყველას ახსოვს — მსაჯის მოქრთამვის მცდელობის გამო ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი გათამაშებიდან მოხსნეს. ცოტა ხანში „დინამოს“ ხელმძღვანელობამ ტყუპი არველაძეები, 20 წლის შოთა და არჩილი, თურქულ „ტრაბზონსფორს“ ათხოვა.

და დაიწყო. 14 ნოემბერს შოთამ ახალ გუნდში პირველი გოლი შეაგდო — საშინაო შეხვედრაში „გაზიანთეფსფორთან“. მან მომდევნო ოთხ ტურშიც გამოიჩინა თავი და თურქული პრესაც ახმაურდა: „შოთა შაითან“, „შოთა-აჩი შოუ“ და მისთანებს მრავლად შეხვდებით იმდროინდელ თურქულ გაზეთებში. მოკლედ, პირველივე ტრაბზონულ, თან არასრულ, სეზონში შოთამ 18 მატჩში 15-ჯერ გაიტანა.

ცხადი გახდა, „ტრაბზონსფორის“ თავკაცობა შოთას და მისი ტყუპისცალის ხელში ჩასაგდებად ყველა ღონეს იხმარდა, მაგრამ იმ დროს მერაბ ჟორდანიას „ოცნების გუნდის“ შექმნა ჰქონდა გულში ამოჭრილი და ამიტომ თურქულ კლუბთან ასეთი გარიგება შედგა — არველაძეები სეზონს ისევ „დინამოში“ დაიწყებდნენ, უეფას თასიდან გავარდნის დღიდან კი ისინი უმალ ტრაბზონს დაუბრუნდებოდნენ. ასეც მოხდა და 1994-95 სეზონის ბოლო ორ მესამედში შოთამ კვლავ 18 მატჩის თამაში მოასწრო თურქეთის ჩემპიონატში, ოღონდ წინაზე სამი ბურთით ნაკლები გაიტანა.

სამაგიეროდ, მომდევნო, უკვე სრულ თურქულ სეზონში შოთა ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი ხდება, თან, რაც ერთობ საინტერესოა, პენალტების გარეშე — 25 გოლი 34 მატჩში. ქართველ გულშემატკივარს შოთა თურქეთისთვის აღარ ემეტება... ოცნება 1997 წლის ზაფხულში ახდა, როცა „ტრაბზონსფორმა“ ქართველი ტყუპები ჰოლანდიაში გაუშვა — აჩი „ბრედაში“, შოთა კი სახელგანთქმულ „აიაქსში“, სადაც 25 გოლით პირველივე სეზონში კლუბის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. მომდევნო წელსაც ამგვარ შედეგს ველოდით, მაგრამ...

რომ არა შოთას მძიმე ტრავმა, ამ წერილს დაახლოებით ორი წლის წინ იხილავდა „სარბიელის“ მკითხველი. მიზეზი? იმ დროისთვის საქართველოს ორგზის საუკეთესო ფეხბურთელს უცხოეთის ქვეყნების ეროვნულ ჩემპიონატებში 87 გოლი ჰქონდა გატანილი. საიუბილეო, მეასე გოლამდე 13-ღა იყო დარჩენილი. რა ბედენაა „აიაქსის“ თავდამსხმელისთვის 13 გოლი, მაგრამ თარსი ყველგან თარსია — ორ სეზონში მხოლოდ 12 გოლი.

იუბილე გადაიდო. ცხადია, დროებით. ამაში დამნაშავენი თურმე ჩვენც ვყოფილვართ. „აქამდე ვერ მითხარით, თქვე კაი ხალხო?“ — გვითხრა შოთამ ამასწინათ. როგორც ფეხბურთელთა უმრავლესობა, საკუთარი გოლების სტატისტიკას არც ის აწარმოებს. ჰოდა, რა იცოდა, რომ მალე პირველი ქართველი ფეხბურთელი შეიქნებოდა, ვინც უცხო ქვეყნების უმაღლეს ლიგებში 100 გოლის გატანას მოახერხებდა.

აწი იცის და ეჭვი არ გვეპარება, მომავალი სეზონის პირველივე ტურებში მიაღწევს მიზანს. საკითხავი ისაა, რომელ კლუბში და ქვეყანაში შედგება საიუბილეო გოლი — ისევ „აიაქსში“ თუ ესპანურ „ვალენსიასა“, ანდაც სხვა სახელიან კლუბში, რომლებიც მის გადაბირებას ლამობენ.

სხვათა შორის, შოთა არველაძე თანამედროვე ქართული ფეხბურთის უპირველესი ბომბარდირია და მის შედეგს დიდხანს ვერავინ დაემუქრება: სამი ქვეყნის ჩემპიონატში, ევროთასებზე და საქართველოს ნაკრებში მას 221(!!!) გოლი აქვს გატანილი.

ის ჯერ მხოლოდ 27 წლისაა.

**გიგა კობახიძე**


სარბიელის არქივიდან

შოთა „ტრაბზონსფორში“



### შოთა არველაძის 99 გოლი უცხოეთის ეროვნულ ჩემპიონატებში

**1993-94 — ტრაბზონსფორი** (ტრაბზონი, თურქეთი) — 18 მატჩი, 15 გოლი

| | | | |
|---|---|---|---|
| 14.11.93 | ტრაბზონსფორი — გაზიანთეფსფორი | 3:1 | |
| 21.11.93 | ბეშიქთაში — ტრაბზონსფორი | 7:1 | |
| 28.11.93 | ტრაბზონსფორი — ალთაი | 4:1 | |
| 05.12.93 | გენჩლერბირლიგი — ტრაბზონსფორი | 0:2 | |
| 12.12.93 | ტრაბზონსფორი — ქაისერისფორი | 3:1 | (2) |
| 27.02.94 | ტრაბზონსფორი — ქარშიაქა | 5:0 | (2) |
| 13.03.94 | ტრაბზონსფორი — ქარაბუქსფორი | 6:0 | (3) |
| 20.03.94 | გალათასარაი — ტრაბზონსფორი | 0:2 | |
| 03.04.94 | ტრაბზონსფორი — ქოჯაელისფორი | 2:0 | |
| 01.05.94 | ტრაბზონსფორი — გენჩლერბირლიგი | 6:0 | |
| 15.05.94 | ტრაბზონსფორი — სარიერი | 4:2 | |

**1994-95 — ტრაბზონსფორი** (ტრაბზონი, თურქეთი) — 18 მატჩი, 12 გოლი

| | | | |
|---|---|---|---|
| 05.11.94 | ადანადემირსფორი — ტრაბზონსფორი | 0:3 | (2) |
| 20.11.94 | ტრაბზონსფორი — ბურსასფორი | 1:0 | |
| 18.12.94 | პეტროლოფისი — ტრაბზონსფორი | 2:5 | (2) |
| 22.01.95 | ალთაი — ტრაბზონსფორი | 0:1 | |
| 12.02.95 | ტრაბზონსფორი — სამსუნსფორი | 5:0 | |
| 12.03.95 | ტრაბზონსფორი — ანკარაგიუჯიუ | 4:0 | |
| 09.04.95 | ტრაბზონსფორი — ადანადემირსფორი | 7:0 | |
| 16.04.95 | ტრაბზონსფორი — ზეითინბურნუ | 3:0 | |
| 14.05.95 | გენჩლერბირლიგი — ტრაბზონსფორი | 1:2 | |
| 21.05.95 | ტრაბზონსფორი — პეტროლოფისი | 3:2 | |

**1995-96 — ტრაბზონსფორი** (ტრაბზონი, თურქეთი) — 34 მატჩი, 25 გოლი

| | | | |
|---|---|---|---|
| 10.09.95 | ქოჯაელისფორი — ტრაბზონსფორი | 1:3 | |
| 01.10.95 | ტრაბზონსფორი — გალათასარაი | 4:1 | (2) |
| 15.10.95 | ალთაი — ტრაბზონსფორი | 2:5 | |
| 22.10.95 | ტრაბზონსფორი — ქაისერისფორი | 3:1 | (2) |
| 29.10.95 | გენჩლერბირლიგი — ტრაბზონსფორი | 1:3 | (2) |
| 05.11.95 | ტრაბზონსფორი — ანთალიასფორი | 2:0 | |
| 26.11.95 | ვანსფორი — ტრაბზონსფორი | 0:5 | (3) |
| 18.02.96 | ტრაბზონსფორი — ქოჯაელისფორი | 2:0 | |
| 03.03.96 | დენიზლისფორი — ტრაბზონსფორი | 0:3 | (2) |
| 16.03.96 | ტრაბზონსფორი — ალთაი | 2:0 | |
| 23.03.96 | ქაისერისფორი — ტრაბზონსფორი | 1:2 | |
| 27.04.96 | ისთანბულსფორი — ტრაბზონსფორი | 1:4 | (3) |
| 19.05.96 | ტრაბზონსფორი — ესქიშეჰირსფორი | 7:1 | (5) |

**1996-97 — ტრაბზონსფორი** (ტრაბზონი, თურქეთი) — 24 მატჩი, 10 გოლი

| | | | |
|---|---|---|---|
| 09.08.96 | ტრაბზონსფორი — ალთაი | 1:0 | |
| 02.11.96 | ტრაბზონსფორი — სარიერი | 3:2 | |
| 18.01.97 | ალთაი — ტრაბზონსფორი | 2:3 | |
| 09.03.97 | ტრაბზონსფორი — ვანსფორი | 4:0 | |
| 15.03.97 | ტრაბზონსფორი — ისთანბულსფორი | 1:2 | |
| 22.03.97 | ქოჯაელისფორი — ტრაბზონსფორი | 0:2 | |
| 06.04.97 | ტრაბზონსფორი — ფენერბაჰჩე | 4:3 | |
| 19.04.97 | ტრაბზონსფორი — დარდანელსფორი | 4:0 | |
| 16.05.97 | სამსუნსფორი — ტრაბზონსფორი | 0:2 | |
| 25.05.97 | ტრაბზონსფორი — გაზიანთეფსფორი | 5:0 | |

**1997-98 — აიაქსი** (ამსტერდამი, ჰოლანდია) — 30 მატჩი, 25 გოლი

| | | | |
|---|---|---|---|
| 19.08.97 | აიაქსი — ვიტესი | 5:0 | |
| 22.08.97 | სიტარდი — აიაქსი | 0:5 | (2) |
| 31.08.97 | უტრეხტი — აიაქსი | 1:7 | |
| 24.09.97 | აიაქსი — მაასტრიხტი | 7:0 | (3) |
| 26.10.97 | აიაქსი — ფეიენოორდი | 4:0 | |
| 30.11.97 | აიაქსი — სიტარდი | 2:0 | |
| 21.12.97 | აიაქსი — პსვ | 3:4 | |
| 08.02.98 | ვალვაიკი — აიაქსი | 1:5 | |
| 28.02.98 | აიაქსი — ნაიმეგენი | 3:0 | (2) |
| 22.03.98 | ბრედა — აიაქსი | 0:2 | |
| 29.03.98 | ტვენტე — აიაქსი | 1:2 | |
| 08.04.98 | აიაქსი — სპარტა | 4:0 | |
| 11.04.98 | აიაქსი — ჰერენვენი | 7:2 | (3) |
| 19.04.98 | გრონინგენი — აიაქსი | 2:4 | (3) |
| 23.04.98 | აიაქსი — ტილბურგი | 6:1 | (2) |
| 10.05.98 | აიაქსი — უტრეხტი | 1:2 | |

**1998-99 — აიაქსი** (ამსტერდამი, ჰოლანდია) — 19 მატჩი, 7 გოლი

| | | | |
|---|---|---|---|
| 23.08.98 | აიაქსი — ტილბურგი | 2:0 | |
| 25.10.98 | აიაქსი — კამბური | 4:0 | |
| 01.11.98 | ნაიმეგენი — აიაქსი | 0:4 | |
| 28.02.99 | აიაქსი — სპარტა | 5:1 | (2) |
| 11.04.99 | კამბური — აიაქსი | 4:1 | |
| 02.05.99 | აიაქსი — ფეიენოორდი | 6:0 | |

**1999-00 — აიაქსი** (ამსტერდამი, ჰოლანდია) — 17 მატჩი, 5 გოლი

| | | | |
|---|---|---|---|
| 15.08.99 | აიაქსი — ჰერენვენი | 3:2 | |
| 24.09.99 | აიაქსი — ვიტესი | 3:1 | |
| 09.04.00 | აიაქსი — სპარტა | 3:2 | |
| 16.04.00 | აიაქსი — ალკმარი | 4:1 | (2) |



მიუხედავად მონდომებისა რობერტო ბაჯომ ნესტორ სენსინის და იტალიის ჩემპიონ „ლაციოს“ გოლი ვერ გაუტანა

## იტალია

### თასის ფინალი

საპასუხო მატჩი

**ინტერი 0:0 ლაციო (1:2)**

ინტერი: პერუცი, კორდობა, ბლანი, დომორო, ხ. ძანეტი, კოუ, დი ბიაჯო, ზეედორფი, სერენა (გეორგატოსი 72), რ. ბაჯო (რეკობა 62), სამორანო (ვიერი 52)
მწვრთნელი: მარჩელო ლიპი
ლაციო: ბალოტა, ნეგრო, ნესტა, ფავალი, პანკარო (ფერნანდო კოუტუ 86), სერჟიო კონსეისაო, სიმეონე, ვერონი, სენსინი, რ. მანჩინი (სალასი 46), ს. ინძაგი (რავანელი 46)
მწვრთნელი: სვენ გორან ერიკსონი
გაფრთხილება: სიმეონე, პანკარო
მსაჯები: პაპარესტა და როსეტი
53 406 მაყურებელი

იტალიის ჩემპიონმა, „ლაციომ“ დუბლი შეკრულა — თასის საპასუხო ფინალურ შეხვედრაში, სტუმრად, „ინტერთან“ 0:0 ითამაშა და შინ მოგებული 2:1-ის წყალობით ჯილდო დაისაკუთრა.

თუმცა თავიდან „ინტერმა“ შეუტია და მეშვიდე წუთზე გოლის გატანის ჩინებული შანსიც იგდო ხელთ: ჰოლანდიელმა ნახევარმცველმა კლარენს ზეედორფმა რობერტო ბაჯოს მიაწოდა პასი, მაგრამ ბაჯომ პირდაპირ მეკარეს, მარკო ბალოტას გაარტყა ბურთი. შემდეგ ზეედორფი თავად შეიჭრა მეტოქის საჯარიმოში და ააცილა.

ერთი ხნის მერე ლუიჯი დი ბიაჯოს შეეძლო გოლის გატანა.

„ლაციო“ ძირითადად თავს იცავდა და კონტრშეტევებით ლამობდა მასპინძელთა კარის დალაშქვრას. ამ ტაქტიკას მე-20 წუთზე კინაღამ შედეგიც მოჰყვა: დიეგო სიმეონეს თავური „ინტერის“ მეკარემ, ანჯელო პერუციმ აიღო.

იყო ეპიზოდი, როდესაც „ლაციოს“ ფორვარდმა, სიმონე ინძაგიმ კინაღამ საკუთარ კარში შეაგდო ბურთი, მაგრამ მას ბალოტა დაუხვდა. ბალოტას მიკელე სერენას დარტყმულის მოგერიებაც მოუხდა.

შესვენების შემდეგ რომაელებმა მოედნის შუაში იყოჩაღეს, ხოლო მილანელებმა, მიუხედავად იმისა, რომ დიდი ხნის მკურნალობის შემდეგ კრისტიან ვიერი დაუბრუნდათ, ვერ მოახერხეს სადავეების ხელში ჩაგდება.

მასპინძელთა ქომაგებს ყველაზე მეტად რობერტო ბაჯომ გაუცრუა იმედი. მან ერთხელაც ვერ გაუტანა „ლაციოს“ მეკარეს, შემდეგ კი ალვარო რეკობამ შეცვალა.

შეხვედრის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე გოლის გატანა ლორან ბლანსაც შეეძლო. მას კარიდან 10 მეტრში ჩაუვარდა ბურთი ხელთ, მაგრამ მიზანს ფრიად ააცილა. საბოლოოდ 0:0 — „ლაციო“ ისტორიაში მეოთხე გუნდი გახდა, ვინც ერთ სეზონში სკუდეტოც მოიგო და თასიც. მანამდე იყვნენ „ტორინო“ (1943), „ნაპოლი“ (1987) და „იუვენტუსი“ (1960 და 1995)

„გასული კვირა ჩვენთვის საუცხოო იყო. ცხოვრებაში ასეთი ხშირად არ ხდება. ვულოცავ ჩემს ბიჭებს. ნამდვილად არ მეგონა თუ ისინი სკუდეტოს მოგებიდან რამდენიმე დღეში ხელახლა დამუხტავდნენ თავიანთ ბატარიებს“ — განაცხადა მატჩის შემდეგ რომაელთა მწვრთნელმა სვენ გორან ერიკსონმა.

შემდეგ შვედ სპეციალისტს „ინტერის“ ფორვარდზე, კრისტიან ვიერიზე ჰკითხეს. მოგეხსენებათ, ვიერი წინა სეზონში „ლაციოში“ თამაშობდა და ამასწინათ კლუბის პრეზიდენტმა, სერჯიო კრანიოტიმ განაცხადა მისი დაბრუნება მსურსო.

„არის ვინმე ვისაც ვიერი არ სურს?“ — იკითხა ერიკსონმა. „ცხადია, მისი დაბრუნება გამახარებს“

და შემდეგ: „სკუდეტო, ბუნებრივია, თასზე მნიშვნელოვანია, მაგრამ არის ხალხი, ვინც ფინალში ვერ გავიდა და ამიტომ ამრეზით ამბობს, ეგ პატარა ჯილდოაო. მე სიამოვნებით მოვიგებდი ბევრ ასეთ პატარა ჯილდოს. დღევანდელი თასიც ჩვენს დიდების დარბაზს შემატება“.

## ისრაელი

### თასის ფინალი

**ჰაპოელი (თელ ავივი) 2:2 დ.დ. (პენ. 4:2, 1:1) ბეითარი**

1:0 რაჩუნიკი (86), 1:1 პახა (90), 2:1 ტუამა (115), 2:2 პახა (119)

## სლოვენია

### თასის ფინალი

საპასუხო მატჩი

**ოლიმპია 2:0 პრევალიე (1:2)**

1:0 კუიოვიჩი (45), 2:0 კმეტეცი (65)

## ინგლისი

### I დივიზიონი

პლეი ოფი. საპასუხო მატჩი

**ბარნსლი 1:2 ბირმინგემი (4:0)**

0:1 როუეტი (33), 1:1 დიერი (54), 1:2 მარსელო (75)

ფინალი

29 მაისი. ბარნსლი — იფსვიჩ ტაუნი

### II დივიზიონი

ფინალი

28 მაისი. ჯილინგემი — უიგანი

### III დივიზიონი

ფინალი

26 მაისი. დარლინგტონი — პიტერბრო

## გერმანია

### მეორე ბუნდესლიგა

XXXII ტური

**ვალდჰოფი 2:3 ოფენბახი**

0:1 სიმონი (6), 1:1 ვინცე (57), 2:1 კლაუცი (66), 2:2, 2:3 გაისმაიერი (80, 90)

**ფორტუნა 1:2 მიონხენგლადბახი**

0:1 ნილსენი (32), 1:1 იუნგა-მუანი (61), 1:2 კლინკერტი (82)

**ქემნიცი 1:1 კიკერსი**

1:0 ულმანი (22), 1:1 ტ. მარიჩი (24)

**კარლსრუე 0:3 ობერჰაუზენი**

0:1, 0:2 ობადი (31, 60), 0:3 პაიერი (90)

**ჰანოვერი 1:2 ფიურტი**

1:0 კროიცი (8), 1:1 მაიხელბეკი (64), 1:2 რუმანი (89)

**ალემანია 1:2 კიოლნი**

0:1 ვოიტი (4), 0:2 შერცი (33), 1:2 პაი პუი (77)

**კოტბუსი 3:2 ზანქტ პაული**

1:0 ჰაიდრიხი (35), 1:1 პოლუნინი (56), 2:1 მირიუტა (63), 2:2 მარინი (69), 3:2 მირიუტა (79)

**მაინცი 2:1 ბერლინი**

0:1 უაკილი (30), 1:1 კლომპი (38), 2:1 როდრიგესი (87)

**ნიურნბერგი 0:1 ბოხუმი**

0:1 ბალუშინსკი (83)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კიოლნი | 32 | 18 | 8 | 6 | 62:34 | 62 |
| ბოხუმი | 32 | 17 | 6 | 9 | 59:44 | 57 |
| კოტბუსი | 32 | 16 | 4 | 12 | 58:41 | 52 |
| გლადბახი | 32 | 13 | 12 | 7 | 53:40 | 51 |
| ნიურნბერგი | 32 | 13 | 10 | 9 | 49:44 | 49 |
| ობერჰაუზენი | 32 | 11 | 12 | 9 | 39:33 | 45 |
| ალემანია | 32 | 12 | 9 | 11 | 44:49 | 45 |
| ჰანოვერი | 32 | 12 | 7 | 13 | 52:51 | 43 |
| მაინცი | 32 | 10 | 12 | 10 | 38:36 | 42 |
| ფიურტი | 32 | 9 | 15 | 8 | 36:37 | 42 |
| ვალდჰოფი | 32 | 10 | 12 | 10 | 49:51 | 42 |
| ქემნიცი | 32 | 10 | 10 | 12 | 40:44 | 40 |
| ბერლინი | 32 | 10 | 10 | 12 | 41:46 | 40 |
| ზტ. პაული | 32 | 8 | 14 | 10 | 33:38 | 38 |
| კიკერსი | 32 | 9 | 8 | 15 | 46:56 | 35 |
| ოფენბახი | 32 | 8 | 11 | 13 | 33:52 | 35 |
| ფორტუნა | 32 | 6 | 11 | 15 | 31:48 | 29 |
| კარლსრუე | 32 | 5 | 11 | 16 | 34:53 | 26 |

## პოლონეთი

### გადადებული მატჩი

**ვიძევი 4:3 პლოცკი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პოლონია | 27 | 18 | 5 | 4 | 48:22 | 59 |
| ვისლა | 27 | 15 | 7 | 5 | 59:34 | 52 |
| რუხი | 27 | 14 | 9 | 4 | 47:26 | 51 |
| ლეგია | 27 | 13 | 10 | 4 | 52:29 | 49 |
| ამიცა | 27 | 10 | 10 | 7 | 39:31 | 40 |
| ზაგლებე | 27 | 10 | 9 | 8 | 35:30 | 39 |
| ვიძევი | 27 | 10 | 6 | 11 | 41:47 | 36 |
| სტომილი | 27 | 8 | 11 | 8 | 28:36 | 35 |
| პოგონი | 27 | 8 | 10 | 9 | 39:46 | 34 |
| რაძიონწკოვი | 27 | 10 | 4 | 13 | 35:44 | 34 |
| ოდრა | 27 | 9 | 6 | 12 | 28:31 | 33 |
| გროცლინი | 27 | 9 | 2 | 16 | 24:43 | 29 |
| პლოცკი | 27 | 7 | 6 | 14 | 28:44 | 27 |
| გურნიკი | 27 | 6 | 8 | 13 | 34:38 | 26 |
| ლკს | 27 | 6 | 7 | 14 | 22:35 | 25 |
| ლეხი | 27 | 5 | 6 | 16 | 31:52 | 21 |

## უნგრეთი

31-ე ტური: ფერენცვაროში — ჰონვედი 1:0; დუნაფერი — დიორ ეტო 1:0; ნიირშეგი — მტკ 0:0; დიოშდიორი — ვაცი 1:1; დებრეცენი — ზალაეგერსეგი 2:2; უიპეშტი — პეჩი 1:2; ტატაბანია — ვაშაში 2:0; ნადიკანიჟა — ჰალადაში 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დუნაფერი | 30 | 22 | 7 | 1 | 74:23 | 73 |
| მტკ | 30 | 17 | 9 | 4 | 60:24 | 60 |
| ვაშაში | 30 | 18 | 4 | 8 | 56:28 | 58 |
| ტატაბანია | 30 | 13 | 12 | 5 | 33:31 | 51 |
| ფერენცვაროში | 31 | 13 | 8 | 10 | 55:37 | 47 |
| დებრეცენი | 30 | 12 | 8 | 10 | 44:40 | 44 |
| პეჩი | 30 | 11 | 10 | 9 | 38:44 | 43 |
| დიორ ეტო | 30 | 11 | 8 | 11 | 47:34 | 41 |
| ნიირშეგი | 30 | 11 | 8 | 11 | 30:39 | 41 |
| უიპეშტი | 30 | 10 | 10 | 10 | 45:38 | 40 |
| ჰონვედი | 31 | 10 | 9 | 12 | 27:35 | 39 |
| ზალაეგერსეგი | 30 | 8 | 14 | 8 | 32:28 | 38 |
| ჰალადაში | 30 | 7 | 8 | 15 | 32:47 | 29 |
| ნადიკანიჟა | 30 | 6 | 9 | 15 | 22:42 | 27 |
| დიოშდიორი | 30 | 5 | 9 | 16 | 25:50 | 24 |
| შიოფოკი | 30 | 6 | 7 | 17 | 25:50 | 22 |
| ვაცი | 30 | 3 | 6 | 21 | 24:79 | 15 |

„შიოფოკს“ დაკლებული აქვს 3 ქულა

# მექრთამეები

გუშინ ბელგიაში ახალი საფეხბურთო სკანდალი აგორდა: პირველი დივიზიონის ფეხბურთელებმა აღიარეს, რომ თამაშების ჩაწყობაში ქრთამს იღებდნენ.

კერძოდ, ანტიკორუფციული სამსახურის გამომძიებლებს „ვესტერლოს“ ყოფილი მოთამაშეები, ჰოლანდიელი კოენ ბურგი და ბელგიელი მარკ კოქსი გამოუტყდნენ. თურმე მათ, 1999 წლის 18 აპრილს „კორტრაიკთან“ წაგების საფასურად 550 დოლარის ექვივალენტური 25 ათასი ბელგიური ფრანკი მიუღიათ.

ის თამაში „კორტრაიკმა“ 4:2 მოიგო, მაგრამ საბოლოოდ მაინც ბოლოსწინა ადგილზე გავიდა და ლიგიდან გავარდა. გარდა ამისა, არის ეჭვი, რომ ბელგიაში თამაშებს ის ტოტალიზატორი აწყობს, რომელსაც ჰოლანდიელი ნარკომაფიოზები მართავენ. ზემოხსენებულმა ფეხბურთელებმა, რომელთაც ციხე და ფეხბურთიდან სამუდამო მოკვეთა ემუქრებათ, განაცხადეს, რომ ტოტალიზატორის შესახებ არაფერი იცოდნენ.

აღსანიშნავია, რომ კერძო პირთა კორუფციის საწინააღმდეგო კანონი ბელგიაში მხოლოდ 1999 წელს მიიღეს.

ნახევარმცველი ბურგი 32 წლისაა და ამჟამად „სენტ ტრუიდენში“ თამაშობს, თუმცა კლუბმა განაცხადა, რომ ბრალდებათა გამო ეს ფეხბურთელი უკვე გარიცხა თავის რიგებიდან.

კოქსი მცველია და „ვესტერლოს“ შემდეგ მეორე დივიზიონის „დესელში“ თამაშობს.

„ვესტერლოს“ ყოფილმა მწვრთნელმა, ჟოს ჰეილინგენმა მხრები აიჩეჩა, ვერ გამიგია, ეს ორი ჩინებული მოთამაშე ასეთ საქმეში რატომ გაეხვაო.

## Copa Toyota Libertadores '2000

### მერვედფინალი. საპასუხო მატჩები

**ატლეტიკო პარანენსე (ბრაზილია) 2:1 (პენ.3:5) ატლეტიკო მინეირო (ბრაზილია) (0:1)**

1:0 კელი (27), 2:0 ლუიზინიო ნეტო (37), 2:1 მარკეში (80)
ატლეტიკო პარანენსე: ფლავიო, ლუიზინიო ნეტო, გუსტავო, რეგინალდო, ჟორჟინიო, გოიანო (კოკიტო 88), მარკუს ვინიციუსი, ადრიანო, ლუკასი (ჟილსონ ბატატა 80), კელი, კლებერი (სილასი 63)
მწვრთნელი: ოსვალდო ალვარესი
ატლეტიკო მინეირო: ველოსო, ბრუნო (ანდრე 70), კლაუდიო კაკაპა, ჟილბერტო, კლეისონი, ვიტორი (ირენიო 46), გილერმე, გალო, მარკეში, კაიკო (ლინკოლნი 56), რამონი
მწვრთნელი: მარსიო არაუიო
გაფრთხილება: მარკეში, ვიტორი, კლეისონი, გუსტავო, მარკუს ვინიციუსი, ლინკოლნი, რეგინალდო, გალო
მსაჯი: ანტონიო პერეირა (ბრაზილია)

**ბოკა ხუნიორსი (არგენტინა) 5:3 ელ ნასიონალი (ეკვადორი) (0:0)**

1:0 რიკელმე (3), 2:0 მორენო (10), 2:1 კალე (12), 3:1 ბაროს შელოტო (22), 4:1 არუაბარენა (26), 5:1 ბერმუდესი (42), 5:2 ტრავერსო (65ს.კ.), 5:3 მალდონადო (89)
ბოკა ხუნიორსი: კორდობა, ბერმუდესი (ბატალია 46), არუაბარენა, იბარა, ტრავერსო, სამუელი, ბაროს შელოტო (ნავასი 62), მარკანტი (ხიმენესი 75), მორენო, რიკელმე, დელგადო
მწვრთნელი: კარლოს ბიანკი
ელ ნასიონალი: იბარა, კინტეროსი, კალე, კოროსო, კორონელი, რ. ბურბანო, ხ. ბურბანო (ორდონიესი 62), გომესი, ერერა (მალდონადო 81), ფერნანდესი (ზამორა 62), კალა
მწვრთნელი: დრაგან მირანოვიჩი
გაფრთხილება: კალე, ხ. ბურბანო, მორენო, ბატალია, ზამორა
მსაჯი: გუსტავო მენდესი (ურუგვაი)

**კორინთიანსი (ბრაზილია) 3:2 (პენ.4:3) როსარიო სენტრალი (არგენტინა) (2:3)**

1:0 ლუიზაო (31), 1:1 პიცი (38), 1:2 გორდილიო (46), 2:2 ედილსონი (57), 3:2 ლუიზაო (60)
კორინთიანსი: დიდა, დანიელი (მარკოს სენა 75), ფაბიო ლუსიანო, ადილსონი, კლებერი (დინეი 88), ვამპეტა, ედუ, მარსელინიო, რიკარდინიო, ედილსონი, ლუიზაო
მწვრთნელი: ოსვალდო დე ოლივეირა
როსარიო სენტრალი: ბულიუბასიჩი, გერბაუდო, კინტეროსი, მარა, კანალსი, რივაროლა, გორდილიო, კაპელეტი (მორენო ფაბიანესი 77), პიცი, გონსალესი, მაკერატესი (პიერუჩი 88)
მწვრთნელი: ედგარდო ბაუსა
გაფრთხილება: გონსალესი, გორდილიო, პიცი, ვამპეტა, ედუ, ლუიზაო, ადილსონი, კანალსი
მსაჯი: კარლოს ამარილა (პარაგვაი)

**რივერ პლეიტი (არგენტინა) 1:0 სერო პორტენიო (პარაგვაი) (4:0)**

1:0 კარდეტი (71)
რივერ პლეიტი: ბონანო, რამოსი, სარაბია, დიასი, ესკუდერო, იეპესი, სავიოლა (განკედო 74), ფრანკო, კარდეტი, ალვარესი (ლომბარდი 42), საპატა
მწვრთნელი: რამონ დიასი
სერო პორტენიო: ბობადილა, ბერნალი (რეკალდე 80), კ. ესპინოლა, კრისტალდო, კავალიერო, სტრუვაი, ხ. ესპინოლა, გომესი, კამპოსი (ფ. ფერეირა 80), ბაესი (ვ. ფერეირა 67), ბლანკო
მსაჯი: ჟოზე ლუიშ და როსა (ურუგვაი)

**ხუნიორი (კოლუმბია) 1:3 ატლასი (მექსიკა) (0:2)**

0:1 როდრიგესი (44), 0:2 ოსორნო (73), 1:2 ერერა (78), 1:3 და სილვა (85)
ხუნიორი: ხულიო, პალასიო, აგიარი, მოსკუერა, პალასიოსი, რამირესი, ტორესი (პიკალუა 46), კარდოსო (ერერა 63), რესტრეპო, ბალესტეროსი (როიანო 75), არიაგა
მწვრთნელი: ხუან ხოსე პელაესი
ატლასი: კაბუტო, მენდესი, კოკა, ბრისენო, ტორესი, სეპედა, სალასარი, როდრიგესი, კასერესი (დურანი 65), კასტილიო (ანდრადე 75), ოსორნო (და სილვა 78)
მწვრთნელი: რიკარდო ლავოლპე
გაფრთხილება: კაბუტო, მოსკუერა, პიკალუა, ანდრადე
მსაჯი: დანიელ ხიმენესი (არგენტინა)

**ამერიკა (კოლუმბია) 2:3 ამერიკა (მექსიკა) (1:2)**

0:1, 0:2 ბლანკო (12, 28), 1:2 კარვაალი (44), 1:3 ბლანკო (76), 2:3 ოვიედო (78)
ამერიკა (კოლუმბია): გომესი, გონსალესი, პოსადა (სალასარი 82), ვიაფარა, მაზირი, კარვაალი, საპატა (კინტანა 42), მატურანა (ფერეირა 60), ოვიედო, მორენო, კასტილიო
მწვრთნელი: ხაიმე დე ლა პავა
ამერიკა (მექსიკა): მარტინესი, სალგადო, დავინო, ლარა, დე ფარია (ვილა 62), კალდერონი (პატინო 89), ბლანკო, პარდო, სანჩესი (სანტიბანიესი 46), სილვა, ესტაი
მწვრთნელი: ალფრედო ტენა
გაფრთხილება: სანჩესი, კარვაალი, კინტანა, მორენო, ლარა, სალგადო, ოვიედო, სანტიბანიესი, პარდო, მარტინესი
მსაჯი: ორასიო ელიზონდო (არგენტინა)

**პალმეირასი (ბრაზილია) 3:1 (პენ.3:2) პენიაროლი (ურუგვაი) (0:2)**

1:0 ნენემი (26), 2:0, 3:0 მარსელო რამოსი (43, 56), 3:1 პაჩეკო (61)
პალმეირასი: მარკოსი, ნენემი, არჟელი, ანალდო (ფერუგემი 16), როკე ჟუნიორი, როჟერიო, ფერნანდო, ალექსი, პენა (ტადეი 86), ეულერი, ბასილიო (მარსელო რამოსი 25)
მწვრთნელი: ლუის ფელიპე სკოლარი
პენიაროლი: ელდუაიენი, ბარბოსა, ე. დე ლოს სანტოსი, ხ. დე ლოს სანტოსი, ბორხასი (აგუირეგარაი 89), გიაკომაცი, პაჩეკო, ბენგოეჩეა, ფრანკო (ბუენო 77), კანსელა (რომერო 81), სედრესი
მწვრთნელი: ხულიო რივასი
გაფრთხილება: არჟელი, კანსელა, ე. დე ლოს სანტოსი, ფერნანდო, ბენგოეჩეა, ფერუგემი
მსაჯი: ეპიფანიო გონსალესი (პარაგვაი)

**ბოლივარი (ბოლივია) 3:0 (პენ. 5:3) ნასიონალი (ურუგვაი) (0:3)**

1:0 გარსია (15), 2:0 ფერეირა (21), 3:0 ბალდივიესო (22)
ბოლივარი: მალტალიატი, პიზარო, ფერეირა, ლოსანო, სორია, გატი რიბეირო, გარსია, ბოტერო, ბალდივიესო, პენა (გოტარდი 71), კასტილიო (სანჩესი 90)
მწვრთნელი: ლუის ოროსკო
ნასიონალი: რომაი, დელ კამპო, ლემბო, და კოსტა, ბერგარა, სკოტი, მორალესი, კოელიო (მენესესი 56), ვარელა (გუიგო 43), და სილვა, რეგუეირო (ალვეში 63)
მწვრთნელი: უგო დე ლეონი
გაფრთხილება: რომაი, ბოტერო, სორია, გუიგო, მენესესი, და სილვა, მორალესი
მსაჯი: მარიო სანჩესი (ჩილე)

ინგლისი

# შენ — ასეთი სწრაფი, შენ — ასეთი ლამაზი...

## ქვლავ

გლენ ჰოდლმა, რომელიც ამ ზამთრის მიწურულს კვლავ გამოჩნდა პრემიერლიგაში, თქვა, რომ მალე ინგლისის ჩემპიონატი შოტლანდიისას დამსგავსება და ჩემპიონიც მარადიული ეყოლება: „მანჩესტერ იუნაიტედი“ „გლაზგო რეინჯერსის“ იერს დაიდებს ინგლისურ შეჯიბრში.

შთამბეჭდავი შედეგი, რვა სეზონში ექვსჯერ მოგებული ტიტული, ჰოდლის ამ გამონათქვამის ერთგვარი საფუძველია.

ამას ისიც ამყარებს, რომ წლეულს „მანჩესტერმა“ ერთი ამოსუნთქვით გადაირბინა ძველი ინგლისის მინდვრებზე და ოთხი ტურით ადრე გაინაღდა ჩემპიონობა. ბოლო სეზონების მუდმივი თანამდევი — „არსენალი“ კვლავ მეორე დარჩა, ოღონდ შარშანდელისგან განსხვავებით, უშანსო მეორე, რომელმაც ეს ადგილი „ლივერპულსა“ და „ლიდსს“ გამოგლიჯა.

თუ ჰოდლის ნათქვამს გავყვებით, მაშინ მეთოფეებმა „სელტიკის“ წარმოსახვითი ფორმა უნდა მოირგონ.

მაგრამ მათი მესაჭე არსენ ვენგერი ჰოდლს ვერასგზით დაეთანხმება. ფეხბურთის ინტელექტუალად შერაცხული ტანხმელი ფრანგი მეხუთე წელიწადია პრემიერლიგაშია და ჩემპიონობის გემოც იცის და თასისაც.

ინგლისური ფეხბურთი მეტად მდიდარია იმისთვის, რომ სქოთურ შეჯიბრს დაემსგავსოს.

ვენგერი ამბობს: „ყველაფერი სულელურად აეწყო. სეზონის დასაწყისში რამდენიმე ქულა დავკარგეთ და ეს საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, „მანჩესტერი“ ჩემპიონი გამხდარიყო. კალენდარი მათ წარმატებაზე იყო აგებული, მათ არ ითამაშეს თასზე, შვებულება მოიწყვეს ბრაზილიაში და ზამთრიდან არარაფერი დათმეს, ქულათა მარაგი აღარ დაკარგეს...“

ყველაფერი მართალია, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სეზონის დასაწყისში დაკარგულ ქულათა შორის ის სამი ქულაც იყო, როი კინის წყვილი გოლით რომ წამოიღო ფერგიუსონის გუნდმა „ჰაიბერიდან“. იმ დრამატული, გაწევ-გამოწევებით სავსე თამაშის შედეგი სიმბოლურიც კი იყო ამ სეზონისთვის.

„მანჩესტერი“, „არსენალის“, „ლიდსისა“ და „ჩელსისგან“ განსხვავებით შეუდარებლად იოლად, ფრეებითართმევდა თავს წამოჭრილ სირთულეებს. რომ გავიხსენოთ ფრეები ისეთ ურჯუკ გუნდებთან, როგორებიც „ნიუკასლი“ და „სანდერლენდია“, დავინახავთ რომ „იუნაიტედი“, თვით ყველაზე ცუდ ფორმაში მყოფიც კი, ახერხებდა თამაშის შემოტრიალებას და ქულის შოვნას.

და კიდევ, „მანჩესტერს“ ყოველთვის ჰყავდა კაცი, რომელიც მატჩის ბედს წყვეტდა.

იორკ-კოულის დუეტის ერთგვარად ფერმკრთალი (შარშანდელთან შედარებით) თამაშის ფონზე, შეხვედრის ბედს განუწყვეტლივ წყვეტდა კაპიტანი როი კინი.

ისევე როგორც ოთხი წლის წინათ ერიკ კანტონამ გადაწყვიტა უმნიშვნელოვანესი სალიგო თამაშების ბედი, წელს — კინმა. კინი სეზონის საუკეთესო პრემიერლიგელად გამოცხადდა. და სეზონის განმავლობაში სწორედ ის რჩებოდა „იუნაიტედის“ ყველაზე სტაბილურ ფეხბურთელად.

## თავდასხმა და სხვა

ჩემპიონატის უკანასკნელ მესამედში აიწყვიტა მეთოფე ტიერი ანრიმ. მისი გემოვნებიანი გოლების უმრავლესობა არ გავიდოდა, „არსენალს“ რომ ცენტრფორვარდად ამგვარად მოაზროვნე ფეხბურთელი არ ჰყოლოდა.

ასეთ მოთამაშედ „ჩელსიში“ გუსტავო პოიეტი უნდა მივიჩნიოთ, თუმცა „ჩელსი“ სეზონს ვერ გაწვდა და ბოლოს აშკარად უკლო. პოიეტსაც არ ჰქონია საშუალება გუნდის ნამდვილ ლიდერად ქცეულიყო, რადგან ჯანლუკა ვიალიმ ეგრეც ვერ შეძლო თავისი გუნდის მოქნილ და სათამაშო სურათის შემნარჩუნებელ ბრიგადად ქცევა. ლამაზ და ძალმოსილ გაელვებებს ცივი წყალი გადაესხმებოდა ხოლმე, დენის უაიზის მოუღლელი მუხლი კი ხშირად ვერაფერს შველოდა.

მოუღლელობა — აი ის, რაც ასევე აკლდა „ჩელსის“ უცნაური მწვრთნელის გუნდს.

მოუღლელობა პრემიერლიგულ მარათონში — აი, რით მოიწონებენ თავს „მანჩესტერი“ და „არსენალი“.

შეტევის ლიდერთა გამოცდა მოუღლელობით — კოულისა და იორკის წლევანდელი კურაჟიც კი ეყო ამის დამტკიცებას. თავდასხმის პრობლემათა გამო თუ ვილაპარაკებთ, აქაც „მანჩესტერი“ დაგვიდგება თვალწინ. ეგებ თავმჯდომარე მარტინ ედვარდსი არავის ყიდულობდეს, მაგრამ ფერგიუსონის გუნდი ერთადერთია, რომელსაც შეთამაშებული თავდასხმის წყვილები ჰყავს: არ არის იორკი-კოული, არის სოლსკიაერი-შერინგემი. ეს კი ნამდვილი განძია. კრის სატონი ისე ვერ ცვლის ფლოს, როგორც სოლსკიაერი კოულს, დავორ შუკერი კი ისე ვერ ცვლის კანუს ან ანრის, როგორც შერი იორკს.

თავდასხმის წყვილი ბევრ პრობლემას ხსნის. საკმარისი იყო ბობი რობსონს შეეწყო ალან შირერი და დანკან ფერგიუსონი, რომ... ანდა, დახეთ რა იყო „სანდერლენდში“ — ნაილ ქუინი-კევინ ფილიპსი. „ნიუკასლისა“ და „სანდერლენდის“ ტიპის გუნდები, რომლებსაც ემარჯვებათ და უყვართ თავდასხმაში ერთი გრძელი პასით გადასვლა, სწორედ ამგვარი წყვილებს ემყარებიან. მაგრამ აბა ვინ შეცვლის შირერს, ან ფილიპსს? ესეც „მანჩესტერის“ პლუსი.

წლევანდელ საუკეთესო მეგოლეთა ცხრილში ლამის სულ წყილებია:

იორკი-კოული, ჯამში 39 გოლი, ფილიპსი-ქუინი — ჯამში 44, ტოტენჰემური — კრის არმსტრონგი-ივერსენი — ჯამში 28. დანკან ფერგიუსონის ტრავმა რომ არა, ათეულში კიდევ ერთი წყვილი იქნებოდა.

„ჩელსისა“ და „არსენალში“ არ შეიმჩნევა ამგვარი ტენდენცია, თუმცა, ამ გუნდების სათამაშო სურათი ისეთია, რომ თითქმის გამორიცხავს წყვილ მეგოლეთა არსებობას.

## შარშანდელი

მთელს ამ ორომტრიალში „ლიდსი“ არ გვიხსენებია. შარშანდელი სეზონის აღმოჩენა წლეულსაც შარშანდელი სეზონის აღმოჩენად დარჩა. ეს მოსალოდნელიც იყო და მოულოდნელიც. ყმაწვილთა „ლიდსი“ ახალი წლის დადგომისასაც ლიდერი იყო, თუმცა, მისი მენეჯერი დევიდ ოლირი ყოველ შაბათს სიფრთხილით აცხადებდა, ლიდერობა კარგია, მაგრამ ჩვენ ჩემპიონები არ ვართო.

ეს, რა თქმა უნდა, ფანდი იყო. ოლირი ცდას არ აკლებდა, რომ ლიდერობა შეენარჩუნებინა. სეზონის პირველი ნახევარი საუცხოოდ ჩაატარეს მაიკლ ბრიჯისმა და ალან სმიტმა, ბოლო მესამედი კი ჰარი კიუელმა, რომელსაც რამდენიმე ფანტასტიკური თამაში ჰქონდა.

წლის საუკეთესო თამაში „ლიდსმა“ ლონდონში „ჩელსისთან“ ჩაატარა და სტივ მაკფაილის დუბლით მოიგო. ძირითადი შემადგენლობის პრობლემებმა „ლიდსს“ მაშინ უწია, როცა „მანჩესტერი“ ბრაზილიიდან დაბრუნდა.



საუკეთესო პრემიერლიგელი როი კინი

ო ლირის გუნდმა წააგო ფერგიუსონის გუნდთან, ისევე, როგორც ვენგერის გუნდმა წააგო სეზონის დასაწყისში. თავის მხრივ, „მანჩესტერს“ უკვე კარგა ხნის მოლეული ჰქონდა ყველაზე ცუდი თამაში — 0:5 „ჩელსისთან“.

„ლიდსის“ წაგებათა სერიამ წინა სეზონის „ასტონ ვილას“ აღმასვლა გაგვახსენა, რაც ლიდერობიდან აუტსაიდერობით დასრულდა. თუმცა, ამგვარი შედარება სწორი არ არის, რადგან უკვე ჩემპიონობას ჩამოცილებულმა „ლიდსმა“ სეზონის ბოლო საუცხოოდ ჩაატარა, შარშანდელთან შედარებით ერთი საფეხურით აინაცვლა და ჩემპიონთა ლიგის საგზურიც მოიგო.

„ლიდსის“ ახალ სიმაღლეზე ასვლა ამ სეზონში მოულოდნელი იქნებოდა. ამ ყმაწვილ ვარსკვლავთა გუნდს შემადგენლობის ხშირი ცვლა სულაც არ არგია, რადგან შეუძლებელია ყოველმა ახალბედამ ისე გაამართლოს ყოველ თამაშში, როგორც შარშან გაამართლეს სმიტმა და კიუელმა. განსაკუთრებით საგრძნობია ეს პრობლემა, როცა იძულებული ხარ შემადგენლობა ცვალო.

და კიდევ, „ლიდსის“ ერთ-ერთი ნაკლი მოუქნელობაა. არა, კიუელი, ბრიჯისი და ლი ბოიერი ძალიან მოქნილები არიან, მაგრამ ტაქტიკური და გუნდური მოქნილობა სხვაა. პრობლემას შეჯახებული „ლიდსი“ თავისი განთქმული, უხეშობასთან ახლოს მდგომი „უტეხი სულით“ ცდილობს კედლის განგრევას. რაღაც დონეზე ეს გასდის — მაგრამ უფრო ხშირად, ვერა.

და მაინც, „ლიდსი“ კვლავ რჩება პრემიერლიგის ყველაზე პერსპექტიულ გუნდად.

## გაუშვი

პრემიერლიგაში ბევრი გოლი გააქვთ და ბევრსაც უშვებენ. ინგლისის ჩემპიონმა ბევრად მეტი გაუშვა, ვიდრე იტალიის და გერმანიის (მომავალმა) ჩემპიონებმა. სულ ორიოდ გოლით ჩამორჩნენ „მანჩესტერს“ „არსენალი“ და „ჩელსი“. სამაგიეროდ, „მანჩესტერმა“ ბევრად მეტი გაიტანა, ვიდრე სხვა ჩემპიონებმა.

ერთის მხრივ ეს გამოწვეულია ინგლისურ თამაშში ჯერ კიდევ შემორჩენილი დაცვის ლიბერალიზმით, მეორეს მხრივ იმავ „მანჩესტერის“, „არსენალის“ და „ლიდსის“ დაცვაში მნიშვნელოვან ფიგურათა ხშირი ტრავმებით (რონი იონსენი, ტონი ადამსი, ნაიჯელ უინტერბერნი, ლუკას რადებე).

ლიდერთა ხუთეულიდან სწორედ იმან გაუშვა ყველაზე ცოტა გოლი, ვინც დაცვაში იძულებით ექსპერიმენტებს არ მიმართავდა.

დაცვაში ქვეყნის ჩემპიონი „ლივერპული“ გახდა, რომელმაც ინგლისის პირობებში ძალიან ცოტა — 30 გოლი გაუშვა. ჟერარ ულიემ ალბათ დიდხანს იფიქრა, როგორ გაემართა წელში უდიადესი კლუბის ახლანდელი გუნდი და ფორმულასაც მიაგნო — ძლიერი დაცვა, რომელსაც სამი ჰიიპია თავკაცობს. სხვა დროს შეგველო გვეთქვა, „ლივერპული“ დაცვის გუნდია, მისი საუკეთესო ფეხბურთელები მცველები არიანო, მაგრამ როგორ ვთქვათ ეს, როცა ამ გუნდის ცეცხლის ხაზზე მაიკლ ოუენი, რობი ფაულერი და ემილ ჰესკი არიან, მათ კი პატრიკ ბერგერი და ტიტი კამარა უმაგრებენ ზურგს?

არადა, გატანილი გოლების მხრივ „ლივერპული“ თავმდაბლურად დგას მეათე ადგილზე.

პარადოქსს ჰგავს, მაგრამ საუკეთესო მონაკვეთი გუნდს მაშინ ჰქონდა, როცა ტრავმების გამო არ თამაშობდნენ ოუენი, ფაულერი და ჯეიმი რედნაპი. პრობლემები მათ გამოჩენას დაემთხვა. ეს უცნაურია, მაგრამ არსებობს ძველი აქსიომაც — გამარჯვებული შემადგენლობა არ იცვლება. თუმც, ეს ზედაპირული ნათქვამია, მით უმეტეს დღეს.

„ლივერპულის“ მთავარ პრობლემად კვლავ რჩება ნახევარდაცვა, რომელსაც წლეულს სწრაფი კონტრშეტევა უფრო გამოსდიოდა, ვიდრე ბურთის მახვილგონიერად და სწრაფად გათამაშება მაშინ, როცა მოწინააღმდეგემ უკვე მოასწრო თავის ნახევარზე გამაგრება. „ლივერპულს“ არ გამოსდიოდა მჭრელი პასები: შმიცერი, ბერგერი და ჰამანი გაბრწყინებათა მიუხედავად ეპიზოდის ფეხბურთელები არიან. ერთი კამარა გაზაფხულს ვერ მოიყვანს, რედნაპს კი იმდენი ოფლისღვრა მოუხდა ტრავმის შემდეგ კვლავ ძირითადში მოსახვედრად, რომ ლიდერობა ველარ იტვირთა.

ბოლო ხუთ ტურში „ლივერპულმა“ გოლი ვერ გაიტანა.

თვით ისეთი ტაქტიკური და სათამაშო შესაძლებლობების ფეხბურთელიც კი, როგორიც ოუენია, „ლივერპულის“ ნახევარდაცვისგან მეტად ულაზათოდ იკვებება და რასაც ახერხებს, მისი პირადი დამსახურებაა. მით უმეტეს, მისთვისვე მეტად მძიმე სეზონში.

ასე რომ, აქაც ნათლად ჩანს — ოუენს რომ ზურგს უკან კინი, ბექემი, პეტი, ან თუნდაც გარი მაკალისტერი ჰყოლოდა, „ლივერპული“ მეტს გაიტანდა. პატრიკ ბერგერს კი ხუთ თამაშში ერთხელ შეუძლია ბრწყინვალე გოლის გატანა და არამც და არამც ოუენის ათამაშება.

## სისწრაფე

პრემიერლიგის ცხრილს რომ გადავავლოთ თვალი, სულ ორიოდე გუნდი თუ შეგვხვდება ისეთი, ამ სეზონში სამი-ოთხი კარგი თამაშით რომ არ დაემახსოვრებინოს თავი.

„ასტონ ვილამ“ მთავარმეგოლე დიონ დაბლინის გარეშე გაატარა სეზონი და მაინც შესაშური სტაბილურობა გამოავლინა. „სანდერლენდმა“ სეზონის ნახევარზე მეტი სამეულში გაატარა და მერეღა მოიქანცა.

ცხრილის საშუალოთა შორის სწორედ „სანდერლენდს“ ვამჯობინებდით. საშუალოთაგან სწორედ ამ გუნდმა შეძლო ყველაზე მეტი თამაშის მოგება („ლესტერთან“ ერთად). „ლესტერი“ „ვესტ ჰემის“ დარად სერიული ჩავარდნით არ გამორჩეულა. „სანდერლენდს“ ჰქონდა ასეთი ჩავარდნა (ისევე როგორც „ნიუკასლს“, ოღონდ სეზონის დასაწყისში) მაგრამ ამ გუნდს ჰქონდა სხვა კოზირი (ისევე როგორც „ნიუკასლს“) — ჰყავდა მაღალი დონის გუნდის სადაგი თავდასხმა. „ლესტერი“ უფრო სტაბილური იყო, მაგრამ აკლდა თავდასხმის შთამბეჭდავი იერი. არასტაბილურმა თავდასხმის ხაზმა (კვლავ ტრავმები) დაჩაგრა წლეულს „ევერტონი“, რომელსაც ასევე არ ჰქონია თვალში საცემი, სერიული ჩავარდნა.

ამათ შემდეგ ვახსენებდით „ტოტენჰემს“, რომელიც შემადგენლობით ბევრად მაღლა დგას საგრაფოთა გუნდებზე, მაგრამ თამაშით ყველაზე უფერულია. „ტოტენჰემს“ უფრო შიდასაკლუბო პრობლემების გამო გაუჭირდა ამ სეზონში. მენეჯერი ჯორჯ გრემი უცხო სხეულად ჩანდა გუნდში, კლუბის უფროსობისთვის კი გუნდი იყო უცხო სხეული.

სხვაგვარად, თვალი რომ გადავავლოთ განვლილ პრემიერლიგას, თვალში გვეცემა რამდენიმე რამ:

პირობა სისწრაფეა. პრემიერლიგა სისწრაფეზეა აწყობილი. სწრაფად საქმეების კეთება გულისხმობს სწრაფ აზროვნებას, ერთგვარ მექანიკურობას და ფიზიკურ მზადყოფნას. მაგრამ დღეს ინგლისური ფეხბურთის მოწინავე გუნდები ღრუბელივით ისრუტავენ მრავალი საფეხბურთო კულტურის ნიშნებს. ამის მიუხედავად მთავარი პრინციპი იქაური თამაშისა ურყევი რჩება.

ინგლისში ახლაც წარმოუდგენლად ფასობს, თუ შეიძლება ასე ითქვას, ერთი ამოსუნთქვით თამაში.

პრემიერლიგის ოცი გუნდიდან თვრამეტს ჰქონდა აღმაფრენის სერიები. ჩვიდმეტს ჰქონდა ძალიან დაბალი დონის მატჩები. საერთოდ კი, პრემიერლიგის მწვრთნელებისთვის ყველაზე ძნელი ალბათ სეზონის დაგეგმვაა, რადგან ამ სისწრაფესა და უკანმოუხედავობაში ძალიან ძნელია ყოველ შაბათს ერთი ამოსუნთქვის დაჭერა.

ვინც ამას ახერხებს, უკვე გარკვეული უპირატესობა აქვს.

შემადგენლობის საგრძნობი ცვლა ამ შემთხვევაში წარმატების პირობა არ არის. „არსენალი“, „ლიდსი“ და „ჩელსი“ განახლებული იერით სულაც არ იყვნენ შთამბეჭდავნი.

და ბოლოს, კვლავ „მანჩესტერი“ — სწრაფი და მრავალმხრივი შეტევა, ხშირად შეტევა მეორე და მესამე ტემპით, მკვეთრად ჩამოქნილი ძირითადი შემადგენლობა წინდაწინვე ცნობილი შემცვლელებით და, რაც მთავარია, უნარი საჭირო დროს ამოსუნთქვისა და თამაშის ბედის შემოტრიალებისა, ოსტატობის და საკუთარი ძალების რწმენისა.

აქ არარაფერს ვიტყვით ფეხბურთელებზე და გუნდურ კლასზე, ანუ გადამწყვეტ პოზიციაზე ძალიან ძლიერი, ფორმაში მყოფი ოსტატის ყოლაზე. ასევე არარაფერს კომბინაციათა მახვილგონიერებისა და შესრულების დონეზე, ავტომატიზმამდე მისულ შემოქმედებაზე...

შედეგი — გლენ ჰოდლის შიში. თუმცა კი, მაინც ნაკლებადასახდენი. პრემიერლიგა ხომ ასეთი სწრაფია.

**ირაკლი გამყრელიძე**

| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩესტერი | | 1:1 | 2:0 | 1:1 | 3:2 | 3:0 | 4:0 | 2:0 | 7:1 | 3:1 | 5:1 | 1:0 | 5:1 | 3:2 | 3:3 | 3:1 | 4:0 | 1:1 | 4:0 | 4:1 | 38 | 28 | 7 | 3 | 97:45 | 91 |
| 2. არსენალი | 1:2 | | 2:0 | 0:1 | 2:1 | 3:1 | 4:1 | 2:1 | 2:1 | 2:1 | 0:0 | 5:1 | 4:1 | 3:0 | 3:1 | 2:1 | 2:0 | 1:1 | 3:3 | 1:0 | 38 | 22 | 7 | 9 | 73:43 | 73 |
| 3. ლიდსი | 0:1 | 0:4 | | 1:2 | 0:1 | 1:2 | 2:1 | 2:1 | 1:0 | 1:0 | 3:2 | 2:0 | 1:1 | 3:0 | 1:0 | 0:0 | 2:1 | 4:1 | 2:0 | 3:1 | 38 | 21 | 6 | 11 | 58:43 | 69 |
| 4. ლივერპული | 2:3 | 2:0 | 3:1 | | 1:0 | 0:0 | 1:1 | 0:2 | 1:0 | 2:0 | 2:1 | 0:0 | 0:1 | 2:0 | 0:0 | 2:0 | 3:1 | 3:1 | 4:1 | 0:1 | 38 | 19 | 10 | 9 | 51:30 | 67 |
| 5. ჩელსი | 5:0 | 2:3 | 0:2 | 2:0 | | 1:0 | 4:0 | 1:1 | 0:0 | 1:0 | 1:0 | 1:1 | 1:1 | 2:1 | 1:1 | 4:0 | 1:0 | 3:1 | 3:0 | 2:1 | 38 | 18 | 11 | 9 | 53:34 | 65 |
| 6. ასტონ ვილა | 0:1 | 1:1 | 1:0 | 0:0 | 0:0 | | 1:1 | 2:2 | 2:2 | 1:1 | 0:1 | 1:0 | 3:0 | 1:0 | 0:1 | 2:0 | 1:0 | 1:1 | 2:1 | 4:0 | 38 | 15 | 13 | 10 | 46:35 | 58 |
| 7. სანდერლენდი | 2:2 | 0:0 | 1:2 | 0:2 | 4:1 | 2:1 | | 2:0 | 1:0 | 2:1 | 2:2 | 1:1 | 2:1 | 1:1 | 2:0 | 1:1 | 0:1 | 2:1 | 1:0 | 2:0 | 38 | 16 | 10 | 12 | 57:56 | 58 |
| 8. ლესტერი | 0:2 | 0:3 | 2:1 | 2:2 | 2:2 | 3:1 | 5:2 | | 1:3 | 0:1 | 1:2 | 2:1 | 1:1 | 1:0 | 2:1 | 0:1 | 3:0 | 2:1 | 3:0 | 1:0 | 38 | 16 | 7 | 15 | 55:55 | 55 |
| 9. ვესტ ჰემი | 2:4 | 2:1 | 0:0 | 1:0 | 0:0 | 1:1 | 1:1 | 2:1 | | 1:0 | 2:1 | 0:1 | 0:4 | 5:0 | 2:0 | 1:1 | 5:4 | 2:1 | 4:3 | 1:0 | 38 | 15 | 10 | 13 | 52:53 | 55 |
| 10. ტოტენჰემი | 3:1 | 2:1 | 1:2 | 1:0 | 0:1 | 2:4 | 3:1 | 2:3 | 0:0 | | 3:1 | 2:3 | 3:2 | 3:2 | 7:2 | 1:1 | 1:1 | 2:0 | 0:1 | 4:0 | 38 | 15 | 8 | 15 | 57:49 | 53 |
| 11. ნიუკასლი | 3:0 | 4:2 | 2:2 | 2:2 | 0:1 | 0:1 | 1:2 | 0:2 | 2:2 | 2:1 | | 2:1 | 1:1 | 2:0 | 5:0 | 2:0 | 2:0 | 3:3 | 8:0 | 1:0 | 38 | 14 | 10 | 14 | 63:54 | 52 |
| 12. მიდლსბრო | 3:4 | 2:1 | 0:0 | 1:0 | 0:1 | 0:4 | 1:1 | 0:3 | 2:0 | 2:1 | 2:2 | | 2:1 | 2:0 | 3:2 | 1:4 | 0:1 | 0:0 | 1:0 | 1:1 | 38 | 14 | 10 | 14 | 46:52 | 52 |
| 13. ევერტონი | 1:1 | 0:1 | 4:4 | 0:0 | 1:1 | 0:0 | 5:0 | 2:2 | 1:0 | 2:2 | 0:2 | 0:2 | | 1:1 | 4:1 | 2:1 | 4:0 | 4:0 | 1:1 | 4:2 | 38 | 12 | 14 | 12 | 59:49 | 50 |
| 14. ქოვენთრი | 1:2 | 3:2 | 3:4 | 0:3 | 2:2 | 2:1 | 3:2 | 0:1 | 1:0 | 0:1 | 4:1 | 2:1 | 1:0 | | 0:1 | 2:0 | 4:0 | 2:0 | 4:1 | 4:0 | 38 | 12 | 8 | 18 | 47:54 | 44 |
| 15. საუთჰემპტონი | 1:3 | 0:1 | 0:3 | 1:1 | 1:2 | 2:0 | 1:2 | 1:2 | 2:1 | 0:1 | 4:2 | 1:1 | 2:0 | 0:0 | | 3:3 | 1:0 | 2:0 | 2:0 | 2:0 | 38 | 12 | 8 | 18 | 45:62 | 44 |
| 16. დერბი | 1:2 | 1:2 | 0:1 | 0:2 | 3:1 | 0:2 | 0:5 | 3:0 | 1:2 | 0:1 | 0:0 | 1:3 | 1:0 | 0:0 | 2:0 | | 0:1 | 4:0 | 3:3 | 2:0 | 38 | 9 | 11 | 18 | 44:57 | 38 |
| 17. ბრედფორდი | 0:4 | 2:1 | 1:2 | 1:0 | 1:1 | 1:1 | 0:4 | 3:1 | 0:3 | 1:1 | 2:0 | 1:1 | 0:0 | 1:1 | 1:2 | 4:4 | | 3:0 | 1:1 | 3:2 | 38 | 9 | 9 | 20 | 38:68 | 36 |
| 18. უიმბლდონი | 2:2 | 1:3 | 2:0 | 1:2 | 0:1 | 2:2 | 1:0 | 2:1 | 2:2 | 1:1 | 2:0 | 2:3 | 0:3 | 1:1 | 1:1 | 2:2 | 3:2 | | 0:2 | 5:0 | 38 | 7 | 12 | 19 | 46:74 | 33 |
| 19. უენსდი | 0:1 | 1:1 | 0:3 | 1:2 | 1:0 | 0:1 | 0:2 | 4:0 | 3:1 | 1:2 | 0:2 | 1:0 | 0:2 | 0:0 | 0:1 | 0:2 | 2:0 | 5:1 | | 2:2 | 38 | 8 | 7 | 23 | 38:70 | 31 |
| 20. უოტფორდი | 2:3 | 2:3 | 1:2 | 2:3 | 1:0 | 0:1 | 2:3 | 1:1 | 1:2 | 1:1 | 1:1 | 1:3 | 1:3 | 1:0 | 3:2 | 0:0 | 1:0 | 2:3 | 1:0 | | 38 | 6 | 6 | 26 | 35:77 | 24 |

გიო ახვლედიანის

## სვეტი

### ძვირფასო ბატონო

ძვირფასო ბატონო ვენგერ, განა არ ვიცი, რომ მრავალი გამოჩენილი ფეხბურთელი აღგიზრდიათ და ინგლისისა და საფრანგეთის ჩემპიონობამდეც მიგიყვანიათ გუნდები?

ამის მიუხედავად, მინდა მოგახსენოთ, რომ თქვენი ფეხბურთისა ვერაფერი გავიგე.

კერძოდ, რა საჭიროა კარის წინ ბურთის ჩაწოდება, როცა იმთავითვე იგულისხმება, რომ მას არავინ ელის?

რა საჭიროა დენის ბერხკამპის მომქანცველი სახმელეთო მოგზაურობები ევროპის სხვადასხვა ქალაქებში, როცა ამ მოგზაურობებს აზრი არა აქვს?

რა საჭიროა დავორ შუკერი, თუ მას მხოლოდ სამი წუთი შეუძლია თამაში და ისიც ბურთის მიუღებლად?

რა საჭიროა პატრიკ ვიეირა, როცა წითელი ბარათის მიღება და წიხლების ქნევა მილიონობით ადამიანს ხელეწიფება?

რა საჭიროა მარკ ოვერმარსის სისწრაფე, როცა ამ სისწრაფის მოთხოვნილება არ არის?

როცა ამის მოთხოვნილება იყო, ოვერმარსის სისწრაფემ პრემიერლიგა მოგაგებინათ.

რაც შეეხება „გალათასარაის", მართლაც იმიტომ მოუგო „არსენალს", რომ გეორგე ჰაჯი გააძევეს და თქვენი აზრით, ამან თურქთა წისქვილზე დაასხა წყალი. უეფას თასის ფინალის ბედი მაშინ გადაწყდა, როცა მსაჯმა ლოპეს ნიეტომ იმ კარში დაადგინა პენალტების დარტყმა, რომლის უკანაც სტამბოლელი გულშემატკივრები ისხდნენ. ესეც თქვენი აზრია.

ამასთან დაკავშირებით, მინდა გკითხოთ, „არსენალში" მოსულმა პოლ მერსონი რომ პირველ დივიზიონში მიაყიდეთ თხასავით, მართლა გეშინოდათ, რომ ის ფლანგიდან ჩაკიდებებს არ დაიშლიდა და ამით თქვენს საფეხბურთო კონცეფციას წაახდენდა? და კიდევ — რომელი თქვენი ფეხბურთელი სჯობდა წლევანდელ სეზონში მერსონს?

აქვე მინდა გკითხოთ, როდესაც უეფას თასის ფინალში ოვერმარსი და ტიერი ანრი „პრასტრელებს" აკეთებდნენ კარის წინ, იქ იან რაიტი ან ვინმე მისი მსგავსი ხომ არ უნდა მდგარიყო?

დატუქსეთ თუ არა შეხვედრის შემდეგ ტონი ადამსი, რახან ჰაჯი გააძევებინა და ამით „გალათასარაის" საქმე გაუკეთა? მიუთითეთ თუ არა რეი პარლოუს იმის გამო, რომ თამაშში ერთადერთხელ მოახერხა და ანრის თავზე დაასვა ბურთი, ასეთი რამ კი ინტელექტუალურ ფეხბურთში ძველმოდურობის მანიშნებელია?

კიდევ მინდოდა რაღაც მეკითხა, ძვირფასო ბატონო ვენგერ, მაგრამ აღარ მაგონდება. სამწუხაროდ, კითხვები წინდაწინ არ ჩამომიწერია.

თუმცა, ჰო...

მართლა ორიათას ორ წლამდე აპირებთ „არსენალში" დარჩენას?

თუ მართალია, მაშინ როგორ გესახებათ ჩემპიონთა ლიგის ფინალში გასული „არსენალის" ფეხბურთი? და კიდევ, წინდაწინ მოითხოვთ თუ არა, რომ პენალტების სერია იმ კარში დაინიშნოს, რომლის უკანაც თურქები არ ისხდებიან?



„სიტის" ფანები „ბლექბერნთან" მატჩის შემდეგ: მორჩა, პრემიერლიგაში ვართ!

# სიტი იქ, სადაც უნდა იყოს

რა თქმა უნდა, გახსოვთ „სიტი".

ოდესღაც „სიტი" „ჩვენი" იყო. ისე რომ, არც კი დავუმატებდით — „მანჩესტერ სიტიო". ისედაც ყველამ ვიცოდით. თავისუფალ ევროპაში „სიტი" იმ გუნდად რჩება, ყველაზე მეტ, ოთხ ქართველს რომ უთამაშია — მიხეილ ყაველაშვილს, მურთაზ შელიას, კახი ცხადაძეს და რა თქმა უნდა, გიორგი ქინქლაძეს, რომელიც დღემდე რჩება იქაურობის საყვარელ ფეხბურთელად.

ბოლო ოთხ წელიწადში „სიტი" მეორე დივიზიონამდე ჩაყურყუმალავდა და წლეულს კვლავ დაბრუნდა პრემიერლიგაში.

როგორც იქნა, მის საუცხოო, ერთგულებითა და უტეხობით გამორჩეულ ფანებს გული გამოუკეთდათ. აქვე შეგახსენებთ, რომ ეს ის ხალხია, ვინც მეორე და პირველი დივიზიონის თამაშებზე სარეკორდო დასწრებას (30 ათას კაცს) უზრუნველყოფდა „სიტის" „მეინ როუდზე".

დიახ, „სიტი" პრემიერლიგაშია. 1968 წლის ინგლისის ჩემპიონი და 1970 წლის თასების თასის მფლობელი, ინგლისური ფეხბურთის ისტორიული ათეულის წევრი, დაბრუნდა. მოვლენის სულისჩამდგმელი კი „სიტისავე" ყოფილი თავდამსხმელი, აწ კი მენეჯერი ჯო როილი გახლავთ.

როილი 1998 წლის თებერვალში მივიდა დანგრევის პირას მყოფ კლუბში და პირველი, რაც გააკეთა ოფისის ორმოცდაათკაციანი შტატი შეკვეცა.

უკან საშინელი არეულობა და ნირწამხდარი შემადგენლობა იყო, რომელსაც გუნდს ვეღარც დაარქმევდი. ალან ბოლის ხელში პრემიერლიგიდან გავარდნილ „სიტის", სულ 32 დღეს წვრთნიდა სტივ კოპელი, მერე კი 18 თვეს აცოდვილებდა „ნოტინგემის" ყოფილი ბოსი ფრენკ კლარკი. გუნდიდან უკვე წასულიყვნენ ტონი კოტონი, გარი ფლიტკროფტი და ნაილ ქუინი.

როილის მოსვლიდან მოკლე ხანში გუნდი დატოვეს მისმა ყველაზე პოპულარულმა მოთამაშეებმა ქინქლაძემ, ნაიჯელ კლაფმა და კიტ საიმონსმა. როილი ამბობდა, ყველაფერი თავიდან უნდა დავიწყოთ და გუნდის სულის ასაღორძინებლად ახალბედათა ამბიცია მჭირდებაო.

„სიტი" ძნელად ებრძოდა მეორედივიზიონურ ცხოვრებას, მაგრამ „მეინ როუდი" კვლავ სავსე იყო. სეზონის უკანასკნელ მეოთხედში მოხერხებულმა წარმატებულმა სერიამ, გუნდი გადასასვლელ პლეი ოფამდე და „უემბლის" ფინალამდე მიიყვანა. ფინალში „ჯილინგემი" მთელ თამაშს უგებდა „სიტის", მაგრამ 89-ე წუთზე კევინ ჰორლოკმა პირველი საპასუხო გაიტანა, ამას კი პოლ დიკოვმა მეორე მოაყოლა. „სიტიმ" პენალტების სერიაში იმარჯვა და პირველ დივიზიონში დაბრუნდა. ეს თამაში შარშანდელი ჩემპიონთა ლიგის ფინალიდან სამი დღის თავზე გაიმართა. და „სიტის" ფანები თამამად მღეროდნენ: „ის, რაც „იუნაიტედს" შეუძლია, შეუძლია „სიტისაც". რა თქმა უნდა, ბოლო წამების ამბავს გულისხმობდნენ.

„ის, რაც „უემბლიზე" მოხდა, გვიჩვენებს, რომ აღარ ვწუწუნებთ და გული ახალი სიმაღლეებისკენ მიგვიწევს", — თქვა მაშინ როილმა და ზუსტად ერთი წლის თავზე, თავის ნათქვამი საქმით გაამყარა — „სიტი" მეორე ადგილზე გავიდა პირველ დივიზიონში და პრემიერლიგას დაუბრუნდა.

პირველი დივიზიონის ბოლო ტურში, „სიტისთვის" გადამწყვეტ თამაშში გუნდი ბლექბერნს სტუმრობდა და 0:1-საც აგებდა. მაგრამ გარემარბ მარკ კენედისა და მეგოლე შოუნ გოუთერის საუცხოო თამაშით ოთხი გოლი გაიტანა.

მანჩესტერის ცისფერი ნაწილი ისე ზეიმობდა, თითქოს გუნდს ევროთასი აეღოს. პაბებში „სიტის" ადიდებდნენ, „მეინ როუდზე" კი დღეობის ატმოსფერო სუფევდა.

როილის სიტყვები კვლავ ღირსეული იყო: „ძალიანაც ნუ ვზეიმობთ. რა ვქენით? დავბრუნდით იქ, სადაც უნდა ვიყოთ. ნამდვილი ბრძოლა ახლა იწყება".

თამაშს რომ შევეშვათ, „სიტის" ყველაფერი პრემიერლიგული აქვს — იმავ „უოტფორდის", „ბრედფორდის" და „უიმბლდონისგან" განსხვავებით, გუნდი ძალიან ძლიერია ფინანსურად, აქვს თანამედროვე ინფრასტრუქტურა, ჰყავს გულშემატკივართა ტრადიციული, მრავალათასიანი არმია. მანჩესტერში, 2002 წლის თანამეგობრობის თამაშებისთვის მშენებარე 48-ათასიანი სტადიონიც ამ თამაშების შემდეგ „სიტის" გადაეცემა.

ლონდონელმა ბუქმეიკერებმაც უკვე დაიწყეს ფსონების გაცემა. „სიტის" გამო: 12-1-ზე, რომ „სიტი" თანაქალაქელ „იუნაიტედზე" მაღლა იქნება მომავალი სეზონის ცხრილში, 150-1-ზე, რომ ჩემპიონი გახდება და 11-8-ზე, რომ გავარდება.

„ვიცი, რომ გავარდნის ფავორიტებად გვთვლიან", — ამბობს პოლ დიკოვი, რომელიც მეორე დივიზიონიდან მოჰყვება გუნდს — „არა მგონია, კარგი გუნდი ვართ. დავმკვიდრდებით".

**ირაკლი გამყრელიძე**

# უკანასკნელი ფინალი უემბლიზე

**ინგლისი**

დღეს ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თასის, მსოფლიოში უძველესი შეჯიბრის ფინალია. „ამ თასის მოგებაზე ყველა ოცნებობს" — უთქვამს მატჩის წინ ჯანლუკა ვიალის. „თუკი „ჩელსი" თავისი შესაძლებლობის ას პროცენტს გამოიყენებს, ჩვენ 110 პროცენტით ვითამაშებთ" — ეს კი „ასტონ ვილას" იტალიელი თავდამსხმელი ბენიტო კარბონეს სიტყვებია. ამ გამონათქვამებიდანაც ჩანს, რომ მაყურებელს ნაღდი ბრძოლის ხილვა მოუწევს და ლამაზი საფეხბურთო ზეიმიც გაიმართება, ოღონდ სევდანარევი დასასრულით. მომდევნო სეზონიდან „უემბლი" ფეხბურთს ვეღარ უმასპინძლებს, მას ანგრევენ.

ასოციაციის თასის გათამაშება ინგლისში 1871-72 წლებიდან იღებს სათავეს და სულ 120-ჯერ ჩატარებულა (გამონაკლისია პირველი და მეორე მსოფლიო ომების პერიოდები). გამარჯვებების რაოდენობით „მანჩესტერ იუნაიტედი" ყველას სჯობს (10). „ასტონ ვილას" თასი 7-ჯერ მოუგია, ხოლო „ჩელსის" 2-ჯერ. თუმცა ბირმინგემელთა ბოლო გამარჯვება 1957 წლით თარიღდება, ლონდონელებმა კი ჯილდო ბოლოს სამი წლის წინ დაისაკუთრეს. რაკილა სტატისტიკა მოვიშველიეთ, დავამატოთ, რომ თასის ფინალი ფრედ იშვიათად მთავრდება. 1946 წლიდან ასეთი მხოლოდ ხუთი შემთხვევა იყო.

რაც შეეხება „ჩელსისა" და „ასტონ ვილას" სათასო შეხვედრებს, ამ შეჯიბრზე ისინი პირველად 1920 წელს შეხვდნენ ერთმანეთს და მას მერე კიდევ ექვსჯერ უთამაშიათ. აშკარა უპირატესობა „ასტონ ვილას" მხარესაა — 5 მოგება, ერთი ფრე და ერთი წაგება.

რაც ზემოთ ვთქვით, უბრალოდ ისტორიაა. დღეს არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, ვინ უფრო ძლიერი იყო ათწლეულების წინ. ახლა კი ფავორიტად „ჩელსი" ითვლება, თავად ინგლისელები მიიჩნევენ ასე. საზოგადოებრივ აზრს კი ყველაზე უკეთ საბუქმეიკერო კანტორები ასახავენ. „უილიამ ჰილი" ადასტურებს, რომ მოთამაშეები უმეტესად ლონდონელთა მოგებაზე ჩადიან ფსონს. ინტერნეტით უცნობელებისგან ორი 25 ათას გირვანქიანი ფსონიც მივიღეთო, თქვა კანტორის წარმომადგენელმა — ეს ინგლისური ფინალი არ არის. რა მოხდება „უემბლიზე", მთელ მსოფლიოს აინტერესებს.

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ჩელსი:** დე გუი, პეტრესკუ, ბაბაიარო, ლებეფი, დესაი, მელხიოტი, დეშამპი, პოიეტი, უაიზი, ძოლა, ფლო

**ასტონ ვილა:** ჯეიმსი, ბერი, საუთგეიტი, ეჰიოგუ, ა. რაიტი, ბოატენგი, ტეილორი, მერსონი, დილანი, კარბონე, დაბლინი

## საჭირბოროტო
## კითხვა-პასუხი

***— ხელები დამიბანია. როცა რო ინგლისელებს ვბალეშჩიკობ, ყოველთვის აგებენ.***

— რომელ ინგლისელებს?

***— ინგლისის ინგლისელებს.***

— ეგენი რომლები არიან?

***— რომლები და ესე იგი, რომ კოპენჰაგენში...***

— გიპოვნია ინგლისელები. შენ თუ ინგლისელების ბალეშჩიკობა გინდა, „ბრედფორდს" უბალეშჩიკე.

***— ჰო, მაგრამ, „ბრედფორდი" ვერ გადის უეფას თასის ფინალში.***

— ინგლისელების საბალეშჩიკოდ უეფას თასის ფინალი გჭირდება?

***— პრემიერლიგაში გადასასვლელი თამაშების მაყურებელი მე არა ვარ.***

— აბა, კოპენჰაგენში რომ ოთხი კინკილა ინგლისელი დარბოდა, იმათი საცოდაობით გული ჩამწყდა და ჩავარდა ტემზაში...

***— რა ძნელია, არა?***

— ძნელია, მა რა, პარლოუ რო ხარ და წესით შირერს რო უნდა ჩააწოდო და ბერხკამპს რო აწვდი.

***— მართალი ხარ, მაგრამ ბერხკამპს მაინც ნუ გავწირავთ, დიდი მოთამაშეა.***

— ეგ არი ქეთინო. დიდი მოთამაშე მე ვიცი...

***— კი ქეთინოა, მაგრამ ბერხკამპს მაინც...***

— ცოტა პარლოუ რო ქონდეს შერეული, ქეთინო კი აღარ იქნებოდა...

***— შენ თუ დაკვირდი, ვენგერი რამდენ წყალს სვამს?***

— ჯობია, ლუდს სვამდეს.

***— ალბათ პირი უშრება.***

— შენ არ გაგიშრებოდა?

***— ეხლა მაგას ნუ გამოიყვან დაჩაგრულ გენიოსად.***

— ღმერთმა დამიფაროს. ეგეთი იმდენი მყავს...

***— ჯორჯ ბესტი, არა?***

— მაგან იქეთ დაჩაგრა მთელი ქვეყანა.

***— და გაზა?***

— ბერხკამპს მიდარებ?

***— არა, კაცო. გაზა ხომ არის დაჩაგრული გენიოსი?***

— ჯობდა, მაგას წყალი ესვა და ვენგერს ლუდი.

***— როგორ უკუღმა გამოვა ხოლმე ცხოვრებაში.***

— რას გაუგებ ვიეირას.

***— კი, ამოუცნობი კაცია.***

— და პეტი?

***— პეტი ამოცნობილიცაა და გაშიფრულიც. როგორ ტეხავს არა, რო გაგშიფრავენ.***

— გაზაც მაგან არ წამიხდინა?

# პირველად თუ მეთექვსმეტედ?

## გერმანია

დღეს პირველი ბუნდესლიგის 37-ე ჩემპიონატი ისტორიას ჩაბარდება. ბოლო, 34-ე ტურმა იმ კითხვებზე უნდა გასცეს პასუხი, რომელსაც წინა, 33-მა ვერ უპასუხა.

ვინ გახდება ჩემპიონი? — აი, მთავარი.

„უნტერჰახინგის" მთავარმა მწვრთნელმა გიუნტერ ლორანც კიოსტნერმა ეს უკვე იცის. „99 პროცენტით ჩემპიონი „ლევერკუზენია", სხვაგვარად არ მოხდება" — ამბობს იგი. სხვა შემთხვევაში კიოსტნერის აზრს არავინ მიაქცევდა ყურადღებას, ეგებ არც კი ეკითხათ, მაგრამ ახლა...

ჩემპიონი დღეს სწორედ „უნტერჰახინგი" — „ლევერკუზენის" მატჩში უნდა გაირკვეს. სტუმრებს ამ შეხვედრაში ქულაც ჰყოფნით. მათ მწვრთნელ კრისტოფ დაუმს მოთამაშეთა მხრივ ფართო არჩევანი აქვს. ლევერკუზენელებს არც ტრავმირებული ჰყავთ ვინმე და არც დისკვალიფიცირებული.

„კლუბის ისტორიაში ეს მატჩი უმნიშვნელოვანესია. რადაც უნდა დაგვიჯდეს, მიზანს უნდა მივაღწიოთ" — აცხადებს გუნდის სპორტული დირექტორი, წარსულში სახელგანთქმული ფეხბურთელი რუდი ფიოლერი.

„ფეხბურთელებს შეუძლიათ, დიდი ოცნება აისრულონ და დარაზმულები არიან. მჯერა, ამას განვახორციელებთ" — იმედიანია კრისტოფ დაუმი.

მწვრთნელმა წინა ტურში „აინტრახტის" ძლევის შემდეგ შეგირდების გასაგონად თქვა, უნტერჰახინგელებისგან საჩუქარს ნუ მოელით, ბოლომდე უნდა ვიბრძოლოთო. კიოსტნერის განცხადების მიუხედავად, დაუმი კვლავაც ამას ფიქრობს, თუმც დასძენს, შანსებს სწორად აფასებსო.

ამ დროს, იმედის ნაპერწკალი ისევ ღვივის „ბაიერნის" ბანაკში. „ჩვენ „უნტერჰახინგის" გვჯერა. ამ გუნდს ძალუძს „ლევერკუზენის" დამარცხება" — აცხადებს მიუნხენელთა თავკაცი ოტმარ ჰიცფელდი. ისე, მარტო „ლევერკუზენის" წაგება არ კმარა, ბავარიელებმა უეჭველად უნდა სძლიონ ბრემენის „ვერდერს", ვისაც ორი კვირის წინ ბერლინში გერმანიის თასის ფინალში მოუგეს და სარევანშოდაც განაწყვეს. დღეს „ბაიერნს" ორი წამყვანი ფეხბურთელის — ჯოვანი ელბერისა და იენს იერემისის გარეშე მოუწევს მინდორზე გასვლა. პირველი დისკვალიფიცირებულია, მეორეს კი ტრავმა აწუხებს.



REUTERS მიუნხენიდან

შტეფან ეფენბერგი და პაულო სერჟიო გუშინდელ ვარჯიშზე: ნეტავ რა უხარიათ?

ამ ტურმა კიდევ ორი რამ უნდა გაარკვიოს. ვინ გახდება მეოთხე, ანუ ვინ მოიპოვებს ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე თამაშის უფლებას და ვინ იქნება მესამე უილბლო?

მეოთხე ადგილს „მიუნხენი", „ჰერტა" და „კაიზერსლაუტერნი" ეცილებიან ერთმანეთს. აღსანიშნავია, რომ „მიუნხენი" სწორედ უშუალო კონკურენტ „ლაუტერნს" ხვდება სტუმრად, თუმცა „ჰერტა" თუ ვერ მოიგებს, მარცხიც აძლევს ხელს, ოღონდ ექვსი და მეტი ბურთით არა. ისე, „ჰერტასაც" არ ელის იოლი მატჩი. უდო ლატეკმა „დორტმუნდის" ხელმძღვანელობას კიდევ ბევრი რამ უნდა დაუმტკიცოს, ამიტომ დორტმუნდელებიც დიდ ბრძოლას ჰპირდებიან ბერლინელებს.

პირველ ბუნდესლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად კი „ულმი", „ჰანზა" და „აინტრახტი" იბრძვიან. ამათგან ყველაზე კარგ მდგომარეობაში „აინტრახტია". ფრანკფურტელები ქულით უსწრებენ კონკურენტებს, თანაც ერთ-ერთს („ულმს") შინ მასპინძლობენ. „ჰანზა" კი „შალკეს" სტუმრობს და „აინტრახტი" — „ულმის" შედეგზე რომ არ იყოს დამოკიდებული, მხოლოდ გამარჯვება სჭირდება.

... და მაინც, გერმანიას ყველაზე მეტად პირველი ადგილის ბედი აღელვებს. ვინ გახდება ჩემპიონი?

კრისტოფ დაუმის „ლევერკუზენი" თავის ისტორიაში პირველად თუ ოტმარ ჰიცფელდის „ბაიერნი" ისტორიაში მეთხუთმეტედ?

ამ კითხვას პასუხი დღეს საღამოს გაეცემა.

ვანო ოქროპირიძე



რუსული „ზენიტის" ორი წამყვანი მოთამაშე — ალექსანდრ პანოვი და რომან ბერეზოვსკი — მომავალი სეზონიდან ფრანგული „სენტ ეტიენის" ღირსებას დაიცავს. „ფრანგულ კლუბთან ახალი კონტრაქტი გავაფორმეთ, პანოვი და ბერეზოვსკი „სენტ ეტიენში" გადავლენ" — განაცხადა სანკტ პეტერბურგული გუნდის გენერალურმა დირექტორმა, ფიოდორ ტრესკოვმა. მისივე ცნობით, ფრანგებმა რუს ფორვარდ პანოვში 5 მილიონი, ხოლო სომეხ მეკარე ბერეზოვსკიში 1,8 მილიონი დოლარი გადაიხადეს. „თანხა „ზენიტის" გაძლიერებას მოხმარდება, მალე ალბათ რამდენიმე გამოცდილ ფეხბურთელს შევიძენთ" — დასძინა ტრესკოვმა.

**პორტუგალიის ახალი ჩემპიონი, ლისაბონის „სპორტინგი" „იუვენტუსის" არგენტინელი ლეგიონერის — ხუან ესნაიდერის შეძენას ცდილობს. იტალიური სააგენტოების ცნობით, 27 წლის ფეხბურთელი ლისაბონური კლუბის ხელმძღვანელებთან მოლაპარაკებებს უკვე აწარმოებს. თუ „სპორტინგი" ესნაიდერთან ვერ შეთანხმდება, შესაძლოა ტურინული კლუბის მეორე სამხრეთამერიკელი ლეგიონერი დანიელ ფონსეკა გადაიბიროს. ურუგვაელი გუნდის ძირითად შემადგენლობაში თითქმის ვეღარ ხვდება და ალბათ ტურინს დატოვებს.**

ესპანური „ვალენსია" „ბოკა ხუნიორსის" ხელმძღვანელობას შეუთანხმდა და შესაძლოა ზაფხულში მარსელო დელგადო თავისთან გადასვლაზე დაიყოლიოს. „ვალენსიას" სეზონის ბოლოს ალბათ კლაუდიო ლოპესი დატოვებს და ექტორ კუპერი მის შემცვლელს აეძებს. 27 წლის დელგადო „ბოკაში" ექვსი თვის წინ „ალევანედან" გადაბარგდა და ბევრი ევროპული კლუბიც დააინტერესა. ესპანური სააგენტოების ცნობით, „ვალენსია" „ბოკას" დელგადოს სანაცვლოდ 8 მილიონ დოლარს გადაუხდის.

**ჩილელი ნახევარმცველი კლარენს აკუნია, რომელსც ფიფამ ცოტა ხნის წინ დისკვალიფიკაცია მიუსაჯა (მას სისხლში აკრძალული პრეპარატის შემცველობა აღმოაჩნდა), შესაძლოა „ტოტენჰემში" გადავიდეს. 25 წლის ფეხბურთელის სასჯელის ვადას ფიფა მალე დაადგენს, მანამდე კი მისი შეძენის სურვილი ლონდონურმა კლუბმა გამოთქვა. ისინი „უნივერსიდად დე ჩილეს" აკუნიას სანაცვლოდ 675 ათას გირვანქას უხდიან „ტოტენჰემის" თავმჯდომარე დევიდ პლიტი აცხადებს: „ძლიერი გუნდის შექმნა მსურს, ამ ზაფხულს რამდენიმე ახალ ფეხბურთელს შევიძენ".**

თურქი ფორვარდი ჰაქან შუქური გაისად, შესაძლოა იტალიაში დაბრუნდეს და „რომაში" ჩაირიცხოს. ფაბიო კაპელომ უეფას თასის მფლობელის შეძენის სურვილი გამოთქვა. „შემიძლია, განვაცხადო, რომ კაპელოს რამდენჯერმე ვესაუბრე" — ამბობს თავად შუქური. „გალათასარაის" და „რომას" სატრანსფერო თანხა არ განუცხადებიათ. შუქური იტალიაში ადრეც თამაშობდა. იგი „ტორინოს" ღირსებას იცავდა, მაგრამ თავი ვერ გამოიჩინა და სამშობლოში დაბრუნდა.

**ინგლისური „ვესტ ჰემის" ახალგაზრდა მცველი რიო ფერდინანდი, შესაძლოა „ლიდს იუნაიტედში" გადაბარგდეს. ლიდსელთა თავმჯდომარემ პიტერ რიდსდეილმა 21 წლის ფეხბურთელის შეძენის სურვილი გამოთქვა. „ფერდინანდის გადმობირებას მართლაც ვცდილობთ, თუმც კონკრეტულად ვერაფერს ვიტყვი". შესაძლო ტრანსფერზე დაზუსტებით არც „ვესტ ჰემს" უთქვამს რამე.**

# ნუნიესის ჟამი გასრულდა
## ჰოლანდიელებისა გრძელდება?

კატალონიას ესპანეთში ავტონომია აქვს. შესაბამისად, ჰყავს მთავრობა, რომლის მეთაურიც კატალონიაში პირველი კაცია. მას ხორდი პუიოლი ჰქვია. პუიოლის პირველკაცობა კანონებით არის დადასტურებულ-განმტკიცებული, მაგრამ რეალურად...

„პუიოლ, მოდი აღიარე, რომ კატალონიაში შენზე მნიშვნელოვანი ფიგურა „ბარსელონას" პრეზიდენტია" — უთხრეს რეგიონის მეთაურს ერთ-ერთ დიდ თავყრილობაზე. პუიოლი შეცბა, არ მოელოდა ასეთ ხუმრობას ვინმე თუ გაუბედავდა, მაგრამ... გაჩუმდა. ანკი რა უნდა ეპასუხა, ამ სიტყვების მთქმელი თავად ხოსეპ ლუის ნუნიესი გახლდათ, თანაც, გარკვეული თვალსაზრისით ეს ხომ სიმართლეა.

46 წლისა იყო ხოსეპ ნუნიესი, როცა „ბარსელონას" პრეზიდენტის სავარძელში მოკალათდა. „ბარსელონას" აღორძინება აქედან დაიწყო. ნუნიესამდე კატალონიურ კლუბს ცხრაჯერ ჰქონდა ქვეყნის ჩემპიონობა მოგებული (ესპანეთში პირველი ჩემპიონატი 1929 წელს გაიმართა). 1978 წლიდან მოყოლებული კი ეს რიცხვი თექვსმეტამდე გაიზარდა. სულ ნუნიესის 22-წლიანი მმართველობის დროს „ბარსამ" 25 სხვადასხვა ჯილდო მოიპოვა, მათ შორის უკვე ნახსენებ ჩემპიონის შვიდ ტიტულთან ერთად ექვსჯერ ესპანეთის და ერთხელ ჩემპიონთა თასი (1992 წელს).

აურაცხელი პრიზების მოგების გარდა ნუნიესის სახელს სხვა არანაკლებ მნიშვნელოვან ფაქტებსაც უკავშირებენ. სწორედ მან დააბრუნა ბარსელონაში იოჰან კრუიფი.



REUTERS ბარსელონიდან

ლუის ვან გაალი

ჰოლანდიელის მწვრთნელობით „ბარსელონაში" ოქროს ხანა დაიწყო. ნუნიესისავე დამსახურებაა, კლუბში დიეგო მარადონას (1982) და რონალდოს (1996) გადაბირებაც. ამასთანავე, ნუნიესმა „ბარსელონა" საფეხბურთო კლუბიდან „ფულის საჭრელ მანქანად" აქცია.

1999-2000 წლების სეზონის დასაწყისი. ლუის ვან გაალი აცხადებს, რომ კლუბი მაისში ესპანეთის ჩემპიონატს, თასს და ჩემპიონთა ლიგას მოიგებს. მწვრთნელის ამ განცხადებაში ეჭვის შეტანა ძნელია — სამივე ტურნირზე „ბარსელონა" უპირველეს ფავორიტად ითვლება.

ესეც მაისი. რას მიაღწია კლუბმა?

„ვალენსიასთან" ჩემპიონთა ლიგის საპასუხო მატჩის დროს ტრიბუნებზე ანტიბარსელონური ტრანსპარანტები გაჩნდა — ასეთი რამის მომსწრე მრავლისმნახველი ნუნიესიც არ ყოფილა. ხოლო საფინალო სასტვენის მერე სამასიოდე ბარსელონელი პრეზიდენტის ლოჟასთან მიიჭრა — ისინი ნუნიესის და ვან გაალის გადადგომას ითხოვდნენ.

ხოსეპ ნუნიესმა თქვა, დავიღალეო და წავიდა. ვან გაალი კი ფეხს ითრევს. ჰოლანდიელმა თავდაპირველად გაოცებისგან მხრები აიჩეჩა, ვერ გამიგია, რატომ უნდა გადავდგეო? მაგრამ... დღეს ვან გაალს პრესკონფერენცია აქვს დანიშნული. მწვრთნელი საზოგადოებას თავის საბოლოო გადაწყვეტილებას ამცნობს. ის ალბათ წავა. ყოველ შემთხვევაში, თავმოყვარე კაცი ასე უნდა მოიქცეს. მიზეზი ის არის, რომ ნუნიესის მოვალეობის შემსრულებელმა, კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა ხუან გასპარმა (ივლისში ის ალბათ ოფიციალურად ჩაიბარებს პრეზიდენტის პოსტს) განაცხადა რომ პირველი, რასაც ის გააკეთებს — ლუის ვან გაალს დაითხოვს. ჰოდა, უნდა წავიდეს ვან გაალი, აბა, რა უნდა ქნას. გაგდებას ისევ ნებით გადადგომა სჯობს.

ბარსელონელები კმაყოფილნი არიან, საძულველი ჰოლანდიელის მოშორებამდე დარჩენილ დღეებს ითვლიან. ვინ შეცვლის ვან გაალს? ალბათ, ბედის ირონიაა, ყველაზე რეალურ კანდიდატად კიდევ ერთი ჰოლანდიელი, რონალდ კუმანი ითვლება.

გიორგი დარჯანია



ნამატჩევს თურქმა გულშემატკივრებმა ზღვარგადასული ზეიმი მოიწყვეს

# შავი სიხარული

რვა ადამიანი დაიღუპა, 50-ზე მეტი დაიჭრა — ასეთია სტამბოლში გამართული სახალხო ზეიმის შედეგები. ზეიმის მიზეზი: „გალათასარაიმ" 17 მაისს, კოპენჰაგენში, ლონდონის „არსენალს" მოუგო და ისტორიაში პირველად უეფას თასი მოიპოვა.

ცნობათა თანახმად, დაღუპულთაგან ერთი ორი წლის გოგონაა, რომელსაც ტყვია პირდაპირ თავში მოხვდა.

„ცენტრალურ თურქეთში მდებარე ქალაქ თოქათში გარდაიცვალა 18 წლის ჭაბუკიც. იმავე ასაკის ადამიანი დანით მოკლეს ქალაქ დენიზლიში, სადაც შეტაკება მოხდა" — წერს გაზეთი „ჰურიეთი".

გარდა ამისა, ორი კაცი მოზეიმეთა მანქანებმა იმსხვერპლა — სტამბოლში თავაწყვეტით დაქროდნენ ავტომობილები, რომელთა ფანჯრებიდან დროშები ჰქონდათ გამოყოფილი.

გულის შეტევამ იმსხვერპლა სამი ადამიანი — ორი კოპენჰაგენის სტადიონზე თამაშის ცქერის დროს ზედმეტმა მღელვარებამ მოკლა, მესამე კი შინ, პენალტების სერიამ შეიწირა.

დაჭრილთაგან 15-ს ტყვია მოხვდა.

# მეტი და მეტი ჯილდო

*მაიკლ ოუენის ხანგრძლივმა ტრავმამ ბევრს აფიქრებინა, რომ იგი დიდ ფეხბურთს ვეღარასოდეს ითამაშებდა. მართლაც, წლეულს მაიკლი სულაც არ ჰგავდა ფეხბურთელს, რომელმაც 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე გაიბრწყინა, მისი „ლივერპულიც“ ჩემპიონთა ლიგის მიღმა დარჩა. თუმცა თავად მაიკლს წარუმატებელმა სეზონმა ვერაფერი დააკლო, იგი მომავალს იმედით შეჰყურებს.*

**— ბოლო ერთ წელიწადში ორი მძიმე ტრავმა მოირჩინეთ. ხომ არ თვლით, რომ თამაში ადრე განაახლეთ?**

— არაფერს გამოვრიცხავ. ბოლო ორი სეზონია, თითქმის არ შემისვენია. ეგებ ტრავმამ შემახსენა, რომ დასვენება მჭირდებოდა.

**— მართლაც ბევრი თამაში გიწევთ...**

— თავად განსაჯეთ, პრემიერლიგაში ოცი გუნდია, თითოეულმა მათგანმა სეზონში ოცდათვრამეტი მატჩი უნდა ჩაატაროს. ამას ქვეყნია თასიც დაუმატეთ. თუ მაღალი დონის კლუბში თამაშობ, ევროთასებზეც გიწევს ასპარეზობა. რაც მეტს თამაშობ, დაშავების საფრთხეც მეტია. ხანდახან იძულებული ხარ, ტრავმამოუშუშებელი გახვიდე მინდორზე, ეს კი დიდი რისკია.

**— თავს ისე გრძნობთ, როგორც ორი წლის წინ?**

— ბევრს წერენ, რომ გადავილალე და მეტი აღარ შემიძლია. არა მგონია, ეს მართალი იყოს. ახლა სრულიად ჯანმრთელი ვარ და ვეცდები, ეს ევროპის ჩემპიონატზე დავამტკიცო.

**— ევრო 2000-ზე ინგლისის ნაკრები ბევრს მიაღწევს?**

— რატომაც არა? ჩვენ ძლიერი და გამოცდილი ფეხბურთელები გვყავს. ისინი კლასით არავის ჩამოუვარდებიან. გუნდში არიან ისეთებიც, რომლებმაც, შესაძლოა მომავალ მსოფლიოს თუ ევროპის პირველობაზე ვეღარც ითამაშონ. ეს მათი ბოლო შანსია. საბრძოლველად ვართ განწყობილი. გულშემატკივრებისგან მხარდაჭერას ვგრძნობთ, მათ ჩვენი სჯერათ, უფლება არ გვაქვს, არ მოვინდომოთ. მერწმუნეთ, ჩვენ ძალგვიძს ჩემპიონატის მოგება.

**— ინგლისის ნაკრების მომავალზე რას იტყოდით?**

— მართლაც ძლიერი თაობა იზრდება. 21-წლამდელთა ნაკრებს დააკვირდით, კარგი კოლექტივია. ზოგი მათგანი უკვე ეროვნულ ნაკრებშიც თამაშობს. ოდნავ უფროსები, სოლ კემპბელი, პოლ სქოულზი და დევიდ ბექემი კი, უმაღლესი კლასის ოსტატები არიან. ვგონებ, ნათელი მომავალი გველის.

**— ვინ არის გუნდში თქვენი საუკეთესო პარტნიორი?**

— ხალხი ცილს მწამებს, რომ რობი ფაულერს და ალან შირერს ვერ ვეგუები. სინამდვილეში ყველასთან შემიძლია თამაში. „ლივერპულში“ ჩემი საუკეთესო პარტნიორი რობი ფაულერია, ინგლისის ნაკრებში კი — ალან შირერი. მათთან თანამშრომლობა მსიამოვნებს. მიმაჩნია, რომ ალან შირერი ძალისმიერი და შემტევი ფეხბურთელია. მის მხარდამხარ თამაში ერთი სიამოვნებაა. რობი ფაულერი კი ცოტათი განსხვავებული სტილის მოთამაშეა. ის საჯარიმო მოედანში დიდ სამუშაოს ასრულებს. ახლა „ლივერპულში“ ემილ ჰესკიც გამოჩნდა, მწამს, რომ გაისად ერთად მართლაც დიდ წარმატებებს მივაღწევთ.

**— მაიკლ, მსოფლიოში ცნობილი ფეხბურთელი ხართ. დაკმაყოფილდით იმით, რასაც დღემდე მიაღწიეთ?**

— ჩემი ასაკის და ოდნავ უფროსმა ფეხბურთელებმა უკვე მრავალი პრიზი და მედალი მოიპოვეს. თუნდაც ინგლისის ნაკრების მოთამაშეები დავასახელოთ... მათსავით ჯილდოები მსურს, ფეხბურთს ხომ იმიტომ ვთამაშობ, რომ რამე მოვიგო. მჯერა, „ლივერპული“ ამას შემაძლებინებს. „მანჩესტერ იუნაიტედში“, „არსენალში“, „ჩელსიში“ მიწვევდნენ, მაგრამ „ლივერპულში“ დარჩენა ვამჯობინე. დარწმუნებული ვარ, ახლო მომავალში ამ გუნდთან ერთად გავიმარჯვებ.

**— თქვენი მომავალი თუ დაგიგეგმავთ ოდესმე?**

— არასდროს. ასე რომ გამეკეთებინა, ალბათ, ვეღარაფერს მივაღწევდი. მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე რამდენიმე თვით ადრე არც კი მიფიქრია, რომ იმ წელს ინგლისის ნაკრებში ვითამაშებდი. წინასწარ რაიმეზე საუბარი არ მიყვარს, ხომ შეიძლება, შენი მიზნები ვერ განახორციელო.



მაიკლ ოუენი

**— საზღვარგარეთ კარიერის გაგრძელება არ გსურთ?**

— რატომ? ინგლისს ძლიერი ჩემპიონატი აქვს. არა მგონია, მსოფლიოში რომელიმე ლიგა პრემიერლიგას შეედრებოდეს. აქ მართლაც იზრდება ფეხბურთელი. პრემიერლიგის ძლიერ კლუბს მსოფლიოს ნებისმიერი გრანდის დამარცხება ძალუძს. მაგალითად, „მანჩესტერ იუნაიტედს“ დავასახელებ. მან შარშან ევროპის ჩემპიონთა თასი მოიგო. იყო დრო, საუკეთესო ფეხბურთელები, მათ შორის ინგლისელებიც, იტალიაში თამაშობდნენ. მაგრამ, ვგონებ, დღეს ასე აღარაა. მსოფლიოს ყველა ვარსკვლავი იქ აღარ იყრის თავს.

თარგმნა ნიკა შუბლაძემ

# დაკარგული სკუდეტო

## ზიდანის ღამის კოშმარი

ფრანგმა ნახევარმცველმა ზინედინ ზიდანმა განაცხადა, რომ წინა უქმეებზე „იუვენტუსის“ „პერუჯასთან“ მარცხი და იტალიის ჩემპიონის ტიტულის დაკარგვა მის კარიერაში ერთ-ერთი ყველაზე ავადმოსაგონარი ფაქტია. „ახლა ხასიათი ოდნავ გამომისწორდა, მაგრამ მარცხი დღემდე ვერ დავივიწყე — თქვა მსოფლიოს ჩემპიონმა, საფრანგეთის ნაკრების საწვრთნელ ბაზაზე მორიგი შეკრების დროს — როცა ვიძინებ, კვირის კოშმარი მელანდება, ვცდილობ, ამაზე ბევრი არ ვიფიქრო“.

შეგახსენებთ, რომ „პერუჯა“-„იუვენტუსის“ მატჩი თავსხმა წვიმის გამო დაახლოებით ერთი საათით შეწყდა, მინდორი დაიტბორა და მსაჯმა პიერლუიჯი კოლინამ თამაში დათქმულ დროს ვერ განაახლა, „იუვენტუსმა“ კი ის მატჩი წააგო და საპატიო ტიტული „ლაციოს“ გადაულოცა.

„ასეთ ცუდ საფარზე არასდროს მითამაშია — ამბობს ზიდანი — პირველი ტაიმის შემდეგ თამაშის გაგრძელება არ შეგვეძლო, მაგრამ „პერუჯას“ ფეხბურთელებმა მოითხოვეს და მსაჯმაც მეორე ტაიმის დაწყება ბრძანა. ყველაზე ძალიან ის მეწყინა, რომ მთელი სეზონი ვლიდერობდით, ბოლო წუთზე კი ჩემპიონობა ხელიდან გამოგვეცალა“.

ფრანგი ნახევარმცველის განცხადებით, ახლა მას გაცილებით უარესი შეგრძნება ჰქონდა, ვიდრე 1998 წელს, როცა „იუვენტუსმა“ ჩემპიონთა ლიგის ფინალში მადრიდის „რეალთან“ წააგო.

„ფინალი ერთი მატჩია და ყველაფერი შეიძლება მოხდეს — დასძინა ზიდანმა — მთელი სეზონის შრომა კი რამდენიმე წუთში ჩაგვეყარა წყალში. ტურნირის ფინიშის ხაზთან რაღაც დაგვემართა და „ვერონასთან“ და „პერუჯასთან“ პრინციპული შეხვედრები წავაგეთ. გუნდის ფეხბურთელები ცდილობენ, ყველაფერი დაივიწყონ. ვამბობთ, რომ ეს სპორტია, თამაშია და მეტი არაფერი, მაგრამ მარცხმა მართლაც გაგვიცრუა იმედები“.



ევროპის 2003 წლის ჩემპიონატი. საკვალიფიკაციო ეტაპი

## საქართველო 69:71 რუმინეთი

18 მაისი. ვაილე. დანია

| საქართველო | წთ. | 2-ქ. | 3-ქ. | საჯ. | მოხს. | პასი | ჩაჭ. | ფოლი | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| აბრამიძე | 32 | 1/3 | 3/9 | 0/0 | 2 | 3 | 3 | 2 | 11 |
| ბეჟანიშვილი | 27 | 3/5 | 0/2 | 1/4 | 3 | 2 | 0 | 5 | 7 |
| ბოისა | 20 | 2/4 | 1/2 | 4/5 | 2 | 0 | 1 | 4 | 11 |
| გოგობერიშვილი | 7 | 0/1 | 0/2 | 0/0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ჯაფარიძე | 13 | 1/2 | 0/0 | 2/2 | 5 | 0 | 0 | 2 | 4 |
| ქარაბაკი | 22 | 1/5 | 0/0 | 1/2 | 6 | 0 | 0 | 1 | 3 |
| ხოშტარია | 14 | 1/4 | 0/1 | 0/0 | 1 | 2 | 0 | 2 | 2 |
| კილაძე | 15 | 0/2 | 0/0 | 1/2 | 5 | 0 | 0 | 3 | 1 |
| კოკოლიშვილი | 12 | 1/2 | 2/4 | 2/2 | 1 | 0 | 1 | 3 | 10 |
| ფაჩულია | 9 | 4/6 | 0/0 | 1/2 | 2 | 0 | 2 | 5 | 9 |
| ცქიტიშვილი | 29 | 5/8 | 0/0 | 1/2 | 7 | 0 | 1 | 5 | 11 |
| **სულ** | **200** | **19/42** | **6/20** | **13/21** | **35** | **7** | **8** | **32** | **69** |

| რუმინეთი | წთ. | 2-ქ. | 3-ქ. | საჯ. | მოხს. | პასი | ჩაჭ. | ფოლი | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ალექუ | 15 | 1/1 | 0/1 | 4/6 | 5 | 1 | 0 | 0 | 6 |
| ალექსე | 18 | 2/3 | 3/4 | 2/4 | 0 | 1 | 1 | 5 | 15 |
| ბურლაჩუ | 11 | 1/4 | 0/0 | 0/0 | 2 | 0 | 0 | 2 | 2 |
| ფომეტესკუ | 18 | 0/1 | 1/2 | 0/2 | 1 | 3 | 1 | 2 | 3 |
| ლაპუშტე | 30 | 2/4 | 0/3 | 1/2 | 6 | 0 | 2 | 2 | 5 |
| რ. პოპა | 9 | 0/0 | 0/0 | 0/2 | 0 | 0 | 1 | 1 | 0 |
| სკობაი | 22 | 0/4 | 1/1 | 5/10 | 3 | 0 | 0 | 1 | 8 |
| სტანესკუ | 33 | 8/14 | 0/0 | 7/8 | 6 | 1 | 0 | 4 | 23 |
| სტეფანი | 4 | 0/0 | 0/0 | 1/2 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 |
| ტორდაი | 11 | 2/2 | 0/0 | 0/0 | 4 | 1 | 0 | 1 | 4 |
| ვერესი | 29 | 1/5 | 0/2 | 2/4 | 3 | 4 | 3 | 2 | 4 |
| **სულ** | **200** | **17/38** | **5/13** | **22/40** | **30** | **11** | **8** | **20** | **71** |

# შანსი იყო, აღარ იყო...

რუმინეთთან წაგებით საქართველოს ნაკრებმა უფრო გაირთულა საქმე. ევროპის 2003 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე მოხვედრა ახლა უკვე უძნელეს ამოცანად იქცა. ამას ვინ ჩივის, ქართველ ქომაგს ერთი გამარჯვებაც სანატრელი გაუხდა.

გუშინ დანიის ქალაქ ვაილეში ჩვენებურებს დავუკავშირდით. წინა დღის მსგავსად, ამჯერადაც ნაკრების მეორე მწვრთნელი, ნუგზარ კანდელაკი მოვიხელთეთ და რუმინეთთან მარცხის მიზეზებზე დავეკითხეთ:

„თავიდან ასეთ ხუთეულს დავაწყებინეთ: აბრამიძე, ბეჟანიშვილი, ბოისა, ცქიტიშვილი, ფაჩულია. დაცვაში პერსონალური მეურვეობა ვირჩიეთ, რუმინელთა ლიდერ ანტონიო ალექსეს კი ვლადიმერ ბოისა მივუჩინეთ. ამან გაამართლა, ბოისამ მოსვენება დაუკარგა ალექსეს, თამაშიდან გამოთიშა, რამაც რუმინელთა ბანაკში არეულობა გამოიწვია და მალევე ათი ქულით დავწინაურდით. ამ სხვაობას კარგა ხანს ვინარჩუნებდით, მერე კი, ნელ-ნელა დავთმეთ უპირატესობა. ეს მას შემდეგ მოხდა, როცა ბოისა და ფაჩულია სათადარიგოებში გავიხმეთ. ამის მიზეზი კი ის იყო, რომ შუაგულ ტაიმში ამ კალათბურთელებს სამ-სამი პერსონალური დაუგროვდათ.

თითქოს ბოისას გასვლას ელოდაო, ორწუთიან მონაკვეთში ალექსემ სამი სამქულიანი ჩაგვიგდო. ამის მერე გათანაბრდა თამაში, ტაიმის ბოლომდე სულ ქულა ქულაზე იყო. პირველი ნახევარი მინიმალური სხვაობით, 36:37 დავთმეთ.

მეორე ტაიმი იგივე ხუთეულით დავიწყეთ. წინაც გავედით, მაგრამ ორ წუთში ზაზა ფაჩულიამ ორი პერსონალური მიიღო, სულ ხუთი დაუგროვდა და თამაშს გამოეთიშა. ამის შემდეგ მსაჯებმა ორმხრივი ჯარიმა დასტვინეს. ბოისამ მეოთხე მიიღო, სამაგიეროდ, ანტონიო ალექსე მოედნიდან გაისტუმრა.

ულიდეროდ დარჩენილ რუმინეთს ამის მერე 5-7 ქულას სულ ვუგებდით. რამდენჯერმე მეტოქემ ზონური დაცვაც მოსინჯა, მაგრამ შორიდან სროლებიც რომ წაგვივიდა, ისევ პერსონალურზე გადაერთო. შეხვედრის დამთავრებამდე ათიოდ წუთით ადრე, ჩვენდა საბედისწეროდ, ნიკა ცქიტიშვილმაც მეხუთე პერსონალური მიიღო. რუმინეთს ხელფეხი გაეხსნა, თამაში ისევ გათანაბრდა.

დამთავრებამდე ორ წუთზე ნაკლები რომ რჩებოდა, ხუთ ქულას ვიგებდით. რუმინეთის მწვრთნელმა ამ დროს წუთშესვენება ითხოვა. ჩვენი მხრივ, დროის მოგების მიზნით, ბურთის ბოლომდე გათამაშება დავავალეთ ბიჭებს, რომლებმაც დარჩენილ დროში უპატიებელი შეცდომები დაუშვეს — გარბენი, ნაჩქარევი სროლა, არასწორი ჯარიმა...

მატჩის გადარჩენის შანსი კიდევ გვქონდა, მაგრამ კოკოლიშვილს სამქულიანი გაუცუდდა, დროში ველარ „ვეტეოდით“, თორემ ნაღდ ორქულიანზე წავიდოდით.

მარცხის მიზეზი? — გამოუცდელობის ბრალია, საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე კალათბურთელები მიუჩვეველნი არიან ამგვარ ხისტ ბრძოლებს. აქ ძალიან ათლეტური თამაში მიდის, ტემპიც მეტისმეტად მაღალია. ცხადია, ჩვენს მეტოქეთაგან არც ერთი მიეკუთვნება საკალათბურთო ელიტას, მაგრამ სინამდვილეს თვალი უნდა გავუსწოროთ, ამ დონეზეც კი ძალიან გვიჭირს...:

**გიორგი ბიკაშვილი**


რეკლამა სარბიელ-ში

Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 93 16 08

იყიდება

ერთოთახიანი იზოლირებული ბინა 3 (8).
ვაჟა-ფშაველას გამზირის მხრიდან აქვს გრძელი აივანი (VI კვ.)
ტელეფონი 30-75-81


# ყველა გზა დაცვაზე გადის

*რაც დრო გადის, სულ უფრო დიდხანს უწევს მოედანზე ყოფნა სლოვენიის „სლოვანს“ 17 წლის, 208 სანტიმეტრი სიმაღლის ქართველ ცენტრ დავით უგრეხელიძეს. არც საქართველოს ეროვნული ნაკრების ხელმძღვანელებს გამორჩენიათ „უგრეს“ პროგრესი — ევრობასკეტ 2003-ის წინასაკვალიფიკაციო ტურნირში მონაწილეობისათვის ქვეყნის უპირველესი გუნდის ერთ-ერთ კანდიდატად დაასახელეს და თოთხმეტ კალათბურთელთან ერთად შეკრებაზეც უხმეს. მართალია, უგრეხელიძე თორმეტ საუკეთესოს შორის ვერ მოხვდა, მაგრამ ეს ჭაბუკი სპორტსმენისათვის ტრაგედია ნამდვილად არ უნდა იყოს. პირიქით, რაც ბევრი კალათბურთელისათვის მთელი ცხოვრების აუხდენელ ოცნებად რჩება, მან ეს ჩვიდმეტი წლის ასაკში მოახერხა და ეროვნული ნაკრების ხელმძღვანელთა ყურადღება დაიმსახურა. ნაკრებში მისი თამაში ხომ მხოლოდ დროის საკითხია.*

*უგრეხელიძე სლოვენიაში დაბრუნდა და ეროვნული ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ ამჯერად „სლოვანის“ ჭაბუკთა გუნდის ღირსებას იცავს. გამგზავრებამდე ერთი დღით ადრე კი „სარბიელში“ გვესტუმრა, სლოვენიური შთაბეჭდილებები გაგვიზიარა და სამომავლო გეგმებზე გვესაუბრა.*


დავით უგრეხელიძე

**— დავით, ნაწყენი ხომ არ დარჩით, ნაკრებში რომ ვერ მოხვდით?**

— რა თქმა უნდა, გული დამწყდა, მაგრამ არა უშავს. სიმართლე გითხრათ, ჩემი ასაკის გამო შეკრებაზე გამოძახებასაც კი არ ველოდი. საქართველოს ხომ ჩემზე ბევრად უფრო გამოცდილი კალათბურთელები ჰყავს. მხოლოდ იმას ვნანობ, რომ ვერც ნაკრებში მოვხვდი და სლოვენიის 20 წლამდელთა ლიგაში ორი მატჩიც გამოვტოვე.

**— უფრო კონკრეტულად გვითხარით, რომელი ლიგაზეა საუბარი?**

— სლოვენიაში არსებობს 20 წლამდე კალათბურთელთა ლიგა, რომელიც ოთხ ჯგუფად არის დაყოფილი. თითოეულში ექვსი გუნდია. მიმოსვლითი შეხვედრების შემდეგ, პირველ-მეორე ადგილზე გასული გუნდები პლეი ოფის სისტემით აგრძელებენ ასპარეზობას.

**— როგორ ახერხებთ ერთდროულად ეროვნულ ჩემპიონატში და ჭაბუკთა ლიგაში მონაწილეობას?**

— ჭაბუკთა ლიგა ეროვნული ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ იწყება და დროის მხრივ იქ თამაში პრობლემას არ წარმოადგენს. „სლოვანის“ ძირითადი გუნდიდან ჭაბუკებში ჩემთან ერთდა ნიკა ცქიტიშვილი და ადგილობრივი კალათბურთელი პავიჩი მონაწილეობენ. იქვე თამაშობს ჩვენებური ირაკლი კეიდია.

**— მაშინ პირველი ადგილის მოპოვება არ უნდა გაგიჭირდეთ.**

— რადგან სლოვენიაში ლეგიონერებს მხოლოდ უმაღლეს ლიგაში აქვთ თამაშის უფლება, ჩვენი გუნდი, კონკურსგარეშე მონაწილეობს.

**— თუ თქვენს გუნდთან მოპოვებული ქულები მეტოქეებს აქტივში არ ეთვლებათ, მატჩები „სლოვანის“ ჭაბუკთა გუნდის მონაწილეობით ფორმალურ სახეს ხომ არ იღებს?**

— პირიქით, ლეგიონერებით გაძლიერებული გუნდების წინააღმდეგ თამაში მეტოქეებს გამარჯვებისთვის სტიმულს მატებს.

**— ვლადიმერ ბოისასაც ხომ აქვს ჭაბუკთა გუნდში გამოსვლის უფლება, ის რატომ არ თამაშობს თქვენთან ერთად?**

— ბოისამ შეიძლება „ოლიმპიაში“ დაიმკვიდროს ადგილი და ჭაბუკთა ლიგაში თამაშისათვის ვინ მოაცდენს.

**— თქვენ „სლოვანთან“ ექვსწლიანი კონტრაქტი გაკავშირებთ — ცოტა ბევრი ხომ არ არის?**

— თავიდან შვიდწლიანი კონტრაქტი შემომთავაზეს, მაგრამ არ დავთანხმდი და ერთი წელი ძლივს ჩამოვაკლებინე. უფრო შემცირებაზე კი საუბარიც არ ისურვეს. თუ არ გინდა, შეგიძლია უკან გაბრუნდეო და იძულებული გავხდი, დავთანხმებულიყავი. რაც შეეხება სხვა გუნდში გადასვლას, კონტრაქტში ისეთი არაფერი წერია, რომ ჩემით დაინტერესებულ კლუბთან მოლაპარაკება არ შეიძლებოდეს.

**— სად და როდის შეგამჩნიეს პირველად სლოვენიელებმა?**

— სლოვენიელები პირველად ბელგიაში, კადეტთა შორის ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში მონაწილეობის დროს დამიკავშირდნენ და ჩვენი ურთიერთობა 1999 წელს „სლოვანთან“ გაფორმებული კონტრაქტით დასრულდა.

**— სლოვენიაში ჩასულმა სიახლე თუ შეამჩნიე რამე?**

— ყველგან თვალშისაცემი სიახლე იყო, განსაკუთრებით კი ვარჯიშების დროს. „სლოვანში“ უდიდესი ყურადღება ექცევა დაცვაში თამაშს. თუ კარგად გამოიყურები დაცვაში თამაშის დროს, ჩათვალე, რომ ძირითადში ადგილი გარანტირებული გაქვს. მაღალ დონეზეა დაყენებული დისციპლინა. ხუთი წუთიც რომ დააგვიანო ვარჯიშზე, 50 დოლარიანი ჯარიმა უნდა გადაიხადო.

**— თქვენ თუ დაგიგვიანებიათ ვარჯიშზე?**

— ახალი ჩასული რომ ვიყავი, მაშინ დავაგვიანე ერთხელ, მაგრამ როგორც ახალბედას, ზრდილობიანი გაფრთხილება მაკმარეს. დარბაზი ჩემი სახლიდან ფეხით ხუთი წუთის სავალზეა და ხშირად ნახევარი საათით ადრეც კი მივსულვარ ვარჯიშზე.

**— როგორი კაცია მთავარი მწვრთნელი ტომო მაჰორიჩი?**

— სხვათა შორის, გუნდში ისიც ჩვენსავით ახალბედა, სულ ერთი წლის მისულა. ახალგაზრდაა, 37 წლის, დიდებული პიროვნება გახლავთ, მომთხოვნი, ცოტა მკაცრი და, რაც მთავარია, ობიექტური.

**— თქვენ მოედანზე ძირითადად 5-7 წუთი გიწევთ ყოფნა. უფრო მეტს რატომ არ გენდობიან, ჯურკოვიჩის შემცვლელად გიყენებენ თუ-**

— ჯურკოვიჩი არაფერ შუაშია. მაჰორიჩს მისი შემცვლელი ჰყავს. ცენტრის გარდა ხშირად თავდამსხმელადაც ვთამაშობ. ყოფილა შემთხვევა, რომ მე და ჯურკოვიჩი ერთად ვყოფილვართ მოედანზე. იქ ჩემი მცირე ხნით ყოფნა მხოლოდ გამოუცდელობის ბრალია. ჯურკოვიჩი ჩემზე 5-6 წლით უფროსია და გამოცდილებაც მეტი აქვს.

**— თქვენ თავიდან „ტრიგლავში“ იყავით განათხოვრებული, შემდეგ კი კვლავ „სლოვანში“ დაგაბრუნეს. რატომ?**

— სლოვენიის ეროვნულ ჩემპიონატში მოასპარეზე გუნდებს სამ ლეგიონერზე მეტის გამოყვანის უფლება არ აქვთ. ბოისასა და ცქიტიშვილთან ერთად „სლოვანში“ განელი ცენტრის თამაში იყო ნავარაუდევი. ბოლოს აფრიკელთან კონტრაქტი ჩაიშალა და მისი ადგილი მე დავიკავე.

**— „სლოვანის“ ხელმძღვანელობა რას გეუბნებათ, კვლავაც ხომ არ გიპირებენ განათხოვრებას რომელიმე გუნდში?**

— უკვე გადაწყვეტილია, რომ მომავალ სეზონს „სლოვანში“ გავატარებ. მაჰორიჩი მპირდება, უფრო მეტ დროსაც დაჰყოფ მოედანზეო.

**— თქვენ მეორესთან შედარებით ბევრად უფრო ძლიერად ჩაატარეთ პირველი წრე. რა მოხდა, რამ გამოიწვია რეგრესი?**

— მართალი ბრძანდებით, პირველი წრე უკეთ ვითამაშე და ჩემი საუკეთესო მატჩიც მაშინ ჩავატარე. „კრაშკი ზიდართან“ შეხვედრისას მოედანზე 25 წუთი დავყავი და 15 ქულა მოვაგროვე. მეორე წრეში გავცივდი. შემდეგ, რომ მეგონა, მოვჯობინდი, ისევ შემიბრუნა და უფრო ცუდად გავხდი. რამდენიმე კვირა გამიცდა, რომელმაც სათამაშო ფორმაზეც იქონია გავლენა.

**— ახლა თავს როგორ გრძნობთ?**

— უკვე დიდი ხანია, რაც სრულად გამოვჯანმრთელდი და ჩემი თამაშით მწვრთნელებიც კმაყოფილნი დარჩნენ.

**— სლოვენიელებზე რა შეიძლება ითქვას, როგორი ხალხია, ქართველებთან თუ აქვთ რაიმე საერთო?**

— ქართველებისნაირ სითბოს, სტუმართმასპინძლობას და მეგობრობას იქ ვერ შეხვდებით, მაგრამ სლოვენიელებზე ცუდი ნამდვილად არ ითქმის. მართალია, ოდნავ ცივი, მაგრამ სუფთა, კოხტა და კულტურული ხალხია.

**— სლოვენიის დედაქალაქი ლიუბლიანა ყოფილი საბჭოთა კავშირის დროიდან თბილისთან დაძმობილებული ქალაქია. სოციალისტური სისტემის დაშლის შემდეგ დღეს თუ იგრძნობა იქ ადრინდელი ურთიერთობა?**

— როგორ არა. ლიუბლიანაში ერთ-ერთი საუკეთესო ქუჩა დღესაც თბილისის სახელს ატარებს.

**— თქვენს გარდა ქართველები თუ ცხოვრობენ ლიუბლიანაში?**

— ჩვენ, ქართველმა კალათბურთელებმა, თანაგუნდელებისგან გავიგეთ, რომ ლიუბლიანაში ყოფილა ერთი ქართველი ბიზნესმენი, რომელიც კარგი ავტორიტეტითაც სარგებლობს, მაგრამ ჯერჯერობით არ დაგვკავშირებია და ვერც ჩვენ მოვახერხეთ მისი ნახვა.

**— რადგან ბიზნესი ახსენეთ, „სლოვანის“ სპონსორებს ხომ არ დაგვისახელებთ?**

— საკალათბურთო კლუბ „სლოვანის“ მეპატრონეებად ითვლებიან გაზის მწარმოებელი ფირმა „გეოპლინი“ და მობილური ტელეფონების კავშირი „დებიტელი“.

**— მართალია, „სლოვანთან“ ექვსწლიანი კონტრაქტი გაკავშირებთ, მაგრამ უახლოესი გეგმებიც გექნებათ უთუოდ.**

— დიდი სურვილი მაქვს, დავიმკვიდრო ადგილი „სლოვანის“ ძირითად შემადგენლობაში და ყველაფერს ვაკეთებ, რათა დასახულ მიზანს მივაღწიო.

**— დასახული მიზნის მისაღწევად კონკრეტულად რაზე ამახვილებთ ყურადღებას?**

— აქცენტი ძირითადად დაცვაზე მაქვს გადატანილი, რადგან კარგად ვიცი, თუ აქ არ გავძლიერდი, ისე მაჰორიჩს თავს ვერ მოვაწონებ.

**— დღეს თუ ხართ კმაყოფილი იმ გადაწყვეტილებით, ერთი წლის წინ „სლოვანში“ თამაშს რომ დათანხმდით?**

— რა თქმა უნდა, კმაყოფილი ვარ. მარტო ის რად ღირს, რომ ნბა-ში ნათამაშევ სპორტსმენებთან მიწევს ბრძოლა. საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში კი ამაზე ფიქრი ნაადრევად მიმაჩნია.

**— თქვენი ნება რომ იყოს, რომელ გუნდში ისურვებდით თამაშს?**

— ევროპაში ყველას „პანათინაიკოსი“ მირჩევნია. ისე კი ბავშვობიდან სულ „ლოს ანჯელეს ლეიკერსი“ მესიზმრება.

**როლანდ ლაგუჩიძე**

# ზმაგო საგადინი: ოლიმპიას სჭირდება ბოისა


[illegible] ფოტო

ვლადიმერ ბოისა

19 წლის ქართველმა ფორვარდმა ვლადიმერ ბოისამ ამ სეზონში კარგად ითამაშა და ლიუბლიანის „სლოვანს" პლეი ოფში მოხვედრაში დაეხმარა. ბოისა „სლოვანში" განათხოვრებულია, კონტრაქტით კი ლიუბლიანის „ოლიმპიას" ეკუთვნის, რომელმაც ორი წლის წინ აღმოაჩინა და სლოვენიაში ჩაიყვანა ეს ნიჭიერი ყმაწვილი.

ბოისა ერთი სეზონით იყო განათხოვრებული „სლოვანში". ჩემპიონატის დასრულების შემდეგ მისი „ოლიმპიაში" დაბრუნების საკითხი დადგა. „ოლიმპიას" მწვრთნელი ზმაგო საგადინი ბოისაზე ამას ამბობს: „სექტემბრამდე ბოისა „ოლიმპიაში" ივარჯიშებს. მოსამზადებელ პერიოდს ჩვენთან გაივლის და, თუ მისი მდგომარეობა დაგვაკმაყოფილებს, გუნდშიც ავიყვანთ. ჩვენ ნამდვილად გვჭირდება ბოისა. მით უმეტეს, გუნდის განახლება განვიზრახეთ".

საგადინი, საზოგადოდ, დიპლომატობითაა ცნობილი და მისი პასუხიც დიპლომატიურია. სამაგიეროდ, სხვა კატეგორიულია „ოლიმპიას" ერთ-ერთი ხელმძღვანელი, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა: „მომავალ სეზონში ბოისა ჩვენს გუნდში იქნება".

„ოლიმპიამ" წლეულს არნახული ფიასკო განიცადა: პირველად სლოვენიის ჩემპიონატების ისტორიაში ვერ გახდა ქვეყნის ჩემპიონი და ეს ტიტული ნოვო მესტოს „კრკას" დაუთმო. წესითა და რიგით, „ოლიმპიამ" მომავალ სეზონში საპორტას თასზე უნდა ითამაშოს, თუმცა გუნდს სუპერლიგაში გამოსვლის პერსპექტივაც აქვს. ჯერ ერთი, სლოვენიის კალათბურთის ფედერაცია იბრძვის ფიბა-ს მიერ გამოყოფილი ორი „უაილდ ქარდიდან" ერთ-ერთისთვის. მეორეც, ნოვო მესტოს „კრკამ" შეიძლება უარი თქვას სუპერლიგაში თამაშზე. გუნდს ფიბა-ს სტანდარტების შესაბამისი დარბაზი არა აქვს და ამიტომ ან ლიუბლიანას „ჰალა ტივოლიში" უნდა ითამაშოს ან ლაშკოს „ტრე ლილიაში". გარდა ამისა, სუპერლიგაში მონაწილეობა თავიდან დამატებით ხარჯებს მოითხოვს. ამისთვის „კრკამ" ივლისამდე ერთი მილიონი გერმანული მარკით უნდა შეივსოს ბიუჯეტი, რაც ძალიან საეჭვოა. ნოვომესტოელთა უარის შემთხვევაში სლოვენიიდან სუპერლიგის მონაწილეს სლოვენიის კალათბურთის ფედერაცია შეარჩევს. გარწმუნებთ, კანდიდატურა ერთადერთი იქნება — ლიუბლიანის „ოლიმპია".

**ფრანცი პავშერი**
**„რადიო სლოვენია"**
**საგანგებოდ „სარბიელისთვის"**

# საქმეში ქალი ჩაერია

## ბოდიროგა არამზადაა, კოლდებელა კი ცოლის უკანალს ეფარება

საბერძნეთის ჩემპიონატის ფინალი დასასრულს უახლოვდება. ჩემპიონის გამოსავლენი სერია მშვიდად მიმდინარეობს, ათენის „პანათინაიკოსს" დიდი უპირატესობა აქვს და იოლად ამარცხებს სალონიკის პაოკ-ს.

თუკი მოედანზე განსაკუთრებული არაფერი ხდება, მის გარეთ მოვლენები ერთობ დაიძაბა. მოთამაშეებმა პრესაში ერთმანეთი დალანძღეს. მეტიც, საქმეში ქალიც კი ჩაერია.

ყველაფერი სალონიკში გამართული ფინალის მეორე მატჩის შემდეგ დაიწყო. ბოლო წუთებზე პაოკ-ის და „პანათინაიკოსის" იტალიელებმა, კლაუდიო კოლდებელამ და ნანდო ჯენტილემ იჩხუბეს. ჯენტილეს იუგოსლაველი თანაგუნდელი დეიან ბოდიროგა მიეშველა და ამ ორმა ერთი-ორი წაუთაქეს კოლდებელა[illegible]ს საკმარისი აღმოჩნდა სიტყვიერი [illegible]ს გასაჩაღებლად.

კოლდებელამ საბერძნეთის ტელევიზიით განაცხადა: „ბოდიროგა მეტისმეტად ეჭვიანი კაცია. იგი მე ვერ მიტანს. ეს ზიზღი იმ დროიდან მოდის, როცა ორივე იტალიაში ვთამაშობდით. იცით რატომ არ ვუყვარვარ ბოდიროგას? იმიტომ, რომ პრედრაგ დანილოვიჩი ჩემი ახლო მეგობარია. ხოლო ბოდიროგას დანილოვიჩი ეჯავრება, რადგან იუგოსლავიის ნაკრებში ისინი ერთმანეთის კონკურენტები არიან. ჯენტილეც ეჭვიანია. იტალიაში თამაშისას ყოველთვის ჩემს ჩრდილქვეშ იყო. მას ისიც აცოფებს, რომ „კინდერთან" ერთად უამრავი ტიტული მაქვს მოგებული".

კოლდებელას ბერძენი ცოლი ჰყავს, საბერძნეთში ერთობ პოპულარული მსახიობი და მოდელი ქრისტინა პაპა. კოლდებელას ზემოთქმული სიტყვები ქალბატონი ქრისტინას მონოლოგს მოჰყვა, რომელიც მან ქმრის დასაცავად და ბოდიროგას განსაქიქებლად წარმოთქვა: „ბოდიროგა მდაბიორია. იგი უზრდელი და არამზადაა. რვა ათასმა მაყურებელმა დაინახა, თუ როგორ ულირსად მოექცა იგი ჩემს ქმარს. ამის უარყოფა ბოდიროგას არაფრით შეუძლია".

ბერძენმა ჟურნალისტებმა კომენტარისთვის დეიან ბოდიროგას მიაკითხეს, რომელმაც კოლდებელას ცოლის სიტყვებს ყურადღება არ მიაქცია, ხოლო პაოკ-ელ კალათბურთელს კი მწარედ გადასწვდა: „ვინ არის კოლდებელა? იგი კალათბურთელია? არა. მოედანზე ყოფნისას მას მხოლოდ მეტოქის პროვოკაციაზე წამოგება შეუძლია და ამას წარმატებით აკეთებს. კოლდებელა კაცია? არა ბატონებო, იგი მხოლოდ ცნობილი მოდელის ქმარია. მას ძალიან უყვარს ტელევიზორში გამოჩენა და ამისთვის ყველაფერს იკადრებს. მას სხვა გზა აღარ აქვს, თუ ტელევიზორში სურს მოხვედრა, ცოლის უკანალს უნდა ამოეფაროს".



ნანდო ჯენტილე და დეიან ბოდიროგა — კლაუდიო კოლდებელა ამათ ეჭვიანებს უწოდებს

ამგვარი მკვეთრი განცხადების შემდეგ ბოდიროგამ დასძინა, რომ კოლდებელასთვის უკეთესი პასუხი აქვს გამზადებული, რომელსაც შაბათს საღამოს გასცემს: „იმ საღამოს ჩემი „პანათინაიკოსი" კიდევ ერთხელ გაანადგურებს კოლდებელას პაოკ-ს. მე საბერძნეთის ჩემპიონი გავხდები, იგი კი ცოლთან გაიქცევა, ნუგეშის საძებრად".

კოლდებელაზე აზრის გამოთქმა ნანდო ჯენტილესაც სთხოვეს. ამან საჯარო კომენტარი იუარა, მაგ ბრიყვს ერთი-ერთზე დაველაპარაკები და იქნებ მაშინ გავაგებინო რამეო.

ხვალ კი ფინალის მესამე მატჩია. წესითა და რიგ[illegible] „პანათინაიკოსი" მოიგებს და საბერძნეთის ჩემპიონის ტიტულს შეინარჩუნებს. ისე, პაოკ-ის საქმე მთლად კარგად ვერ უნდა იყოს. აბა, ორმეტრიანი კაცების საქმეში ქალი რომ ცხვირს ჩაყოფს...

# რჩეული ახალბედები

ერთიანი NBA

ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში ორი ისეთი გუნდი დაასახელეს, რომელშიაც მოთამაშე, გინდა სუპერვარსკვლავი იყოს, კარიერის განმავლობაში, დიდი-დიდი ერთხელ მოხვდეს. საუბარია ლიგის ახალბედათა პირველ და მეორე გუნდებზე.

სეზონის საუკეთესო ახალბედას ტიტულის მოზიარეებმა, „ჩიკაგო ბულზის" ელტონ ბრენდმა და „ჰიუსტონ როკიტსის" სტივ ფრენსისმა ქულათა მაქსიმალური რაოდენობა მიიღეს და ახალბედათა პირველ ხუთეულში დაიმკვიდრეს ადგილი. მათ მხარი დაუმშვენეს ლამარ ოდომმა („ლოს ანჯელეს კლიპერსი"), ვალი შჩერბიაკმა („მინესოტა ტიმბერვულვზი") და ანდრე მილერმა („კლივლენდ კავალიერზი").

ახალბედათა მეორე ხუთეულში მოხვდნენ: შონ მარიონი („ფინიქს სანზი"), რონ არტესტი („ჩიკაგო ბულზი"), ჯეიმს პოუზი („დენვერ ნაგითსი"), ჯეისონ ტერი („ატლანტა ჰოქსი") და ჩაკი ატკინსი („ორლანდო მეჯიქი").

ესპანეთი

# გადარჩენილი სერიები

პლეი ოფის ნახევარფინალი
(სამ მოგებამდე)

| | |
|---|---|
| **ბარსელონა** | 2 |
| **ტაუ** | 1 |

**ტაუ 77:72 ბარსელონა**

ტაუ: კორჩიანი (2), გარბახოსა (9), ბენეტი (11), ფუარე (16), ესტელერი (8), ესპილი (11), მილზი (14), ობერტო (6)

ბარსელონა: როდრიგესი, გოლდვაიერი (6), დე ლა ფუენტე (17), ალსტონი (14), ელსონი (2), დიგბო, გუროვიჩი (1), დუენიასი (9), ნავარო (8), რენციასი (11), გასოლი (4)

ვიტორიაში გამართული მატჩი ადგილობრივმა „ტაუმ" პერსონალური დაცვით დაიწყო, რითაც „ბარსელონას" პრობლემები შეუქმნა. ხუან ესპილი მეტოქის გამთამაშებელ ენტონი გოლდვაიერს მჭიდროდ მეურვეობდა, რის გამოც ამ უკანასკნელმა სტუმრები რიგიანად ვერ აათამაშა. მიუხედავად ამისა, „ტაუმ" მაინც ვერ მოახერხა საფუძვლიანად დაწინაურება, რადგან „ბარსას" ფარზე დიდი უპირატესობა ჰქონდა.

„ტაუ" 18:17 იგებდა, როცა პერსონალურიდან ზონურ დაცვაზე გადავიდა და ამის გამო კარგადაც დაისაჯა. ბარსელონელებს შორი და საშუალო მანძილებიდან სროლის საშუალება მიეცათ, რაც კარგად გამოიყენეს როდრიგო დე ლა ფუენტემ და ეფტიმიოს რენციასმა. აღსანიშნავია, რომ „ბარსელონას" ყველაზე დიდი დაწინაურება ხუთი ქულა იყო (36:31, მე-17 წუთზე). საერთოდ, ამ მატჩში შვიდ ქულაზე მეტით წინ გასვლა ვერცერთმა მეტოქემ ვერ მოახერხა. პირველი ტაიმი კი მაინც „ტაუმ" მოიგო: ელმერ ბენეტმა და შერონ მილზმა ბოლო წამებზე ზედიზედ ჩააგდეს და ანგარიში 39:38 გახადეს.

მეორე ტაიმში უპირატესობას უფრო „ტაუ" ფლობდა. ბარსელონელები მოდუნდნენ, და მწვრთნელმა აიტო გარსია რენესესმა ვერაფრით გამოაცოცხლა შეგირდები. მატჩის ბედი მაშინ გადაწყდა, როცა ტაუელთა ფრანგმა ლორან ფუარემ სადავო ბურთი მოუგო ბარსელონელ გიგანტს რობერტო დუენიასს და სამქულიანი ჩააგდო. „ტაუ" 57:53 დაწინაურდა. ამის შემდეგ სტუმართა რიგებში ორი კაცი თამაშობდა — დე ლა ფუენტე (17 ქულა, 7 მოხსნა, 7 პასი) და დერიკ ალსტონი (14 ქულა, 6 მოხსნა, 2 დაფარება). დანარჩენები მოედანზე თითქოს არც იყვნენო, მათ შორის გოლდვაიერი და მილან გუროვიჩი, რომლებიც პლეი-ოფში თამაშს თამაშზე აფლავებენ.

| | |
|---|---|
| **რეალი** | 2 |
| **ესტუდიანტესი** | 1 |

**ესტუდიანტესი 76:74 რეალი**

ესტუდიანტესი: ტომპსონი (13), მარტინესი (4), აისა (4), ფ. რეიესი (3), ხიმენესი (16), ვანდივერი (13), აზოფრა (5), ა. რეიესი (16), არანსი (2)

რეალი: ა. ანგულო (7), სტრიულენსი (8), ჯორჯევიჩი (13), ლ. ანგულო (6), გალილეა (3), ერეროსი (20), ბეტსი (5), სკოტი (9), იტურბე (3)

სერიის მესამე მატჩი ისეთი გამოვიდა, დერბის რომ ეკადრება. მადრიდის სპორტის სასახლეში (სადაც მასპინძლად „ესტუდიანტესი" ითვლება) მისული 12 ათასი მაყურებელი უშელავათო ბრძოლის მოწმე გახდა. პირველი ტაიმი ქულა-ქულაზე მიმდინარეობდა, ბოლოში „ესტუდიანტესმა" უფრო იყოჩაღა და შესვენებაზე ოთხქულიანი უპირატესობით წავიდა — 39:35.

მეორე ტაიმი „რეალმა" უკეთ დაიწყო და მალე ოთხქულიანი ჩამორჩენა ამდენივექულიან დაწინაურებად აქცია (49:45). ამის შემდეგ „ესტუდიანტესმა" ერთი მონაკვეთი 13:2 მოიგო და მერე ლიდერობა მეტოქისთვის აღარ დაუთმია. ამ მომენტში თავი გამოიჩინა ესტუდიანტესელმა კარლოს ხიმენესმა.

ბოლო წუთი კი დრამატულზე დრამატული გამოდგა. „რეალი" წამოეწია იოლი გამარჯვების მომლოდინე „ესტუდიანტესს". სამეფო გუნდის იუგოსლაველმა ალექსანდრ ჯორჯევიჩმა სამქულიანით ანგარიში გაათანაბრა — 74:74. „ესტუდიანტესს" შეტევისთვის რამდენიმე წამი რჩებოდა. ბურთი ალფონსო რეიესმა მიიღო. რეალელი ალბერტო ერეროსი თითქმის იდეალურად მეურვეობდა მას, მაგრამ ესტუდიანტესელმა მაინც მოახერხა სროლა და ბურთიც მეტად ეფექტურად ჩავარდა. „ესტუდიანტესმა" მოიგო და სერიის გადარჩენის შანსი შეინარჩუნა.



ალფონსო რეიესმა „რეალს" გადამწყვეტი ბურთი ჩაუგდო

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

გერმანია. ბუნდესლიგა. 34-ე ტური

20 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 001 | დუისბურგი-ჰამბურგი | 2,7 | 3,0 | 2,2 |
| 002 | ბაიერნი-ვერდერი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 003 | შტუტგარტი-არმინია | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 004 | აინტრახტი-ულმი | 1,7 | 3,3 | 4,0 |
| 005 | შალკე-ჰანზა | 2,0 | 3,6 | 2,7 |
| 006 | უნტერჰახინგი-ლევერკუზენი | 4,0 | 2,0 | 1,8 |
| 007 | ჰერტა-დორტმუნდი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 008 | კაიზერსლაუტ.-მიუნხენ 1860 | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 009 | ვოლფსბურგი-ფრაიბურგი | 1,65 | 3,0 | 4,7 |

გერმანია. II ბუნდესლიგა. 33-ე ტური

21 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 010 | კიოლნი-ზანქტ პაული | 1,6 | 2,8 | 4,0 |
| 011 | ობერჰაუზენი-ალემანია | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 012 | ფიურტი-კარლსრუე | 1,5 | 3,3 | 5,3 |
| 013 | ვალდჰოფი-ფორტუნა | 1,6 | 3,4 | 4,4 |
| 014 | კიკერსი-ჰანოვერი | 1,55 | 3,5 | 4,0 |
| 015 | ოფენბახი-კოტბუსი | 2,5 | 3,0 | 2,4 |
| 016 | ბოხუმი-ქემნიცი | 1,5 | 2,5 | 7,0 |
| 017 | ბერლინი-ნიურნბერგი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 018 | მიონხენგლადბახი-მაინცი | 1,25 | 4,4 | 8,0 |

საფრანგეთი. II დივიზიონი. 38-ე ტური

20 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 019 | ამიენი-გენგამი | 2,8 | 2,9 | 2,4 |
| 020 | ლილი-ლავალი | 1,6 | 3,1 | 6,0 |
| 021 | სოშო-ნიმი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 022 | გენიონი-ნიცა | 1,7 | 3,0 | 5,0 |
| 023 | ლორიანი-აიაჩო | 2,3 | 2,8 | 3,0 |
| 024 | ვალანსი-შატორუ | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 025 | კანი-ლუანი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 026 | კაენი-ტულუზი | 3,0 | 1,8 | 3,0 |
| 027 | ლე მანი-ვასკეალი | 1,6 | 3,1 | 6,0 |
| 028 | ნიორი-კრეტეი | 1,8 | 2,9 | 4,4 |

იტალია. სერია "ბ". 35-ე ტური

21 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 029 | ალძანო-ატალანტა | 2,6 | 2,5 | 2,8 |
| 030 | ბრეშა-ტრევიზო | 1,5 | 2,8 | 7,0 |
| 031 | ჩეზენა-ნაპოლი | 3,0 | 1,7 | 3,2 |
| 032 | კიევო-ვიჩენცა | 2,7 | 1,5 | 3,0 |
| 033 | ემპოლი-ტერნანა | 1,8 | 2,3 | 6,0 |
| 034 | ფერმანა-რავენა | 2,9 | 2,6 | 2,2 |
| 035 | პისტოიეზე-კოზენცა | 1,8 | 2,5 | 5,0 |
| 036 | სალერნიტანა-პესკარა | 1,6 | 2,3 | 7,0 |
| 037 | სამპდორია-მონცა | 1,5 | 2,8 | 8,0 |
| 038 | სავოია-ჯენოა | 2,8 | 2,5 | 2,3 |

ესპანეთი. I დივიზიონი. 38-ე ტური

20 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 045 | ნუმანსია-ბეტისი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 046 | მალაგა-რასინგი | 1,8 | 2,9 | 4,4 |
| 047 | ოვიედო-სოსიედადი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 048 | სევილია-რაიო ვალეკანო | 2,5 | 3,0 | 2,4 |

ესპანეთი. II დივიზიონი. მე-40 ტური

20 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 052 | ოსასუნა-ტენერიფე | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 054 | კორდობა-ვილიარეალი | 2,5 | 3,0 | 2,5 |

21 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 049 | მერიდა-ტოლედო | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 050 | ატლეტიკო "ბ"-უელვა | 2,4 | 3,0 | 2,4 |
| 051 | ლეგანესი-სპორტინგი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 053 | კომპოსტელა-ლევანტე | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 055 | ლას პალმასი-ელჩე | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 056 | ლოგრონიესი-ეიბარი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 057 | ლეიდა-ხეტაფე | 1,6 | 3,5 | 4,2 |
| 058 | სალამანკა-ბადახოსი | 1,5 | 3,1 | 7,0 |
| 059 | ალბასეტე-ესტრემადურა | 3,2 | 2,9 | 2,1 |

საბერძნეთი. 33-ე ტური

20-21 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 060 | კალამატა-არისი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 061 | აეკ-ტრიკალა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 062 | ოფი-იონიკოსი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 063 | პაოკ-კავალა | 1,4 | 3,3 | 6,0 |
| 064 | ქსანთი-ოლიმპიაკოსი | 5,0 | 3,2 | 1,6 |
| 065 | პანათინაიკოსი-აპოლონი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 066 | პანაჰაიკი-პანილიაკოსი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 067 | ეთნიკოსი-პანიონიოსი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 068 | ირაკლისი-პროდეფტიკი | 1,4 | 4,0 | 5,6 |

პოლონეთი. 28-ე ტური

20 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 071 | პლოცკი-პოგონი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 075 | ზაგლებე-ვისლა | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| 070 | ვიძევი-გროცლინი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 072 | ოდრა-სტომილი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 073 | ლეგია-პოლონია | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 076 | გურნიკი-ლკს | 1,9 | 2,9 | 3,4 |
| 069 | ლეხი-რაძიონკოვი | 1,9 | 3,0 | 3,5 |

თურქეთი. 34-ე ტური

20 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 078 | გიოზთეფე-ვანი | 1,6 | 3,4 | 4,4 |
| 079 | ადანა-გაზიანთეფი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 080 | ფენერბაჩე-დენიზლი | 1,4 | 3,5 | 7,0 |

21 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 081 | ბურსა-ქოჯაელი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 082 | ერზურუმი-ბეშიქთაში | 3,0 | 1,8 | 2,2 |
| 083 | გალათასარაი-ისთანბული | 1,6 | 3,6 | 3,2 |
| 084 | ანთალია-ალთაი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 085 | ანკარაგიუჯიუ-ტრაბზონი | 3,6 | 3,2 | 1,8 |

შოტლანდია. 36-ე ტური

21 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 086 | სელტიკი-დანდი იუნაიტედი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 087 | დანდი-აბერდინი | 1,7 | 3,1 | 4,2 |
| 088 | ჰართსი-ჰიბერნიანი | 1,7 | 3,0 | 4,2 |
| 089 | კილმარნოკი-სენტ ჯონსტონი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 090 | მოზერუელი-რეინჯერსი | 3,6 | 3,2 | 1,7 |

ავსტრია. 35-ე ტური

20 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 091 | აუსტრია-რიდი | 1,8 | 2,9 | 4,0 |
| 092 | ლინცერი-გრაცერი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 093 | ბრეგენცი-ტიროლი | 5,0 | 3,6 | 1,5 |
| 094 | ზალცბურგი-რაპიდი | 2,8 | 2,9 | 2,2 |
| 095 | შტურმი-ლუსტენაუ | 1,1 | 6,0 | 12,0 |

შვეიცარია. მე-11 ტური

20 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 097 | გრასჰოპერი-ქსამაქსი | 1,3 | 4,0 | 7,5 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 98 | ლოზანა-ივერდონი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | **21 მაისი** | | | |
| 99 | სერვეტი-ბაზელი | 2,5 | 2,9 | 2,5 |

**დანია. 31-ე ტური**

**21 მაისი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 01 | ორჰუსი-აკადემისკი | 2,3 | 3,2 | 2,4 |
| 02 | ვიბორგი-ოლბორგი | 2,3 | 3,1 | 2,5 |
| 03 | ჰერფიოლგე-ოდენსე | 1,4 | 3,5 | 5,0 |
| 04 | ლიუნგბიუ-სილკებორგი | 2,0 | 3,1 | 3,3 |
| 00 | ბრიონდბიუ-კოპენჰაგენი | 1,5 | 3,4 | 5,0 |
| | **22 მაისი** | | | |
| 05 | ვაილე-ესბიერგი | 1,9 | 3,2 | 3,3 |

**რუსეთი**

**22 მაისი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 06 | როსტსელმაში-ანჟი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 07 | ზენიტი-ნოვგოროდი | 1,6 | 2,9 | 6,0 |

**შვედეთი. მე-7 ტური**

**21 მაისი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 08 | ჰოკენი-ელფსბორგი | 1,9 | 3,2 | 3,1 |
| 09 | სუნდსვალი-ფრიოლუნდა | 2,0 | 3,1 | 3,2 |
| 10 | იორგრიტე-ტრელებორგი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| | **22 მაისი** | | | |
| 11 | გაის-გიოტებორგი | 4,4 | 3,1 | 1,6 |
| 12 | ჰამარბი-ჰალმსტადი | 2,7 | 3,0 | 2,3 |
| 13 | ნორჩიოპინგი-ჰელსინგბორგი | 2,2 | 2,9 | 2,8 |
| 14 | იორებრო-აიკ | 2,5 | 2,9 | 2,5 |

**ნორვეგია. მე-10 ტური**

**21 მაისი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 16 | ბრინი-მიოლდე | 3,8 | 3,2 | 1,8 |
| 17 | მოსი-ლილესტრიომი | 2,0 | 3,2 | 3,1 |
| 18 | სტაბეკი-ბრანი | 2,6 | 3,1 | 2,3 |
| 19 | სტარტი-ჰაუგესუნდი | 2,1 | 3,1 | 2,8 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 120 | ტრომსიო-ოდ გრენლანდი | 1,8 | 3,1 | 3,8 |
| 121 | ვოლერენგა-ვიკინგი | 2,3 | 3,1 | 2,6 |
| | **22 მაისი** | | | |
| 115 | ბოდიო გლიმტი-რუსენბორგი | 3,8 | 3,1 | 1,7 |

**ინგლისი. თასის ფინალი (უემბლიზე)**

**20 მაისი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 122 | ჩელსი-ასტონ ვილა | 2,0 | 3,0 | 3,5 |

**პორტუგალია. თასის ფინალი**

**21 მაისი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 123 | სპორტინგი-პორტუ | 2,2 | 2,9 | 3,0 |

**ჰოლანდია. თასის ფინალი (ნეიტრალურზე)**

**21 მაისი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 124 | როდა-ნაიმეგენი | 1,5 | 3,6 | 5,0 |

**რუსეთი. თასის ფინალი**

**21 მაისი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 125 | ლოკომოტივი-ცსკა | 1,7 | 3,0 | 4,7 |

**კალათბურთი**

**21 მაისი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 803 | მაიამი-ნიუ იორკი | | | |
| 804 | ინდიანა-ფილადელფია | | | |

**ჰოკეი**

**20 მაისი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 806 | ნიუ ჯერსი-ფილადელფია | 1,7 | 4,0 | 2,4 |
| | **21 მაისი** | | | |
| 807 | კოლორადო-დალასი | | | |
| | **22 მაისი** | | | |
| 808 | ფილადელფია-ნიუ ჯერსი | | | |


**კროკოს ბიუროთა მისამართები:**

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში; №2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე; გლდანი, I სავაჭრო ცენტრი; თემქა, მე11-ე მიკრორაიონი, პირველი კვარტალი

ქუთაისში — პუშკინის ქუჩა №16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის" შენობაში.

ბათუმში — ლუკა ასათიანის (ყოფილი ჯაფარიძის) ქუჩა №67, II სართული.

გორში — სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი. თელავში — კოსტავას ქუჩა №23.


კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

# გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

F1

მეექვსე ეტაპი | ევროპის დიდი პრიზი

ნიურბურგრინგი

ნიურბურგი, 21 მაისი




ტრასის სიგრძე . . . . . . . . . . . . . . . . . . 4.556 კმ
რბოლის დისტანცია . . . . . . . . . . . . . 67 წრე — 305.252 კმ

რბოლა დაიწყება ჩვენი დროით 17 საათზე

შარშანდელი შედეგები

1 ჰერბერტი (სტიუარტი); 2 ტრული (პროსტი); 3 ბარიკელო (სტიუარტი); 4 რ. შუმახერი (უილიამსი); 5 ჰაკინენი (მაკლარენი); 6 ჟენე (მინარდი)

კვალიფიკაცია ფრენცენი (ჯორდანი) 1:19.910

წინა წლების გამარჯვებულები

1983 (ინგლისი)— პიკე (ბრებემი); 1984 (გერმანია) — პროსტი (მაკლარენი); 1985 (ინგლისი) — მენსელი (უილიამსი); 1993 (ინგლისი) — სენა (მაკლარენი); 1994 (ესპანეთი) — მ. შუმახერი (ბენეტონი); 1995 (გერმანია) — მ. შუმახერი (ბენეტონი); 1996 (გერმანია) — ვილნევი (უილიამსი); 1997 (ესპანეთი) — ჰაკინენი (მაკლარენი)

საუკეთესო წრე ფრენცენი (უილიამსი) - 1997 — 1:18.805 (208,129 კმ/სთ)

# ევროპისთვის აქა-იქ და ხანდახან

ევროპის დიდი პრიზის დაწესება, ისევე როგორც „წყნარი ოკეანისა" (იაპონიაში), სამეფო რბოლების უდიდესმა პოპულარობამ განაპირობა.

რაკი წელიწადში ორჯერ ერთი ქვეყნის თასის გათამაშება დაუშვებელია, ამიტომაც მოინახა ამგვარი გამოსავალი. ევროპულ ეტაპს მასპინძლობს ის ქვეყნები, სადაც ფორმულისადმი ინტერესი განსაკუთრებულია — ინგლისი, გერმანია, ესპანეთი. გარდა ამისა, თავის ტერიტორიაზე იტალიაც ატარებს მეორე რბოლას — „იმოლაზე", სან მარინოს ჩემპიონატის სახელით.

ევროპის დიდი პრიზის გათამაშება 1983 წლიდან ეწყობა, თუმც არარეგულარულად — ხვალ მხოლოდ მეათე რბოლაა, აქედან მეხუთე, გერმანიაში, „ნიურბურგრინგზე". „შავი მთის" ძირში ჯერ კიდევ 1927 წელს გაყვანილი ჩქაროსნული ტრასა ერთ-ერთი ყველაზე გრძელიც იყო და სახიფათოც. 23-კილომეტრიანმა წრემ, რომელსაც „მწვანე ჯოჯოხეთს" ეძახდნენ, 1951 წლიდან მოყოლებული, გერმანიის თასისთვის მებრძოლი ხუთი პილოტის სიცოცხლე შეიწირა.

ტრაგიკულ სიას 1976 წელს კინაღამ ნიკი ლაუდაც მიემატა — ასპარეზობის მეორე წრეზე, ბარიერთან მინარცხების შემდეგ, მისი სავსეავზიანი „ფერარი" ცეცხლში გაეხვია და მხოლოდ კოლეგების უსწრაფესმა დახმარებამ გადაარჩინა ავსტრიელი უეჭველ სიკვდილს.

ამ შემთხვევის გამო „ნიურბურგრინგი" სამეფო რბოლებს ჩამოაშორეს და გერმანიის დიდი პრიზის გათამაშებამ ჰოკენჰაიმზე გადაინაცვლა. მართალია, რადიკალური ცვლილებების შემდეგ ნიურბურგის წრე ხუთჯერ დამოკლდა და ბევრად უხიფათოც გახდა, მაგრამ რვა წლის მერეღა დაუბრუნდა ფორმულას.

1999 წლამდე „ევროპა" მხოლოდ ჩემპიონებისა იყო — გვირგვინოსნები თასს არავის ანებებდნენ. ტრადიცია შარშან დაირღვა, როცა დაძაბულობისა და სანახაობის მხრივ ფანტასტიკურ რბოლაში ყველას, მათ შორის სტარტზე გამოსულ სამ ჩემპიონს (ჰაკინენი, ჰილი, ვილნევი), ჯონი ჰერბერტის „სტიუარტმა" აჯობა და პირველი მიიჭრა ფინიშთან. მიხაელ შუმახერმა ის ეტაპი „სილვერსტოუნზე" ავარი... ფეხის მოტეხვის მიზეზით გამოტ... სხვათა შორის, შუმი ერთადერთია, ... ევროპის დიდი პრიზი ორჯერ და... კუთრა, ოღონდ „ბენეტონის" ბო... დით, „ფერარის" პილოტებს კი ... ერთხელაც ვერ მიუღწევიათ გამა... ვებისთვის.

შარშანდელ, იმ გამორჩეულ რ... ლაში საშინელი ავარიაც მოხდა ... პირველივე წრეზე ბრაზილიელი ... დრო პაოლო დინიცის „ზაუბერი" ალ... ვურცის „ბენეტონთან" შეჯახების ... რე ჰაერში აფრინდა და მიწაზე ... რქვე დანარცხებულმა პილოტი ... მოიყოლა. საბედნიეროდ, ასეთ ფა... რაკს სამხრეთამერიკელი სასწაულ... რივად, მხოლოდ ერთი-ორი განაკაწრ... გადაურჩა.

დღევანდელი „ნიურბურგრინგი" ... შუალო სისწრაფისაა: წრის რეკორ... 208,129 კმ/სთ ჰაინც-ჰარალდ ფრენც... ეკუთვნის და სამი წლის წინაა დამ... რებული. საკმაოდ რთული პროფილ... მიუხედავად, ტრასაზე ორი მონაკ... თია, სადაც სიჩქარე 300 კილომეტრ... მდეც ადის. მოსახვევებს სპონსორე... სახელები აქვთ — ფორდი, დანლო... კასტროლი, კოკა-კოლა, RTL (გერ... ნული ტელეკომპანიაა).

დაბოლოს, 35 წლის ჰერბერტის ... რიერაში ხვალინდელი რბოლა სა... ბილეო, 150-ე იქნება. ჯონი, თუკი ... ჩაღებს, ერთბაშად მეორე კურდღელს ... დაიჭერს — თუნდაც მეხუთე ად... ლზე გავიდეს, პრესტიჟულ ასეულ... ნთა კლუბში ჩაეწერება.

ირაკლი ნიკოლა...

# ჰაკინენი ცოლს საჭესთანაც ენდობა

*მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი მიკა ჰაკინენი თავისი მეუღლის, ერიას გარეშე ნაბიჯს არ დგამს. ქალბატონი ჰაკინენი ფინელს 1995 წელს ავსტრალიის დიდ პრიზზე განცდილი უმძიმესი ავარიის შემდეგაც გვერდით ედგა და ბოლო ორ სეზონში მიხაელ შუმახერთან დაძაბული ბრძოლების დროსაც. მშობლიურ ფინეთში ერია პოპულარული სატელევიზიო წამყვანია და ფორმულა 1-ის წყალობით თანდათან საერთაშორისო სარბიელზეც იკიდებს ფეხს: რბოლების დროს ოპერატორები ხელიდან არ უშვებენ შანსს და მის განწყობილებას ყოველთვის აფიქსირებენ. ამ რამდენიმე კვირის წინ კი „მერსედესის" სარეკლამო კლიპშიც გადაიღეს, სადაც სახელოვანი მეუღლე აშკარად დარჩდილა. ეს ინტერვიუ მისის ჰაკინენის უკეთ გაცნობაში დაგეხმარებათ.*


მოსიყვარულე მიკა და ერია

**— რომელი სამი სიტყვით დაახასიათებდით საკუთარ თავს?**

— ძლიერი, ენერგიული, ცნობისმოყვარე.

**— და რომელი სამი სიტყვით დაახასიათებდით მიკას?**

— წინდახედული, მიზანმიმართული, მხიარული.

**— ადამიანებში ყველაზე მეტად რას აფასებთ?**

— ჩემი აზრით, მთავარი პატიოსნებაა.

**— რა გაღიზიანებთ ყველაზე მეტად?**

— ვერ ვიტან ორპირ ადამიანებს, რომლებიც პირში სხვას გეუბნებიან, ზურგსუკან კი სხვას ამბობენ. ფორმულა 1-ში ასეთი ბევრი შემხვედრია.

**— მიკა ხშირად გსვამთ საჭესთან? როგორი მგზავრია?**

— საერთოდ, მიკას საკმაოდ ხშირად ვატარებ და ის სულაც არ ნერვიულობს, არასოდეს მეუბნება, როგორ უნდა მოვიქცე, რა გავაკეთო. ვფიქრობ, მენდობა. სხვათა შორის, მითხრა, რომ კარგი მძღოლი ვარ, რაც დიდი პრიზის პილოტისგან დიდი კომპლიმენტია.

**— ახალი ორადგილიანი მაკლარენით რბოლაზე თუ გიფიქრიათ?**

— მე და მიკამ ის ლაპლანდიაში, თოვლში უკვე გამოვცადეთ, მაგრამ მაინცდამაინც სწრაფად არ გვივლია. დიდი სიამოვნებით გავიქროლებდი ნამდვილ ტრასაზე, ოღონდ იმ პირობით, თუ საჭესთან მიკა იქნება.

**— რომელი დიდი პრიზი მოგწონთ ყველაზე მეტად და რატომ?**

— ასეთი საკმაოდ ბევრია. ძალიან მიყვარს ესპანეთი და ბარსელონა, ასევე კანადის დიდი პრიზი მონრეალში, მთელი ქალაქი თითქოს რბოლით ცხოვრობს იმ დღეებში.

**— რა კითხვას გისვამენ ყველაზე ხშირად ჟურნალისტები?**

— მეკითხებიან, მეშინია თუ არა, როდესაც მიკას რბოლას ვუყურებ და ეს ძალიან მაღიზიანებს. სრულიად უკბილო და პათეტიკური კითხვაა. რა თქმა უნდა, ვეუბნები, არა-მეთქი.

**— რბოლებს „მაკლარენის" ავტ... ფარეხში რატომ ადევნებთ თვალ... თვალყურს, არ გირჩევნიათ, სად... უფრო კომფორტულ ადგილზე მ... კალათდეთ?**

— სხვაგან რომ წავიდე, მხოლ... იმას გავიგებ, რასაც ტელევიზიით გ... დმოსცემენ, ავტოფარეხში კი გაცილ... ბით მეტი ინფორმაცია მაქვს. ... ვთქვათ, მიკა ტემპს შეუნელებს, ან რ... იმე პრობლემა შეექმნება, მექანიკოს... ბი აუცილებლად მეტყვიან, რა ხდე... მე ასე უფრო მომწონს.

**— როდესაც სახლიდან გადიხარ... თან რა მიგაქვთ?**

— ყოველთვის თან მაქვს საინტ... რესო წიგნი.

**— ამჟამად რას კითხულობთ?**

— ტოლკინის „ბეჭდების მბრძან... ბელს". პირველად 17 წლისამ წავიკ... თხე და ძალიან მომეწონა. წიგნი უცნ... ური და რთული იყო, ამიტომ გადავ... ყვიტე, ერთხელაც მივბრუნებოდი. ... ნაც მალე მის მიხედვით ფილმის გად... ღებას აპირებენ და როცა ვნახავ, წიგნ... ველარ გავეკარები, საკუთარი წარმოს... ხვის შესაძლებლობა აღარ მექნება.

**— გაღიზიანებთ, როდესაც მიკა... ცოლს გიწოდებენ?**

— სულაც არა. მიკა ვარსკვლავ... მას მთელს მსოფლიოში აფასებენ ... ის, რომ მის მეუღლედ მიცნობ... ცხადია, სულაც არ მაწუხებს.

ბაჩა არჯევანიძ...



# დი კაპრიო დაქორწინდა

giro d'italia 2000

იტალიელ მრბოლთაგან ერთ-ერთმა ყველაზე ახალგაზრდამ და ამბიციურმა, „კანტინატოლოს" ლიდერმა დინილო დი ლუკამ სტარტის წინ დაიქადნა, აუცილებლად მოვიგებო და ასრულა კიდეც დანაპირები. თვისტომ ვლადიმირ ბელის გამარჯვება ცხვირწინ ააცილა.

პელოტონის „დი კაპრიოდ" მონათლული დი ლუკა ფრანჩესკო, კასაგრანდესთან ერთად ფინიშამდე 8 კილომეტრით ადრე დაეწია დაწინაურებულ მრბოლთა ჯგუფს. ცნობილ მსახიობ ლეონარდო დი კაპრიოს კი იმიტომ ადარებენ, რომ იგიც მასავით ფერმკრთალი და მექალთანეა. თუმცა დონჟუანობას, ალბათ, მალე მოიშლის, რადგან რამდენიმე დღის წინ მეტოქე გუნდის — „მობილვეტას" სპორტული დირექტორის ქალიშვილზე დაინიშნა.

ეს წარმატება პირველი იყო 24 წლის სპორტსმენისთვის „ჯიროში". ეტაპის დამთავრების შემდეგ დაიწუწუნა, რომ საერთო ჩათვლაში ლიდერი ვერ გახდა, მაგრამ ვარდისფერ მაისურას, ერთხელაც იქნება, მოვირგებ, ორშაბათის ეტაპზე მოგების კარგი შანსი მაქვს და იქნებ მაშინ დავწინაურდეო. ორშაბათამდე კი ვარდისფერი მაისურის ჩაცმის უფლება მეორე იტალიელმა, მატეო ტოსატომ მოიპოვა საშუალედო ფინიშზე გახერხებული პრემიალური წამების წყალობით.

ისე, არც ამ ეტაპს ჩაუვლია ჯგუფური წაქცევის გარეშე, რის გამოც პაოლო სავოლდელი და მარკო პანტანი პელოტონს მოწყდნენ, მაგრამ მერე მაინც დაეწივნენ მას. ფრანგი ივონ დელანუა კი ნაადრევად დაემშვიდობა შეჯიბრს, დაცემისას იგი დაშავდა და საავადმყოფოში წაიყვანეს.

ფინიშზე გამართულ სპრინტში რომ ძლიერი პეპლები არ მონაწილეობდნენ არავის გაუკვირდეს. გზაზე რამდენიმე დიდი აღმართი იყო და ერთ-ერთ მათგანზე პელოტონი არ დაელოდა სპრინტერებს. მათაც ჯამში დაახლოებით 19 წუთი წააგეს დი ლუკასთან.

გაიოზ თალაკვაძე

**მეხუთე ეტაპი**

მატერა — პესჩიჩი, 232 კმ

1. დანილო დი ლუკა (იტალია, კანტინა ტოლო) — 5სთ 19წთ 18წმ
2. ვლადიმირ ბელი (იტალია, ფასა ბორტოლო)
3. პაოლო ლანფრანჩი (იტალია, მაპეი)
4. ფრანჩესკო კასაგრანდე (იტალია, ვინი კალდიროლა)
5. აქსელ მერქსი (ბელგია, მაპეი) — ყველას იგივე დრო

საერთო ჩათვლა

1. მატეო ტოსატო (იტალია, ფასა ბორტოლო) — 25სთ 28წთ 34წმ
2. კრისტიან მორენი (იტალია, ლიკიგასი) — +3წმ
3. ხოსე გუტიერესი (ესპანეთი, კელმე) — +14
4. ანდრეა ნოე (იტალია, მაპეი) — +25
5. დანილო დი ლუკა — +31


ველომრბოლები მონტე სანტ ანჯელოს აღმართს შეუყვნენ

# ვენერა ჩაყლაპეს

...ომის ღია პირველობა. იტალია. ...ხნარი. საპრიზო 1,1 მილიონი $

...ველის ინსტიქტისა და ბოცვრის ...მეტყველების მქონე ელენა დოკი- ...კორტზე ბერმუდის სამკუთხედს ...ს — არასოდეს იცი, მეტოქეს რო- ...ჩაყლაპავს.

...7 წლის ავსტრალიელის პირველი ...ბვერპლი შარშანდელ უიმბლდონზე ...ტინა ჰინგისი შეიქნა — იუგოს- ...ური წარმოშობის ვუნდერკინდმა ...ელიოს პირველი ჩოგანი პირვე- ...ე წრეში დაამცირა 6:2, 6:0.

...ლ ინგლენდ კლაბში" მეოთხედფი- ...ში გასვლის შემდეგ ელენამ და მი- ...შერეკილმა მამამ, დამირმა კორტს ...თ მეტოქეების ლანძღვა-გინებით, ჟუ- ...ლისტებთან ხელჩართული ბრძოლი- ... და გლობალური შეთქმულებების ...ლებით" იჯერეს გული. თუმცა დო- ...ბის ოჯახმა ეს ორი თვეა, სკანდა- ...ი დროებით გვერდზე გადადო და ...ჩოგბურთზე გაამახვილა ყურადღება. ...ფედეგად ფედერაციის თასზე აპრი- ...ბოლოს ავსტრალიელმა ანა კუ- ...კოვა და სანდრინ ტესტიუ დაჯა- ... რომში კი შავ ვენერა უილიამსს ...ზე შავი დღე გაუთენა.

...ავდაჯერება და სიმშვიდე ამ კატას- ...ფულ მერვედფინალში ტურნირის ...შანდელ ჩემპიონ ამერიკელს მხო- ... 10 წუთის მანძილზე გაჰყვა. მერე ...ინუსმა ერთბაშად რამდენიმე ანომა- ...ი მოვლენა აღმოაჩინა — ჯერ ერთი, ...ტყავა მეტოქე მასზე უფრო მძლა- ... ურტყამდა ბურთს; ეს დარტყმუ- ..., როგორც წესი, ზედ ხაზებზე ან ... უშუალო სიახლოვეს ეცემოდა, თა- ... დაცვა და კორტის ერთი კიდიდან ...ეში თავქუდმოგლეჯილი სირბილი ...იჩს კი არა, თავად მას უხდებოდა. ...ავმომწონე უილიამსმა მდგომარე- ... გამოსწორება „თვალი თვალის ... კბილი კბილის წილ" პრინციპით ...ა და ძალას ძალა დაუპირისპირა, ...ცა არაფერი გამოუვიდა — მისი ...არები ან დიდი მანძილით სცდე- ...ა მიზანს, ან ქერა ავსტრალიელის ...ი ლუკმა ხდებოდა.

...-დან პირველ სეტში დოკიჩმა ზე- ...ედ 9 გეიმი მოიგო და გაოგნებუ- ... ვინუსმაც უკანასკნელ და მდა-ბალ ხრიკს მიმართა — ვითომდა საჭიროების დასაკმაყოფილებლად, სინამდვილეში კი მეტოქის რიტმიდან ამოსაგდებად რამდენიმე წუთით გასახდელში გაუჩინარდა.

თაღლითობამ მცირე შედეგი მართლაც გამოიღო, ამერიკელმა ელენას მოწოდება აართვა და ანგარიში ცოტათი შეამცირა, მაგრამ ეს იყო და ეს — უილიამსის საცოდაობას დოკიჩმა მალე დაუსვა წერტილი 6:1, 6:2.

ვინუსმა რამდენიმე ათასი რომაელისა და მილიონობით სატელევიზიო მაყურებლის თვალწინ შერცხვენა ვერ აიტანა და იქვე, ტრიბუნაზე, დედის, ორასინის მკლავზე ცრემლები აღვარღვარა.

თუმცა ჟურნალისტების წინაშე უილიამსი დაწყნარებული გამოცხადდა: „აქ ატირებული ხომ არ მოვიდოდი, ამისთვის პრესკონფერენციის შემდეგაც საკმაო დრო მექნება. ფსიქოლოგიურად მზად ვარ სათამაშოდ, მაგრამ ხანგრძლივი არყოფნის გამო ფიზიკურად მოვისუსტებ. იმედია, როლან გაროსზე გაცილებით წარმატებულად ვიასპარეზებ".

დოკიჩი, ბუნებრივია, გახარებული და ოპტიმისტურად განწყობილი იყო: „ვიცოდი, რომ თუ კარგად ვითამაშებდი, ვინუსის დამარცხება შემეძლო. ასეთ დიდ ტურნირზე საუკეთესო ხუთეულის წარმომადგენლის ჯობნა ბევრს ნიშნავს ჩემთვის, ახლა ფინალში გასვლის კარგი შანსი მაქვს".

კიდევ ერთი ამერიკელი ფავორიტი, ლინდსი დევენპორტი ტურნირს კორტზე გაუსვლელად დაემშვიდობა — მან დილის ვარჯიშზე ზურგის ტრავმა მიიღო.

„ფორჰენდი დავარტყი და ზურგში მწვავე ტკივილი ვიგრძენი. მაშინვე მივხვდი, რომ დღეს თამაშს ვეღარ შევძლებდი. ასე არასოდეს დავშავებულვარ, ყველაფერი მოულოდნელად მოხდა. ექიმებმა ჯერ არ იციან, როდის დავბრუნდები კორტზე. ვიმედოვნებ, დაჭიმულობა მალე გამივლის და პარიზში თამაშს მაინც მოვახერხებ".

დევენპორტისგან განსხვავებით, ტურნირზე მეოთხედ განთესილმა მარი პირსმა თანამემამულე ამელი მორესმოსთან 3:6, 4:6 მარცხი მეტად უცნაური მიზეზით ახსნა.



ელენა დოკიჩი

„შევცდი, რომ მატჩის წინ არ ვჭამე. რომში ჩამოსვლის დღიდან გადაღლილი და მადადაკარგ... ვარ. შეხვედრის დასაწყისში ლამის მეძინებოდა, ენერგიისგან დაცლ...ლი ვიყავი, თავი უკეთ მხოლოდ მაშინ ვიგრძენი, როდესაც მეორე სეტში ...-ზე კოკა-კოლა დავლიე, თუმცა უკვე გვიანი იყო".

მერვედფინალი: **ნატალი ტოზია** (2, საფრანგეთი) — მაგდალენა გრჟიბოვსკა (პოლონეთი) 6:3, 4:6, 7:6 (7:4); **მონიკა სელეში** (5, აშშ) — ანა-გეილ სიდო (საფრანგეთი) 3:6, 6:1, 6:1; **არანჩა სანჩეს-ვიკარიო** (6, ესპანეთი) — დენიზა ხლადკოვა (ჩეხეთი) 6:1, 6:4; **ფაბიოლა ზულუაგა** (კოლუმბია) — ჟული ალარი (7, საფრანგეთი) 6:3, 4:6, 6:2.

მატსერსის სერია — ჰამბურგი. გერმანია. თიხნარი. საპრიზო 3 მილიონი $

მერვედფინალი: **მაგნუს ნორმანი** (3, შვედეთი) — იუნეს ელ აინაუი (13, მაროკო) 3:6, 6:1, 6:4; **სედრიკ პიოლინი** (4, საფრანგეთი) — ანდრეი მედვედევი (უკრაინა) 4:6, 6:2, 6:3; **გუსტავო კუერტენი** (5, ბრაზილია) — უეინ ფერერა (სამხრეთ აფრიკა) 6:1, 6:2; **მარიანო ზაბალეტა** (არგენტინა) — ტიმ ჰენმანი (8, ინგლისი) 7:5, 6:3; **ფრანსისკო კლავეტი** (ესპანეთი) — ალექს კორეტხა (9, ესპანეთი) 6:4, 6:1; **მარატ საფინი** (12, რუსეთი) — მარკ როსე (შვეიცარია) 6:4, 7:5; **მარსელო რიოსი** (ჩილე) — მარიანო პუერტა (არგენტინა) 7:6 (7:4), 6:0.

**ავთანდილ სვანიძე**



# ბიძინა მაზიაშვილის დაკარგული დრო და გაყიდული კიმონო

ჩვენი დღევანდელი ყოფისა და ბედის უკუღმართობამ ორი მართლაც სამარცხვინო ფაქტის მომსწრენი გაგვხადა. ჯერ იყო და სიდუხჭირით შეწუხებულმა დავით ციმაკურიძემ გამოთქვა თავისი ოლიმპიური ოქროს მედლის გაყიდვის სურვილი, ახლა კი ჩვენი ძიუდოს ერთ-ერთმა ფუძემდებელმა, საქართველოსა და ყოფილი საბჭოთა კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა, ოლიმპიურ პრიზიორთა, მსოფლიოსა თუ ევროპის ჩემპიონთა აღმზრდელმა, საუკუნის საუკეთესო მწვრთნელთა ათეულში დასახელებულმა ბიძინა მაზიაშვილმა ჩვენი ძიუდოს ფედერაციისგან ნაჩუქარი ფრანგული კიმონო გაყიდა...

მაზიაშვილი რედაქციაშიც გვეწვია და თავისი გულისტკივილი გაგვანდო: არც ვწუწუნებ, არც დახმარებას ვითხოვ, საქართველოს ნაკრების მწვრთნელს 34-ლარიანი ხელფასი მაქვს, რომელიც ორი წელიწადია, არ ამიღია და ის მინდა მომცენო. ამაგდარმა მწვრთნელმა დანანებით და დაუფარავად ესეც თქვა, რომ მცოდნოდა, ასე გამიჭირდებოდა, სხვანაირად ვიცხოვრებდიო. ახლა ნანობს, ცხოვრებაში ფულის გაკეთება ბევრჯერ რომ შეეძლო, მაგრამ რაღაცები არ იკადრა.

არა გვგონია, ამ წერილის წაკითხვის მერე მავანმა სინდისაწრიალებულმა ხელისუფალმა, ეს რა ხალხი გატანჯულა ჩვენი მიზეზითო, გული გაუსკდეს. ჰოდა, ჩვენც რაღა დაგვრჩენია, ყოველივე ზემოთქმულს ესღა შეიძლება დავამატოთ — თუ სპორტისადმი ასეთი დანაშაულებრივი დამოკიდებულება მომავალშიც გაგრძელდება, ციმაკურიძე-მაზიაშვილს მიმდევრებიც გამოუჩნდებიან და ქართული სპორტის მატიანეს სხვა სამარცხვინო ფურცლებიც შეემატება.

**ირაკლი თავაძე**



ბიძინა მაზიაშვილმა მალაზიაში ჩაბარებულ კიმონოს ლამის გულიც თან გააყოლა



# PLAY OFF

## ნახევარფინალი

# ...იუ ჯერსიში ...ლდე ჩამოინგრა

18 მაისი

**ნიუ ჯერსი — ფილადელფია 1:2**

**ნიუ ჯერსი — ფილადელფია 2:4**

**1:2 0:1 1:1**

...რეკი 2'57 (5), 1:1 დემიე 4'24 (3); 1:2 ჯონსი 14'14 (3); 1:3 ტოკე...ი 27'15 (4); 2:3 ნიდერმაიერი 55'59 (4); 2:4 განი 58'11 (4)

...ორი წუთი, რომელმაც შემრა ნიუ ჯერსი" — ასე შეიძ...ა დავახასიათოთ ის, რაც ფილადელფიასა და ნიუ ჯე...ს დაპირისპირებაში ხდება. წარმოუდგენელია, მაგრამ ფა..., ჩინებულად თამაშობდა ნიუ ჯერსი. თითქმის აბუჩადაც ...გდებდა მეტოქეს და უცებ... წინა შეხვედრაში ორი წუ... განმავლობაში გაშვებული სამი შაიბის შემდეგ ყველაფე...უკუღმა დატრიალდა. გუნდს ერთდღიანმა დასვენებამაც ...უშველა. „ეშმაკებმა" კვლავ არადამაჯერებლად ითამაშეს, ... საკუთარ კედლებში. თვით მარტინ ბროდო, რომელსაც ...ისი შეუვალი ბუნების გამო „კლდე" შეარქვეს, უჩვეუ... ნერვიულობდა, რაც მის პარტნიორებსაც გადაედო. ეს ...აფერი პირველ წუთებზევე გახდა ნათელი. ჯერ იყო და ... დესარდენის შორეული და არცთუ ძლიერი დარტყმის ...ემ გაჭირვებით მოიგერია ბროდომ შაიბა, მერე კი მარკ ... არცთუ ძლიერად დარტყმული შაიბა ფეხებს შორის ...ვრა. მართალია, მასპინძლებმა სულ მალე გაათანაბრეს, ...მ- უპირატესობას კვლავ ფილადელფია ფლობდა. უნდა ...ს, რომ „მფრინავებმა" ერთობ გონივრულად ააწყეს თა... ჩანს, კრეიგ რამსეიმ სწორი დასკვნები გამოიტანა პირ... მატჩების შემდეგ და შეგირდებს აუხსნა, რომ ნებისმი... შეტევისას მინიმუმ ორი მოთამაშე უკან უნდა დარჩეს, ... ნიუ ჯერსს კონტრშეტევების საშუალება არ მიეცეს. ...მაშეებმაც მწვრთნელის დავალება კეთილსინდისერად შე...ლეს. მეტოქის ორგანიზებული და შეხმატკბილებული ...ითი თამაში „ეშმაკებისთვის" მოულოდნელი იყო.

...და გამოვარჩიოთ ბრაიან ბუშე, ფილადელფიელთა მეკარე ...ოსგან განსხვავებით, იგი სულ უფრო და უფრო მშვიდად თამაშობს, ამჯერად კი მატჩის ნამდვილი გმირი გახდა. 23 წლის მეკარემ არაერთხელ იხსნა თავისიანები, ხოლო ის, რაც მან პატრიკ ელიაშის შეტევისას შეძლო, უკლებლივ ყველა სააგენტომ პლეი ოფის საუკეთესო მოგერიებად მონათლა. ამის შემდეგ ისედაც ერთობ შებოჭილ მასპინძლებს სულ აებნათ თავგზა და რიკ ტოკეტის გოლმა ეს ერთხელაც დაადასტურა. კეიტ პრიმომ ზუსტი პასით მოედნის შუაგულში გაჩხერილი მცველები უსაქმოდ დატოვა და ტოკეტს ბროდოს გამკვლავება აღარ გასჭირვებია. მიუხედავად იმისა, რომ წინ პერიოდ-ნახევარი იყო, ამით პრაქტიკულად გადაწყდა მატჩის ბედი. ნიუ ჯერსი კი ცდილობდა გარდატეხის შეტანას, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს მოსწავლეები რთულ და არასასიამოვნო დავალებას ასრულებენო.



ფილადელფიელთა მეკარემ ბრაიან ბუშემ ნიუჯერსელი კოლეგისგან განსხვავებით გუნდი ბევრჯერ იხსნა

**სამველ ღარიბიანი**

# ქართველებმა წინ წაიწიეს

გუშინ პოლონეთის ქალაქ ვროცლავში, ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატზე ქართველთა მეორე ოთხეული ჩაერთო ბრძოლაში. ამჯერად პერსპექტივა უკეთესია: ორი ჩვენებური ნახევარფინალშია და ოქროს მედლისთვის აგრძელებს ბრძოლას, ორი კი ჩემპიონატს გამოეთხოვა.

ნესტორ ხერგიანმა (60 კგ) ზედიზედ მოუგო უკრაინელ რუსლან მირზალიევს, გერმანელ ოლივერ გუსენბერგს და შვეიცარიელ დავიდ მორეს. ხვალ ხერგიანი ნახევარფინალში ფრანგ ერიკ დესპეზელს შეხვდება.

სამი შეხვედრა მოიგო გიორგი რევაზიშვილმაც (73 კგ). მან ლიტველი ალან ტეხოვი, პოლონელი რაფალ კოზიელევსკი და ხორვატი მარკო სენტიჩი ჩამოიცილა გზიდან. რევაზიშვილის მეტოქე ნახევარფინალში რუსი ვიტალი მაკაროვია.

დავით მარგოშვილი (66 კგ) იუგოსლავიელ მილორად მიალკოვიჩთან დამარცხდა და ბრძოლას გამოეთიშა. პირველი წრის შემდეგ დაასრულა ასპარეზობა ალექსი დავითაშვილმა (აბსოლუტური) — მას გერმანელმა ფრანკ მიოლერმა მოუგო.

დღეს გია გუგავა (90 კგ) და ივერი ჯიქურაული (100 კგ) ბრინჯაოს მედლების მოსაპოვებლად იბრძოლებენ.



# კავშირში გინება არ უყვართ

18 მაისს საქართველოს რაგბის კავშირში სადისციპლინო-ტექნიკური კომისიის სხდომა გაიმართა, რომელზეც 14 მაისს გამართულ ასკ — „ყოჩების" მატჩის დროს მომხდარ ინციდენტზე იმსჯელეს. შეგახსენებთ, რომ შეხვედრის მიწურულს მსაჯის მოქმედებით აღშფოთებულმა არმიელმა მორაგბეებმა სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს ნოდარ რობიტაშვილს. კომისიამ ასეთი განაჩენი გამოიტანა — ამირხანაშვილს და პავლიაშვილს 8 კვირით დისკვალიფიკაცია, ხოლო უჩავას — 4 კვირით.

გუშინ მიიწურა რაგბის კავშირში თანხის შეტანის ბოლო ვადა. თბილისის „ლოკომოტივმა" ბოლოს და ბოლოს შეძლო ფულის გადახდა და საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგას მეხუთე გუნდად დაემატა. რკინიგზელები ამ სეზონის პირველ მატჩს 21 მაისს ვარკეთილში გამართავენ „ყოჩების" წინააღმდეგ. შეხვედრა 19 საათზე დაიწყება. ამავე დღეს, ოღონდ 16 საათზე, ისანში დამრტყმელის გარეშე დარჩენილი ასკ ბათუმის „დათვებს" უმასპინძლებს.

**ზურა ბენიძე**

## ესპანეთი

XXXVIII ტური

**რეალი 0:1 ვილიადოლიდი**
0:1 ვიქტორი (21)

**ბარსელონა 2:2 სელტა**
0:1 ტომასი (29), 0:2 ტურდო (35), 1:2, 2:2 კლუივერტი (47 პ, 53)

**ბილბაო 2:1 ალავესი**
1:0 გერერო (18), 1:1 სალინასი (45), 2:1 კარლოს გარსია (62)

**დეპორტივო 2:0 ესპანიოლი**
1:0 დონატო (4), 2:0 მაკაი (34)

**ვალენსია 2:1 სარაგოსა**
0:1 მილოშევიჩი (5), 1:1 სუნდგრენი (59 ს.კ.), 2:1 კლაუდიო ლოპესი (70)

**მალიორკა 1:2 ატლეტიკო**
0:1 პაუნოვიჩი (4), 1:1 ეტოო (14), 1:2 სოლარი (32)

**სევილია 2:3 რაიო ვალეკანო**
0:1 კანაბალი (1), 1:1 მორა (13), 1:2 ბოლო (37), 2:2 ჟურიჩი (65), 2:3 ერნანდესი (68)

## თურქეთი

XXXIV ტური

**სამსუნი 1:2 გენჩლერბირლიგი**

## შვეიცარია

XI ტური

**ლუცერნი 1:2 სენტ გალენი**

# კვლავ ტინში

კვლავ სამთო კურორტ ტინიდან გეხმიანებით. აქ თანდათანობით იკრიბებიან სულ დარჩეული ფრანგი ფეხბურთელები, რათა ხუთდღიანი სანაკრებო ვარჯიშობა გაახურონ მოახლოებული ევრო-2000-ის წინ. ტინის ხიბლი იმაშია, რომ გაზაფხულის ტყეებს თოვლიან მთებს უხამებს. გუშინწინ „როიტერმა" ტყეში მოსეირნე ფაბიენ ბარტეზის ფოტო გამოგვიგზავნა, დღეს კი თოვლში მოქრიალე კრისტოფ დუგარი და რობერ პირესი დაგვანახეს.

REUTERS ტინიდან



# ვეფხვი სახურავზე

ამერიკელი მეგოლფე ტაიგერ ვუდსი ჰამბურგის ერთ-ერთ სპორტულ მაღაზიაში მიუწვევიათ. იქ, რა თქმა უნდა, ბურთის საფრენი ადგილი ვერ მოინახა და სტუმრებიც სახურავზე აიპატიჟეს. ჩააგდო თუ არა ტაიგერმა ბურთი 125 მეტრის იქით მდებარე მეორე შენობის სახურავზე მოთავსებულ სამიზნეში, არ იტყობინებიან.

ჩვენი მონაცემებით, იმ დღეს ოლივერ კანი ჰამბურგში არ იმყოფებოდა.

REUTERS კუალა ლუმპურიდან



# ჟინოლა წითელ ჯვარში

REUTERS პნომპენიდან






რაც კი რამეა საცოდავი და საწყალი დედამიწის ზურგზე, ალბათ, კამბოჯა. ჯერ იყო პირსისხლიანმა პოლპოტმა ჟლიტა თავისი წითელი კხმერების ტყვიებით, მერე კიდევ სამოქალაქო დაპირისპირებამ კამბოჯის მიწაში იმდენი ნაღმი ჩატოვა, რომ კვირა არ გაივლის, ვინმე არ შეიწიროს. საერთაშორისო წითელი ჯვრის პროგრამა ამ ნაღმების წინააღმდეგაა მიმართული. ამ ორგანიზაციის წარმომადგენლად ჩასულა კამბოჯაში განთქმული ფეხბურთელი დავიდ ჟინოლა, ვისაც იქ პროტეზები და სხვა რამ ჰუმანური დახმარება ჩაუტანია. ვინ, ვინ და ჟინოლამ იცის ფეხების ფასი.



# ფიორენტინა უტრაპოა

ახლახან ხმა დაირხა, გაბრიელ ბატისტუტა „ფიორენტინას" ტოვებსო. აღშფოთდნენ ფლორენციელები, ბატიგოლი თუ არ გვეყოლა, სტადიონისკენ აღარც გავიხედავთო. კლუბის პრეზიდენტმა ვიტორიო ჩეკი გორიმ არგენტინელი ეგებ შეინარჩუნოს კიდეც, მაგრამ ახალი მწვრთნელის ძებნა რომ მოუწევს, გადაწყვეტილი ამბავია — მხცოვანმა ჯოვანი ტრაპატონიმ გუშინ ოფიციალურად განაცხადა, რაც შემეძლო გავაკეთე, კარგად იყავითო. ისიც თქვა, ოთხი-ხუთი თვეა, გადადგომაზე ვფიქრობ, მაგრამ არ ვამხელდი, სეზონის დასრულებას ველოდიო.

# მიკა და ძმები

ჩემპიონობა თუ არა, მიკროფონი მაინც დამითმეთო, ეხუმრება გუშინდელ პრესკონფერენციაზე რალფ შუმახერი (მარცხნივ) ღვიძლ ძმა მიხაელს (მარჯვნივ) და მიკა ჰაკინენს. კვირას ბონის სამხრეთით, „ნიურბურგრინგზე", ფორმულა 1-ის მორიგი ეტაპია.




სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი
ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, უცხოური განყოფილება გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ზურაბ მეძველია, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია ზაზა ბენიძე, დავით გულუა, ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge